



**საქართველოს უზენაესი
სასამართლოს
ერთგვაროვანი პრაქტიკა
სისხლის სამართლის საქმეებზე
(2014 წლის II ნახევარი – 2016 წელი)**

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი

2018



**Uniform Court Practice of the
Supreme Court of Georgia
on criminal cases Agreement
(second half of 2014 – 2016)**

**The Supreme Court Of Georgia
National Court Practice Study and Generalization Unit**

Tbilisi
2018

შემდგენლები:

რუსუდან ჭანტურიძე

ირაკლი გრძელიძე

რედაქტორი

სანდრო ჯორჯენაძე

ინგლისურ ტექსტზე იმუშავა:

ირინა ჯოგავაძე

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018

ISBN 978-9941-8-0360-4

The Collection was compiled by:

Rusudan Chanturidze

Irakli Grdzelidze

Editor

Sandro Jorbenadze

English translation was elaborated by

Irina Jobava

Graphics Editor and Design

Marika Maghalashvili

© Supreme Court of Georgia, 2018

ISBN 978-9941-8-0360-4

რედაქტორისგან

საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს კანონის ერთგვაროვანი განმარტების დამკვიდრებასა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. ამასთანავე, გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც უმნიშვნელოვანესი ელემენტია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

თითოეული გადაწყვეტილების უკან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს, როგორც ნორმის განმარტების ფუნქციის მატარებელი ინსტანციის მნიშვნელობა დგას.

ამდენად, სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმების განმარტების, მათი ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებისთვის.

სასამართლომ უნდა გამოიყენოს ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა ნაკითხულ უნდა იქნეს არა განყენებულად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა.

საკასაციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტებისას სასამართლო არ გასცდეს კანონის ფარგლებს, რადგან მართლმსაჯულება შებოჭილია კანონით. აღნიშნული ძირითადი პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის მე-2 ნახევარსა და 2016 წლის პერიოდში განხილული საქმეების ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოების ტიპური შეცდომები. მასალის განზოგადებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად საკასაციო სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვისას კვლავ ვლინდება დარღვევები, რაც გამოიხატება როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

წინამდებარე კრებულში შესული გადაწყვეტილებები დალაგებულია თემატურად, ყოველ მათგანს წინ ერთვის მცირე განმარტება, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეებს დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და სისხლის სამართლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უკეთ გაცნობაში.

სანდრო ჯორჯენაძე

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების უფროსი

FROM THE EDITOR

The Supreme Court of Georgia represents the court of the highest and final court of cassation that ensures administration of justice in common courts system throughout the country, guided by established procedural rules, and performing other duties pursuant to the Constitution of Georgia and Organic Law on Common Courts. The court's role in administration of justice and promotion of the legality principle is very important since it contributes to introduction of unique definitions and establishment of the uniform court practice.

The right to file an appeal in the court of higher instance serves as a preventive measure and, on one hand, presents effective safeguard mechanism and reduces possibility of failures, and on the other hand, it provides opportunity to address the shortcomings. Moreover, proper realization of the right to appeal promotes establishment of the uniform court practice which is vital for timely and efficient administration of justice.

Every decision is based upon uniform court practice and significance of the Supreme Court which functions as the instance interpreting legislative norms.

Thereby, court practice plays a significant role for defining legislative norms and establishing practice of their uniform application. Court should use the rules that ensure interpretation of the law according to its aims and capacities. Interpretation of law is based on certain principles: the principle of impartiality- it means that definition should be based on the text of the law and express the will of the legislator; the principle of unity- each norm should be defined not separately but comprehensively in the context of logical interpretation of the law; the principle of genetic interpretation- implies aim and mission of legislation.

The cassation court has decreed many times that when interpreting norms, in terms of division of legislative and judicial power, the court should not exceed legislative authority, as the judiciary is restricted by law. These main principles are stipulated by article 84 of the Constitution of Georgia with implication to independence of judges and their adherence only to the Constitution or Law. In terms of above-mentioned and taking into account the principle of power division, the Court does not have lawmaking function but it rather interprets norms under relevant laws.

The Chamber of Criminal Cases at the Supreme Court has studied typical mistakes of the lower instance courts based on the review of cases in the period of second half of 2014 and 2016. Generalization of the material has revealed, that despite established practice of the Cassation Court, the Court of Appeal still displays shortcomings demonstrated through improper application and interpretation of both material and procedural legal norms.

The court decisions presented in the given collection are organized in the framework of themes and followed by brief summaries that will enhance quality of decision reasoning and introducing uniform court practice of the Supreme Court to any parties concerned.

SANDRO JORBENADZE

Head of National Court Practice Study and Generalization Unit
of the Supreme Court of Georgia

საკიეხელი

შემოკლებანი	12
მუხლოზრივი საკიეხელი	13

სისხლის სამართლის კოდექსი

ზოგადი ნაწილი

1. დანაშაული	
1.1. დანაშაულის რეციდივი	14
1.2. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა	15
დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით	15
2. სასჯელი	
2.1. სასჯელის მიზნები და სახეები	
ჯარიმის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა	16
თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა	17, 18,
2.2. სასჯელის დანიშვნა	
სასჯელის შემსუბუქება	19
დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები	21
2.3. პირობითი მსჯავრი	
პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი	22
პირობითი მსჯავრის გაუქმება	23
3. ნასამართლობა	
ნასამართლობის გაქარწყლება	25
სასჯელის საკითხის გადაწყვეტისას გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის მხედველობაში მიღების დაუშვებლობა	26

კერძო ნაწილი

4. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ	
4.1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ	
განზრახი მკვლელობა	28
განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ანგარებით	30
განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში	31
სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით	33, 35

4.2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	
სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით	36
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძნობით	38
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი არაერთგზის	40
ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების	
ფარგლების გადაცილებით	41
ცემა	43
4.3. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და	
ხელშეუხებლობის წინააღმდეგ	
სექსუალური კავშირის ან სექსუალური ხასიათის	
სხვაგვარი მოქმედების იძულება	44
5. ეკონომიკური დანაშაული	
5.1. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	
ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია	46
ქურდობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ	47
ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის	49
ქურდობის მცდელობა, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით,	
რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია	50
ქურდობა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით და დიდი ოდენობით	52
ქმედების გადაკვალიფიცირება ძარცვიდან იძულებაზე	53
ძარცვა, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო	
ნასამართლეთი სხვისი ნივთის მართსაწინააღმდეგოდ	
მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისთვის	55
ყაჩაღობა, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით	56
მითვისება ან გაფლანგვა	57
წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექცევა	61
5.2. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში	
გადასახადისათვის თავის არიდება	63
6. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	
6.1. საზოგადოებრივი უშიშროებისა და	
წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	
ქურდული სამყაროს წევრობა	64
ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექცევა, შენახვა, ტარება	65
საბრძოლო მასალის უკანონოდ შექცევა, ტარება	67
ნასამართლობის მქონე პირის მიერ ცივი იარაღის ტარება	68
6.2 ნარკოტიკული დანაშაული	69
პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი „მარიხუანის“	
შექცევა-შენახვისათვის დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება	69

ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ, ადმინისტრაციული სახდელის მოქმედების ვადის ფარგლებში, ნარკოტიკული საშუალების განმეორებით არაერთხელ მოხმარების სამართლებრივი შედეგები	70
ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარება	72
ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმით	73
პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ	75
7. დანაშაული სასჯელმთავრის წინააღმდეგ	
7.1 სამოსალო დანაშაული	
სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება	77, 79
ქრთამის აღება – განსაკუთრებით დიდი ოდენობით	81
7.2. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ	
პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით	84
თვითნებობა	85
8. დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ	
8.1. დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ	
მონმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა	87
მონმის იძულება ჩვენების შეცვლისათვის, რასაც თან ერთვის ძალადობა და ძალადობის მუქარა	88
8.2. დანაშაულის დროულად აღკვეთისა და ბახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება	
დანაშაულის შეუტყობინებლობა	89
9. დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ	
სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება; სამსახურებრივი გულგრილობა	91

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ზოგადი ნაწილი

1. **სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მისი ამოცანები და მოქმედების სფერო**
 - კანონის ანალოგიის გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 94
 - საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის გამო
სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება 96
2. **სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები** 98
3. **მტკიცებულება**
 - დაუშვებელი მტკიცებულება 99; 101
 - პრეიუდიცია 102
 - მონმის ჩვენება 103
 - ირიბი ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების,
საქმიდან ამორიცხვა და პირის უდანაშაულოდ ცნობა 105
 - ირიბი ჩვენება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება 106
 - მტკიცებულებათა შეფასება 108; 109; 110; 112
 - შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ 113

პირამო ნაწილი

4. **საგამოძიებო მოქმედებები**
 - სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება;
ამოღებისა და ჩხრეკის წესი 116
5. **ბრალდებულის პირველი ნარდგენა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიებანი**
 - გირაო 118
6. **საპროცესო შეთანხმება**
 - სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე
განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა 119
 - საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ
სასამართლოს განაჩენის გაუქმება 121
7. **საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში**
 - შუამდგომლობის დაყენება და გადაწყვეტა 123
 - ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე
მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა 124
8. **სასამართლოს განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება**
 - გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სასჯელის დაუნიშნავად 125

9. აპელაცია

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადანყვეტა 126
სააპელაციო განაჩენი და შებრუნება საუარესოდ 128, 129

10. კანაცია

10.1. გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და
მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა 131
10.2 განაჩენის გაუქმება და საქმის გაგზავნა ახალი სასამართლო
განხილვისათვის 132
10.3 განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა 133, 135

11. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

11.1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები 136, 138, 140, 142, 143, 144
11.2. შუამდგომლობის დასაშვებობისა და
დასაბუთებულობის შემოწმება 145, 147, 148, 149, 151

12. ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოება

არასრულწლოვნის ღირსების დაცვა 153

13. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

ძებნილი პირის ბრალდებულად ყოფნის ვადა 155

შემოკლება

ასკ	-	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
საქ.კონ.	-	საქართველოს კონსტიტუცია
სსკ	-	სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ	-	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
სუსგ	-	საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები
შსს	-	შინაგან საქმეთა სამინისტრო
ძვ. რედ.	-	ძველი რედაქცია

მუსლოზრივი სპიეზელი

ნორმატ. აქტი	მუსლი ან №	ვერდი	ნორმატ. აქტი	მუსლი ან №	ვერდი	ნორმატ. აქტი	მუსლი ან №	ვერდი
სსკ	11 ¹	18		218	63		82	99;108;109;
	15	40; 49; 50		223 ¹	64			110;112;131
	17	14		236	65; 67		83	113
	27	15; 47		238 ¹	68; 94		105	94
	42	16		239	19		112	116
	50	17; 18		244	22		120	116
	53	19; 21; 22		260	69;138		125	101
	58	14; 128		273	26;70;72;		200	118
	59	19; 21; 23			73;75		212	119
	63	22		332	57		215	121
	67	19; 23		333	77; 79; 91		239	123
	79	25; 26		338	77; 81		247	124
	108	28; 36		239 ¹	81		259	15;108;109;
	109	30; 31; 36		341	129			110;116;131
	116	33; 35		342	57; 91		269	125
	117	36; 38; 40		353	21; 84		273	15; 110
	120	18		353 ¹	84		295	126
	122	41		360	85		298	128; 129
	125	43		371 ¹	87		307	131
	126 ¹	119		372	88		310	96;136;138;
139	44		375	23			140; 142;	
150	53		376	89			143; 144	
157	44		387	91		313	145;147;148;	
177	15;17;25;46;						149; 151	
	47; 49;50;		სსსკ	2	94; 96		314	151
	52;61;108			5	98; 112		316	153
178	53;55			13	15;99;108;		329	132; 155
179	56				109; 110;			
180	57				112;131	სსსკ	561	132;133;135
181	14; 64			72	99; 101	(ძვ.რედ.)	562-	132
182	57; 129			73	102; 128		563	
186	55; 61			75	103			
187	28			76	103;105;106	საქ. კონ.	40	112;135

სისხლის სამართლის კოდექსი

ზოგადი ნაწილი

1. დანაშაული

1.1. დანაშაულის რეციდივი

დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილი; 58-ე და 181-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 29 იანვრის საქმეზე №431აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

მსჯავრდებულ შ. დ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: შ. დ-მ ჩაიდინა გამოძალვა, ე.ი. ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა (3 ეპიზოდი).

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.03.2015 წლის განაჩენით შ. დ-ს სსკ-ის 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდისათვის) მიესაჯა 3-3 წლით, ხოლო 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (1 ეპიზოდი) – 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულთა ერთობლიობით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, განესაზღვრა 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.04.2012 წლის განაჩენით დანიშნული და იმავე სასამართლოს 20.02.2013 წლის განჩინებით განახევრებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვე და საბოლოოდ მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა, მსჯავრდებულმა შ. დ-მ და მისმა ადვოკატმა. პროკურორი ითხოვდა შ. დ-ს სამივე ეპიზოდისათვის განსაზღვროდა მაქსიმალური სასჯელი და წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი სრულად დამატებოდა, ხოლო მსჯავრდებულს და მისი ადვოკატი ითხოვდნენ გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.06.2015 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.03.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქმის მასალებიდან გამომდინარე, შ. დ-ს წინა განაჩენით (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.04.2012 წლის განაჩენი) ბრალად შერაცხული ქმედება ჩადენილი აქვს მაშინ, რა დროსაც იგი იყო არასრულწლოვანი. სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის. შესაბამისად, შ. დ-სთვის სასჯელის განსაზღვრისას სსკ-ის 58-ე მუხლზე მითითება ენი-ნააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განაჩენიდან ამორიცხა მითითება შ. დ-სთვის სასჯელის განსაზღვრისას სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესის მხედველობაში მიღების თაობაზე. ამასთანავე, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, ქმედების განხორციელების სახისა და შედეგის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება და შ. დ-ს სსკ-ის 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) მიუსაჯა 2-2 წლითა და 6-6 თვით, ხოლო 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (1 ეპიზოდი) – 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა – 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და შ. დ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახით განესაზღვრა 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.04.2012 წლის განაჩენით დანიშნული და იმავე სასამართლოს 20.02.2013 წლის განჩინებით განახევრებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვე და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1.2. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით

წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა. მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დანყების მომენტამდე.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13, 259-ე და 273-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 20 მაისის საქმეზე №618აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.04.2015 წლის განაჩენით შ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.10.2015 წლის განაჩენით შ. მ-ს მიმართ განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის ადვოკატის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა შ. მ-ს მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა. მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დანყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები.

ბები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია ჯგუფის წევრებს შორის როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – შესტებსა და მიმიკებში – გამოიხატოს.

მოცემულ შემთხვევაში, გამოკვლეული ვიდეოფირითა და მონმე კ. დ-ს ჩვენებით დგინდება მხოლოდ ის ფაქტი, რომ შ. მ. და გამოძიებით დაუდგენელი პირი ერთობლივად ახორციელებდნენ ქურდობის ობიექტურ შემადგენლობას, რასაც არც საკასაციო პალატა მიიჩნევს სადავოდ, თუმცა, ხსენებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მათ შორის წინასწარი შეკავშირების არსებობა. კერძოდ, გამოკვლეულ ვიდეოფირზე არ ჩანს მათ შორის რაიმე ისეთი ტიპის კომუნიკაცია, რაც პალატას საშუალებას მისცემდა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ერწმუნა მათ შორის წინასწარი შეთანხმების არსებობა. არც მონმე კ. დ-ს განუცხადებია ჩვენებაში რაიმე მსგავსი ფაქტის არსებობის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტად განიხილავს რა „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“, განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთკავშირში მყოფი დასკვნებიდან, რომლებიც უდავოდ, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი სასამართლოს დასკვნა გამომდინარეობს მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ შ. მ. ქმედების განხორციელების მომენტში არ იყო მარტო, რაც საკასაციო პალატის აზრით, არ აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მაღალ სამართლებრივ სტანდარტს და წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს, რის გამოც, სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვერ გახდება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით შ. მ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა მითითება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ჩადენის თაობაზე და ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა.

2. სასჯელი

2.1. სასჯელის მიზნები და სახეები

ჯარიმის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა

მსჯავრდებულს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში, უნდა განესაზღვროს ჯარიმის მინიმალური ოდენობა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №15აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 8.10.2013 წლის განაჩენით თ. შ. და ა. შ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული ქმედებისათვის თ. შ-ს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით

განესაზღვრა 8000 ლარი ჯარიმა, ხოლო პროკურორსა და ბრალდებულ ა. შ-ს შორის დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. შ-მ. მან ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 3.12.2013 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 8.10.2013 წლის განაჩენი თ. შ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრით მსჯავრდებულმა თ. შ-მ ითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ასევე აღნიშნა, რომ იგი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაშია შეყვანილი, სასამართლომ კი მას სასჯელის ზომად 8000 ლარი ჯარიმა განუსაზღვრა.

საკასაციო პალატამ განმარტა: იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე უდავო მტკიცებულებად არის ცნობილი ის გარემოება, რომ თ. შ. რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მისთვის სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა – 8000 ლარი არასამართლიანია და სსკ-ის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, მას მინიმუმამდე უნდა შეუმცირდეს დაკისრებული ჯარიმის ოდენობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 3.12.2013 წლის განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შევიდა ცვლილება: თ. შ-ს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სასჯელის სახით ნაცვლად 8000 ლარის ოდენობით დაკისრებული ჯარიმისა, განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას სასამართლო უფლებამოსილია განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დარჩენილი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამომძიებასთან.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 03 ნოემბრის განმარტება საქმეზე №303აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 18.12.2015 წლის განაჩენით მ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლის თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 16.02.2016 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა საკასაციო საჩივრით ითხოვა მ. ბ.-სათვის დანიშნული სასჯელის პირობით მსჯავრად ჩათვლა.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას სასამართლო უფლებამოსილია განაჩენით და-

ადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დარჩენილი ნაწილის პირობით ჩათვლა, თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს სასჯელის 1/4, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის 1/3, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი.

საქმის მასალების მიხედვით მსჯავრდებულმა მ. ბ-მ ითანამშრომლა გამოძიებასთან, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატის მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის ადვოკატის საჩივარი. დანიშნულ სასჯელში შევიდა ცვლილება და მ. ბ-ს სასჯელის ნახევარი ჩაეთვალა პირობით მსჯავრად.

ანალოგიურია: სუსგ №233აპ-14 19.12.14; №173 აპ-16, 26.07.2016

თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა

მსჯავრდებულს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, რაც გამორიცხავს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მის მიმართ სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი, მე-11¹ და 120-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №197აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.10.2014 წლის განაჩენით ო. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-11¹ და 120-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია.

აღნიშნული ქმედებისათვის ო. შ-ს სსკ-ის მე-11¹ და 120-ე მუხლებით მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 3 თვე უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 თვე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა ო. შ-სათვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.02.2015 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.10.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

პროკურორმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა ეწინააღმდეგება სსკ-ის 50-ე მუხლის მოთხოვნებს, რადგან მსჯავრდებულს წაასწრეს დანაშაულის ჩადენის დროს და ითხოვა ო. შ-სათვის სასჯელის გამკაცრება.

საკასაციო პალატამ განმარტა: ო. შ-ს მიმართ სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათ-

ვლა ეწინააღმდეგება სსკ-ის 50-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ: სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საქმეში არსებული და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე უდავოდ ცნობილი მტკიცებულებებით, საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ო. შ-ს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, რაც გამორიცხავდა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მის მიმართ სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.02.2015 წლის განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შევიდა ცვლილება: ო. შ-ს სსკ-ის მე-11¹ და 120-ე მუხლებით მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2.2. სასჯელის დანიშვნა

სასჯელის შემსუბუქება

სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 59-ე, 67-ე მუხლები და 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 07 ივნისის საქმეზე №54აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 18.06.2015 წლის განაჩენით: ხ. დ. ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 05.11.2014 წლის განაჩენით ხ. დ-ს მიმართ სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლებს აღკვეთა, რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს, სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან, ნაწილობრივ დაემატა – 4 თვე, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარი. გაუქმდა მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 14.12.2015 წლის განაჩენით, პროკურორის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 18.06.2015 წლის განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შევიდა მსჯავრდებულ ხ. დ-ს მიმართ საუარესო ცვლილება.

ხ. დ-ს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღ-

კვეთა. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 05.11.2014 წლის განაჩენით მის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 05.11.2014 განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენითა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2016 წლის 21 იანვარს მსჯავრდებული ხ. დ. დააკავეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა, რომელმაც ითხოვა მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 18.06.2015 წლის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდუვალობა განაპირობებს. მთავარია, არა დამნაშავის მკაცრად დასჯა, არამედ ის, რომ დანაშაულის შემთხვევა არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება იყოს დამნაშავის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების ადეკვატური.

ამასთან, სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის სხვა, არასაპატიმრო ალტერნატივები. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ხ. დ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მისი პიროვნება, ოჯახური მდგომარეობა, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს, სადაც სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში იქნა მიღებული გარემოებები, რომ დაზარალებულ რ. თ-სა და მსჯავრდებულს შორის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ატარებდა ორმხრივ ხასიათს, დაზარალებული იყო ნასვამი, ხ. დ-ს ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების ფაქტი არ დაუდგინდა, განაჩენის გამოტანის მომენტისათვის მსჯავრდებული 4 თვე იმყოფებოდა საპატიმრო დაწესებულებაში და მიიჩნია მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით, ხ. დ-ს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 05.11.2014 წლის განაჩენით მის მიმართ დანიშნული სასჯელი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა

და ხ. დ-ს განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით და თავისუფლების აღკვეთა – 6 თვის ვადით. მას სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო, იგი ჩაითვალა სასჯელმონდილად და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ხ. დ-ს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმსუბუქდა დანიშნული ჯარიმა – 500 ლარით და განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარის ოდენობით.

დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

ზიანის აუნაზღაურებლობა არ შეიძლება შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 59-ე და 353-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 დეკემბრის განმარტება საქმეზე №390აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 9.07.2014 წლის განაჩენით მ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჯარიმა – 2 000 ლარი, ხოლო 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჯარიმა – 2 500 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, მ. ფ-ს სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მ. ფ-ს, დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით, შეუმცირდა დანიშნული ჯარიმის ოდენობა და საბოლოოდ დაეკისრა ჯარიმა – 2 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენის მიხედვით, მ. ფ-ს მსჯავრი დაედო სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 9.09.2014 წლის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 9.07.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის საუარესოდ, კერძოდ: მ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჯარიმა – 2.000 ლარი, ხოლო 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, მ. ფ-ს სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. ფ-ს ადვოკატმა სააკაცო საჩივრით ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: ზიანის ანაზღაურება და დაზარალებულთან შერიგება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს და სასჯელზე გავლენას ახდენს შემსუბუქების თვალსაზრისით, ხოლო საწინააღმდეგო მოცემულობა არ შეიძლება შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. ამასთან, ზიანის

ანაზღაურებასთან მიმართებით საკასაციო პალატის 7.06.2010 წლის №1019აპ-09 გადაწყვეტილებით დადგენილია პრაქტიკა, რომლის თანახმად, ზიანის აუნაზღაურებლობა არ შეიძლება შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. ამდენად, ამ მიმართებით საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია მცდარად მიიჩნია, ასევე მიუთითა, რომ მ. ფ-ს მიერ განხორციელებული ქმედების სახე და ხერხი – პოლიციელთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა და აგრესია, მუქარა, გინება – წარმოადგენს სსკ-ის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რაც სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვერ იქნება გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 9.09.2014 წლის განაჩენში ცვლილება იქნა შეტანილი, კერძოდ, მ. ფ-ს, ნაცვლად 2 წლით თავისუფლების აღკვეთისა, განესაზღვრა ჯარიმა, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით შეუმცირდა.

2.3. პირობითი მსჯავრი

პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი

თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევია არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 53-ე და 244-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №31აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 16.08.2013 წლის განაჩენით გ. ნ., ქ. კ. და თ. ქ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 24 დეკემბერს ხელვაჩაურის რაიონის სოფელში – თ. ქ-მ, ქ. კ-მ და გ. ნ-მ თურქეთის რესპუბლიკიდან ჯგუფურად, უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. სოფელში მათ მანქანით ელოდებოდა გ. ნ-სა და თ. ქ-ს თანასოფელი ი. თ., რომლის მანქანითაც აპირებდნენ გამგზავრებას, მაგრამ რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ისინი მესაზღვრეებმა გააჩერეს.

აღნიშნული ქმედებისათვის თ. ქ-სა და გ. ნ-ს მიესაჯათ 5-5 წლით, ხოლო ქ. კ-ს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – ქ. კ-მ და გ. ნ-მ და ითხოვეს დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 18.12.2013 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივ-

რები არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 16.08.2013 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულები – გ. ნ. და ქ. კ. საკასაციო საჩივრებით ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას და მათთვის დანიშნული სასჯელების პირობითად ჩათვლას.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევია არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ქ. კ-მ მესაზღვრეების მიერ მისი შეჩერებისთანავე აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, ასევე მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას, არის ნასამართლობის არმქონე და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ ქ. კ-ს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

საკასაციო პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ დაკავების შემდეგ ჩატარებული ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებული გ. ნ. იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ და მოცემულ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფმა ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული (სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მიზანშეწონილად მიიჩნია მისთვის დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლა. ამასთან, პალატამ, სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, გაითვალისწინა მსჯავრდებულ გ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე, ასევე ის, რომ იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილს და მიზანშეწონილად მიიჩნია მისთვის დანიშნული სასჯელის შემცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდებულ ქ. კ-ს სსკ-ის 344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ხოლო მსჯავრდებულ გ. ნ-ს სსკ-ის 344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სასჯელის სახით ნაცვლად 5 წლით თავისუფლების აღკვეთისა, განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პირობითი მსჯავრის გაუქმება

თუ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი წესით.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 59-ე და 375-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №203აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 9.12.2014 წლის განაჩენით გ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 375-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა მძიმე დანაშაულის დაფარვა წინას-

წარ შეუპირებლად. აღნიშნული ქმედებისათვის გ. გ-ს განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა, გ. გ-სთვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა, ასევე – პირობითი მსჯავრის გაუქმება და საბოლოო სასჯელის განსაზღვრა განაჩენთა ერთობლიობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 24.02.2015 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 9.12.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: გ. გ-ს სსკ-ის 375-ე მუხლით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.02.2008 წლის განაჩენითა და 1.03.2013 წლის განჩინებით დანიშნული 3 წლით პირობითი მსჯავრის ნაწილი – 1 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 24.02.2015 წლის განაჩენის შეცვლას, გ. გ-სთვის წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრის მოხდილად ჩათვლას, ხოლო ახალი დანაშაულისათვის სასჯელის სახედ ჯარიმის განსაზღვრას; იმ შემთხვევაში კი, თუ ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იქნება, ითხოვენ განაჩენთა ერთობლიობით, 1 წლით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, ჯარიმის განსაზღვრას.

საკასაციო პალატამ განმარტა: არ იზიარებს კასატორთა პოზიციას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის მომენტი-სათვის მსჯავრდებულისთვის წინა განაჩენით განსაზღვრული გამოსაცდელი ვადა გასული იყო, მის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრის გაუქმება არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი წესით. იმის გამო, რომ გ. გ-მ სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელ ვადაში, სასამართლო, სსკ-ის 67-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ვალდებული იყო გაეუქმებინა მის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და სასჯელი განესაზღვრა სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი წესით. საკასაციო პალატამ სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში მიიღო გ. გ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მისი პიროვნება, ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა და მას განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი შეუმსუბუქა.

საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შევიდა ცვლილება: გ. გ-ს სსკ-ის 375-ე მუხლით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.02.2008 წლის განაჩენითა და 1.03.2013 წლის განჩინებით განსაზღვრული 3 წლით პირობითი მსჯავრის ნაწილი – 3 თვე და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

3. ნასამართლობა

ნასამართლობის გაქარწყლება

გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადანყვეტისას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილი, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განმარტება საქმეზე №67აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 22.10.2015 წლის განაჩენით ლ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით. აღნიშნული ქმედებისათვის ლ. მ-ს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 10.09.2012 წლის განაჩენითა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს 21.02.2013 წლის განჩინებით განსაზღვრული სასჯელი და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

ლ. მ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ორჯერ ნასამართლევით ლ. მ. 2015 წლის 29 ივნისს გარდაბნის რაიონის ...ში მდებარე შპს-ის კუთვნილი სასურსათო მაღაზიიდან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 3 ბოთლ ლუდსა და 3 კოლოფ სიგარეტს, რითიც დაზარალებულს მიაყენა 26 ლარისა და 70 თეთრის მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. მ-მ და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.01.2016 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი ლ. მ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ლ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიაჩნია, რომ ლ. მ-მ ჩაიდინა ქურდობა საცაფში უკანონო შეღწევით. ამასთან, არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ლ. მ-ს ქმედების სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების ნაწილში.

სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლება სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადანყვეტისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.07.2007 წლის განჩინებით ლ. მ-ს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-19,178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2005 წლის 2 აგვისტოდან.

საქართველოს შსს-ს წერილით ირკვევა, რომ ლ. მ. თბილისის №1 დანესებულებიდან სასჯელის კალენდარული მოხდით გათავისუფლდა 2009 წლის 30 იანვარს. შესაბამისად, მას ნასამართლობა გაუქარწყლდა 2015 წლის 30 იანვარს.

ლ. მ-ს ქმედების სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ იგი ორჯერ ან მეტჯერ იყოს ნასამართლეთი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. მოცემულ შემთხვევაში ლ. მ-ს ბოლო დანაშაულის ჩადენის დროს – 2015 წლის 29 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.12.2006 წლის განაჩენით (რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.07.2007 წლის განჩინებით შეიცვალა) დადგენილი ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა. ამდენად, მსჯავრდებულ ლ. მ-სთვის აღნიშნული მკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 10.09.2012 წლის განაჩენით ლ. მ-ს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დაედო მსჯავრი, პალატამ მიიჩნია, რომ მისი ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე – ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის.

საკასაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.01.2016 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: ლ. მ-ს ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე. ლ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ, სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 10.09.2012 წლის განაჩენითა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს 21.02.2013 წლის განჩინებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ლ. მ-ს განაჩენითა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის საკითხის გადაწყვეტისას გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის მხედველობაში მიღების დაუშვებლობა

გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილი და 273-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 02 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №212აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 14.01.2015 წლის განაჩენით დ. რ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, 1 წლის გამოსაცდელი ვა-

დით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით მსჯავრდებულ დ. რ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 02.07.2014 წლის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებულმა დ. რ.-მ კვლავ უკანონოდ ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“, რაც დაუდგინდა 2014 წლის 22 სექტემბერს ჩატარებული ნარკოლოგიური გამოკვლევისას.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 16.03.2015 წლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: დ. რ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა მითითება მისთვის დამატებითი სასჯელის – 1000 ლარის ოდენობით ჯარიმის დაწესების თაობაზე.

მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალოს პირობით.

საკასაციო პალატამ განმარტა: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სასჯელის დანიშვნის დროს სრულად გაითვალისწინეს მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები, კერძოდ: დ. რ. წარსულში ნასამართლეთი იყო სხვადასხვა დანაშაულების ჩადენისათვის, ხოლო არსებული ნასამართლობა დღეის მდგომარეობით შეწყალების აქტით აქვს მოხსნილი. საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 25.02.2015 წლის №322აპ-14 განაჩენით დადგენილია პრაქტიკა, კერძოდ: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადანყვევებისას. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აკრძალულია სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების, მათ შორის – სასჯელის ან მისი პირობითად ჩათვლის საკითხის გადანყვევებისას, მხედველობაში იქნეს მიღებული გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა. შესაბამისად, დაუშვებელია მოსამართლემ რაიმე ფორმით განაჩენში ასახოს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა, თუნდაც მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების ზოგადად შეფასების კონტექსტში, ვინაიდან იგი სწორედ სასჯელის საკითხის შეფასებას უკავშირდება და ამის შესახებ განაჩენში ხაზგასმა, თუნდაც ირიბად, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილს ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 16.03.2015 წლის განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ დ. რ.-ს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა შვიდი თვით თავისუფლების აღკვეთა.

კერძო ნაწილი

4. დანაშაული აღამიანის წინააღმდეგ

4.1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახი მკვლელობა

ნებისმიერი დანაშაულის კონსტრუქცია მოიცავს სამ აუცილებელ ელემენტს – ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს. მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულ ლ. კ-ს ქმედებაში სახეზეა, ზოგადად, დანაშაულის სამივე ნიშანი, ხოლო კონკრეტულად ეს არის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №424აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ლ. კ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 108-ე მუხლით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ცეცხლის ნაკიდებით და ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.07.2015 წლის განაჩენით ლ. კ. გამართლდა სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. იგი. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 10 ნოემბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, ლ. კ-მ განზრახ განახორციელა ფიზიკური ძალადობა ბ. შ-ს მიმართ და მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის მოუშლელად; 2014 წლის 10 ნოემბერს ლ. კ-მ ბინაში გააჩინა ხანძარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ხანძრის შედეგად დაზიანდა აღნიშნული ბინა და განადგურდა ბინაში არსებული ნივთები, ხოლო ბინის მეპატრონეს ბ. კ-ს მიადგა 5515,00 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.05.2016 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 7.08.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებმა.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას და ლ. კ-ს სსკ-ის 108-ე მუხლით დამნაშავედ ცნობას.

ბრალდებული ლ. კ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას. ალტერნატივის სახით მსჯავრდებულმა ითხოვა მისთვის სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის მინიმუმამდე შემცირება.

საკასაციო პალატამ განმარტა: ნებისმიერი დანაშაულის კონსტრუქცია მოიცავს სამ აუცილებელ ელემენტს – ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს. პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს – პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს თუ არა შესაბამისი შემადგენლობის ნიშნებს. თუკი დადგინდება შემადგენლობის არსებობა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, არსებობს თუ არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მათ შორის – აუცილებელი მოგერიების ვითარება და შემადგენლობის შემცველი ქმედება განხორციელდა თუ არა ასეთი მოგერიების კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. განსახილველ შემთხვევაში, გარდაცვლილ ბ. ბ-ს მიყენებული დაზიანებების სიმრავლე და მათი ლოკალიზაცია, მათ შორის – ზურგის არეში, აგრეთვე ერთ-ერთი დაზიანება, რომელიც მიყენებულია დანით სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან შინაგან ორგანოებში შემაჯავალი ორმაგი ჭრილობის სახით, რაც გახდა სიკვდილის მიზეზი, გამორიცხავს ამ დაზიანებების გაუფრთხილებლობით მიყენების შესაძლებლობას, რაც პირდაპირ მიუთითებს სხვისი სიცოცხლის განზრახ მოსპობის შემადგენლობის არსებობაზე. ამის შემდეგ გადასაწყვეტია მთავარი საკითხი: ლ. კ-ს ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი იწვევს თუ არა ისეთ გონივრულ ეჭვს, რაც შეიძლება მისი უდანაშაულოდ ცნობის საფუძველი გახდეს. საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მთავარი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ლ. კ-ს მიერ ბ. ბ-ს განზრახ მკვლელობა გარდაცვლილის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის მისაღებ ოთახში, ხოლო შემდეგ იმავე ბინის მისაღებ ოთახში ცეცხლის წაქიდება ორ სხვადასხვა ადგილზე, აგრეთვე სხვა ფაქტობრივი გარემოებები – ბ. ბ-ს მსჯავრდებულზე დანით თავდასხმისა და, აქედან გამომდინარე, ლ. კ-ს მიერ მსგავსი თავდასხმის მოგერიების არარსებობა, დადგენილია ნაწილობრივ თვით ლ. კ-ს პირდაპირი ჩვენებით, ასევე, ბ. ბ-ის გვამზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ესპერტიზების დასკვნებითა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, როგორც პირდაპირი მტკიცებულებებით.

საკასაციო პალატის აზრით, გარდაცვლილ ბ. ბ-ს სხეულზე სრულიად სხვადასხვა ადგილას დანით მიყენებული დაზიანებები, მათი სიმრავლე და ადგილმდებარეობა, განსაკუთრებით კი ბ. ბ-სთვის ზურგში, უკნიდან წინ, თითქმის პირდაპირი მიმართულებით მიყენებული ჭრილობა, მთლიანად გამორიცხავს მსჯავრდებულის ვერსიას, რომ მათი ურთიერთჭიდილის თითქმის მთელი დროის მანძილზე დანა ეჭირა ბ. ბ-ს, რომელიც მუდმივად მისკენ ჰქონდა მიმართული და ის ამაოდ ცდილობდა მის წართმევას, რომ მხოლოდ ბოლო მომენტში, სანოლიდან იატაკზე მათი გადმოვარდნის წინ, მოახერხა მან ბ. ბ-ს ხელში არსებული დანა მისკენ შეეტრიალებინა და შესაძლოა, სწორედ ამ დროს მიიღო გარდაცვლილმა დაზიანება მუცლის ღრუში შემაჯავალი ჭრილობის სახით. ეს მაშინ, როდესაც მთელი ამ ჭიდილისა და დაპირისპირების დროს, მისკენ მიმართული დანის მიუხედავად, ლ. კ-ს ერთი მცირე განაკანრიც კი არ აქვს მიღებული.

საქმეშია მტკიცებულებები, მათ შორის – თვით მსჯავრდებულის ჩვენებაც, რომელთა მეშვეობით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ერთი მხრივ, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ გარდაცვლილ ბ. ბ-ს მხოლოდ ლ. კ-სგან შეიძლებოდა მიეღო ის დაზიანებები, რომლებმაც ერთობლივად მისი სიკვდილი გამოიწვია, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი მთლიანად გამორიცხავენ საფუძველს სამართლებრივი შეფასებისათვის, რომ ამ დროს მსჯავრდებული მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, კერძოდ, ბ. ბ-ს თავდასხმის მოსაგერიებლად.

იგივე ფაქტობრივი გარემოებები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც საქმეშია გამორიცხავს ასევე იმის შესაძლებლობას, რომ ლ. კ-მ ბ. ბ-ს მიმართ ქმედება შეიძლება ჩაიდინა გაუფრთხილებლობით. მაშასადამე, არსებობს დასაბუთებული საფუძველი დასკვნისათვის, რომ მსჯავრდებულ ლ. კ-ს მიერ ბ. ბ-ს მიმართ ჩადენილი ქმედების სახით საქმე გვაქვს განზრახ მკვლელობასთან. ამასთან, საქმეში არსე-

ბული მასალებიდან გამომდინარე, არ მოიპოვება რაიმე საფუძველი ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული ქმედება ლ. კ-მ შესაძლოა, ჩაიდინა ბრალის გარეშე, ვინაიდან არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ანდა სხვა ზეკანონური გარემოება. ყოველივე აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულ ლ. კ-ს ქმედებაში სახეზეა, ზოგადად, დანაშაულის სამივე ნიშანი, ხოლო კონკრეტულად კი ეს არის სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.05.2016 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის საუარესოდ: ლ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ ბ. ბ-ს განზრახ მკვლელობის ჩადენაში და ამ ნაწილში მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 108-ე მუხლით. სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ანგარებით

ქმედების ანგარებით ჩადენილ განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებისთვის მთავარია ანგარების მოტივი წინ უსწრებდეს მკვლელობას, ხოლო დროის მონაკვეთის ხანგრძლივობას მოტივსა და ქმედებას შორის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივლისის განმარტება საქმეზე №22აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

გორის რაიონული სასამართლოს 29.05.2013 წლის განაჩენით ი. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ანგარებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 4 თებერვალს, დაახლოებით 12.30 საათზე, ქ. ხ-ში, ვალუტის გადამცვლელ პუნქტში ი. ლ-მ ბლაგვი საგნის გამოყენებით, ანგარებით ჩაიდინა ს. გ-ს განზრახ მკვლელობა, რის შემდეგაც დაეუფლა მის კუთვნილ ფულად თანხას და მიიმალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. ლ-ს მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა მისი დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.12.2013 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: მსჯავრდებულ ი. ლ-ს ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 108-ე მუხლსა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

პროკურორმა საკასაციო საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლა და ი. ლ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატამ განმარტა: ქმედების სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ანგარებით) დაკვალიფიცირებისთვის მთავარია ანგარების მოტივი წინ უსწრებდეს მკვლელობას, ხოლო დროის მონაკვეთის ხანგრძლივობას მოტივსა და ქმედებას შორის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება. სწორედ აღნიშნული გარემოება განასხვავებს ანგარებით მკვლელობას მარტივი მკვლელობისა და ქურდობის დანაშაულთა ერთობლიობისგან, რა დროსაც დამნაშავეს მხოლოდ მას შემდეგ უჩნდება ნივთის დაუფლების სურვილი, როცა ერთი უმართლობა (მკვლელობა) უკვე ჩადენილი აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. გ-ს განზრახ მკვლელობა ი. ლ-სთვის წარმოადგენდა სასურველი შედეგის (მატერიალური გამორჩენის მიღება) მიღწევის საშუალებას, ანუ რადგან ი. ლ-ს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა დიდი ოდენობით თანხა – 8500 აშშ დოლარი – ბინის იპოთეკისგან გასათავისუფლებლად, სწორედ ამ მიზნით მიაკითხა ს. გ-ს და კანონიერად რომ ვერ მოახერხა თანხის მოპოვება, გადაწყვიტა დანაშაულებრივად (თუნდაც მკვლელობის ჩადენის შედეგად) დაუფლებოდა მას. ს. გ-ს მკვლელობის შემდეგ კი აღნიშნული თანხა წარმართა საჭიროებისამებრ – გაისტუმრა ფულადი ვალდებულება. ხსენებული დასკვნა ასევე გამომდინარეობს ი. ლ-ს წინაშე არსებულ ამოცანათა სიმწვავისა (სასწრაფოდ მოსაგვარებელი მძიმე ფინანსური პრობლემები) და მის მოქმედებათა ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის სამართლებრივი ანალიზიდან (ყოველი მისი შემდგომი მოქმედება გამომდინარეობს წინარე მოქმედებიდან და წარმოადგენს წინამორბედის ლოგიკურ გაგრძელებას), რაც ქმნის ანგარებით ჩადენილი განზრახი მკვლელობის სამართლებრივ სურათს.

საკასაციო სასამართლოს განაჩენით ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში. მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 108-ე მუხლიდან და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და სასჯელად, ნაცვლად 10 წლისა, განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში

იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ან მეტი პირი, მკვლელობის ერთიანი განზრახვით, ერთდროულად ისვრის ცეცხლსასროლი იარაღიდან სხვა პირის მიმართ, ხოლო ეს უკანასკნელი იღუპება ერთ-ერთი ტყვიის მოხვედრით და ვერ დგინდება, კონკრეტულად ვის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა მსხვერპლს, რომელმაც შედეგის სახით მისი სიკვდილი გამოიწვია, დამდგარი შედეგი ვერც ერთ დამნაშავეს ვერ შეერაცხება და მათი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობად.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტები და 19,109-ე მუხლის „ა“, „გ“ „ზ“, „თ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განმარტება საქმეზე №420აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 10.01.2008 წლის განაჩენით ა. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ა“, „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით, 109-ე მუხლის „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით და სსკ-ის 59-ე

მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2005 წლის 22 ოქტომბერს, 22:30 საათზე, ა. კ., კ. კ., ი. ჯ. და გამოძიებით დაუდგენელი სამხედროკამუფლაჟირებულ ტანსაცმლიანი ორი პირი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულნი, იმყოფებოდნენ სოფელ მ-ს ტერიტორიაზე, რა დროსაც შენიშნეს შს განყოფილების თანამშრომლები, რომლებმაც უბრძანეს იარაღის დაყრა. ა. კ. და მისი თანმხლები პირები წინასწარი განზრახვით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს, არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნებს და ხუთი წუთის განმავლობაში ისროდნენ პოლიციელთა მიმართულებით. პოლიციის მუშაკები იძულებულნი გახდნენ გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი მათი მიმართულებით. ა. კ-ს და მისი თანმხლები პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლების შედეგად პოლიციის მუშაკმა დ. კ-მ მუცლის არეში მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებები, რის გამოც იგი გარდაიცვალა. პოლიციელთა საპასუხო სროლის შედეგად კი ადგილზე გარდაიცვალა ი. ჯ. ვინაიდან პოლიციის მუშაკები კვლავ განაგრძობდნენ სროლას დამნაშავეთა დასაკავებლად, ა. კ-მ და მისმა თანმხლებმა პირებმა ვერ შეძლეს განზრახვის სისრულეში მოყვანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.05.2016 წლის განჩინით მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

კასატორის – მსჯავრდებულ ა. კ-ს საჩივრის მოთხოვნაა გამამართლებელი განჩინის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ან მეტი პირი, მკვლელობის ერთიანი განზრახვით, ერთდროულად ისვრის ცეცხლსასროლი იარაღიდან სხვა პირის ან პირების მიმართ, ხოლო ეს უკანასკნელი ან რომელიმე მათგანი ილუპება ერთ-ერთი ტყვიის მოხვედრით, ამასთან, ვერ დგინდება, კონკრეტულად ვის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა მსხვერპლს, რომელმაც შედეგის სახით მისი სიკვდილი გამოიწვია, მაშინ დამდგარი შედეგი ვერც ერთ დამნაშავეს ვერ შეერაცხება და მათი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა დამთავრებულ დანაშაულად, არამედ მკვლელობის მცდელობად.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ა. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედება დამთავრებულ მკვლელობად შეაფასა, ამით იგი გასცდა როგორც მსჯავრდებულისათვის წარდგენილი ბრალდების ფარგლებს, ასევე, სასამართლო გამოძიებით სწორად და უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებს.

ბრალდებაში არ არის მითითებული, რომ გარდაცვლილს უშუალოდ ა. კ-ს მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა და სწორედ ამ გასროლის შედეგად დადგა სიკვდილი. ასეთი მითითება ვერც იქნებოდა ბრალდების ფორმულირებაში, რადგან მისი დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება არ არსებობდა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსგავს ვითარებაში, როდესაც ორი ან მეტი პირი, თუნდაც მკვლელობის საერთო განზრახვით, ერთდროულად ისვრის ცეცხლსასროლი იარაღებიდან სხვა პირის მიმართ, თითოეული მათგანის მოქმედება ობიექტურად და მიზეზობრივად ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, ანუ არც ერთი მათგანის ქმედება არ წარმოადგენს ხელშემწყობ ფაქტორს მეორის მოქმედებისათვის, რის გამოც ისინი ვერ იქნება განხილული როგორც შედეგის გამონვევის საერთო, ერთიანი მიზეზი, ესე იგი საერთო აუცილებელი პირობა. ამიტომ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ გარდაცვლილ პოლიციელს ა. კ-ს მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა, მაგრამ, არსებული მტკიცებულებითი ბაზის პირობებში, ის ვერ ჩაითვლება გონივრულ ეჭვს მიღმა დადას-

ტურებულ ფაქტად, რის გამოც, *in dubio pro reo*-ს პრინციპის მიხედვით, დაუდასტურებელი ეჭვი უნდა გადანედეს ბრალდებულის სასარგებლოდ და მსჯავრდებულ ა. კ-ს ბრალად უნდა შეერაცხოს არა დამთავრებული მკვლელობის, არამედ მხოლოდ მკვლელობის მცდელობის ჩადენა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.05.2016 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ ა. კ-ს ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის „გ“, „თ“, „ზ“ ქვეპუნქტებიდან და მე-19,109-ე მუხლის „ა“, „გ“, „თ“, „ზ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის „ა“, „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებზე (2006 წლის მაისამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე გაუნახვევრდა და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, კერძოდ, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ, რაც მას განასხვავებს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისაგან.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №86აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 26.06.2015 წლის განაჩენით ლ. ჯ-ს ქმედება სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე. ლ. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ლ. ჯ. დაინიშნა საქალაქო სამმართველოს პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ითვლებოდა მოხელედ. 2014 წლის 3 ოქტომბერს საქალაქო სამმართველოს პოლიციის განყოფილებაში დაინიშნა ლ. ჯ-ს, სასურსათო მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ლ. ჯ. იმავე დღეს განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად, დაკვირვების კამერების დათვალიერების მიზნით, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე – სასურსათო მაღაზიაში. დაკვირვების კამერების ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მაღაზია, სავარაუდოდ, გაქურდული უნდა ყოფილიყო მ. ბ-ს მიერ.

დაახლოებით 16 საათზე, ზემოაღნიშნულ მაღაზიასთან მყოფმა ლ. ჯ-მ შენიშნა საავტომობილო გზაზე „სუბარუ ფორესტერის“ მარკის ავტომანქანით მოძრავი მ. ბ.. ლ. ჯ. სხვა თანამშრომლებთან ერთად ფეხით დაედევნა მ. ბ-ს. ავტომანქანას უშუალოდ უკან მისდევდნენ ლ. ჯ. და მ. ფ., ხოლო პოლიციის სხვა ორი თანამშრომელი გაემართა იქვე

არსებული საცხოვრებელი კორპუსების მიმართულებით, რათა ავტომანქანისათვის გადაეღობათ გასასვლელი გზა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მ. ბ. აღმოჩნდა სამანქანო გზის ჩიხში, ამიტომ მან მოაბრუნა ავტომანქანა და იმავე გზით დაბრუნდა უკან. ამ დროს ლ. ჯ-მ მ. ბ-ს მოსთხოვა ავტომანქანის შეჩერება. მ. ბ. არ დაემორჩილა ლ. ჯ-ს მოსთხოვნას და იმავე მიმართულებით მაღალი სიჩქარით განაგრძო მოძრაობა.

ლ. ჯ-მ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე და 34-ე მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არაპროპორციული იძულების ღონისძიების გამოყენებით, იარაღის გამოყენებისათვის სავალდებულო პირობების არარსებობისას, სიტყვიერი გაფრთხილებისა და გამაფრთხილებელი გასროლის განუხორციელებლად, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, ტაბელური იარაღიდან გასროლით განზრახ დააზიანა მ. ბ-ს ავტომობილი და გაუფრთხილებლობით სიცოცხლე მოუსპო მ. ბ-ს.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.12.2015 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ლ. ჯ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 108-ე მუხლითა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდება, ხოლო მსჯავრდებულის და მისი ადვოკატის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა განაჩენის გაუქმება და ლ. ჯ-ს გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, კერძოდ, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, დამნაშავეს მიერ დაზარალებულის სიკვდილის, როგორც შედეგის შეგნებული დაშვება ან ამ უკანასკნელის დადგომისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით დასტურდება ლ. ჯ-ს ქმედებაში გაუფრთხილებელი დანაშაულის ნიშნების არსებობა, მაგრამ საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ლ. ჯ-მ გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა დაუდევრობის ფორმით, ვინაიდან მან არ გაითვალისწინა, მის მიერ გასროლის განხორციელების შემთხვევაში, მ. ბ-ს ტყვიის მოხვედრის რეალური შესაძლებლობა, რისი გათვალისწინების მოვალეობა მას ეკისრებოდა სამართლებრივად და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა მისი საქმიანობის ხასიათიდან და გამოცდილებიდან, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის თუნდაც გამაფრთხილებელი გასროლისათვის გამოსაყენებლად არახელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც სუბიექტი ახორციელებდა მიზანმიმართულ გასროლას მოძრავი ავტომანქანისაკენ, შეუძლებელი იყო იმავდროულად არ გაეთვალისწინებინა გასროლილი ტყვიის მიზნიდან გადახრისა და ამ ავტომანქანაში მყოფი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სუბიექტი იყო პოლიციელი, მრავალწლიანი სამსახურებრივი და პროფესიული საქმიანობის, აგრეთვე ცეცხლსასროლ იარაღთან ურთიერთობისა და სხვადასხვა რთულ სიტუაციებში მისი გამოცდილების გამოცდილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.12.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ არის გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 დეკემბერის განმარტება საქმეზე №438აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბრალდების შესახებ დადგენილებების თანახმად, გ. მ-ს და ი. დ-ს ბრალი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 4 სექტემბერს, 13:00 საათზე, სამშობიარო სახლში მეან-გინეკოლოგებმა გ. მ-მ და ი. დ-მ დაიწყეს პაციენტ ც. თ-ს საკეისრო კვეთა. საკეისრო კვეთისას მათ ც. თ-ს დაუზიანეს თედოს მარცხენა გარეთა ვენა, რა დროსაც, 13:40 საათზე, დაიწყო ინტენსიური სისხლდენა. გ. მ. და ი. დ. ვალდებულნი იყვნენ, დროულად ამოეცნოთ დაზიანებული სისხლძარღვი და დროულად მოეხდინათ მისი კომპრესია, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ უნდა გამოეძახებინათ სისხლძარღვთა ქირურგი, რომელიც აღადგენდა დაზიანებულ სისხლძარღვს. მათ არ შეასრულეს აღნიშნული მოთხოვნა და დროულად არ გამოიძახეს სისხლძარღვთა ქირურგი. მხოლოდ შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ, დაახლოებით 18:00 საათზე, გამოიძახეს იგი, რაც აღმოჩნდა დაგვიანებული და მიუხედავად კატასტროფის ბრიგადის მიერ აღმოჩენილი და აღდგენილი სისხლძარღვისა, პაციენტ ც. თ-ს განუვითარდა მწვავე სისხლნაკლებობა, რამაც 2013 წლის 5 სექტემბერს, 01:10 საათზე, გამოიწვია მისი სიცოცხლის მოსპობა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 22.08.2015 წლის განაჩენით ი. დ. და გ. მ. ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.06.2016 წლის განაჩენით სიღნაღის რაიონული სასამართლოს 22.08.2015 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: ი. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სხვა ნაწილში სიღნაღის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორმა – პროკურორმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.06.2016 წლის განაჩენის გაუქმება გ. მ-ს გამართლების ნაწილში და მისი დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

კასატორმა – მსჯავრდებულ ი. დ-ს ადვოკატმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.06.2016 წლის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ი. დ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის მოსპობა – გაუფრთხილებლობითი დანაშაულია. მისი ჯგუფურად ჩადენა სსკ-ით გათვალისწინებული არ არის. ბრალდებაში არ არის გამოყოფილი, კონკრეტულად რას ედავება სახელმწიფო თითოეულ ბრალდებულს, რაში გამოიხატა თითოეული მათგანის ქმედება და რა კავშირშია თითოეული მათგანის მოქმედება/უმოქმედობა დამდგარ შედეგთან. ბრალდების ფორმულირებიდან გამომდინარე, სასამართლოს რჩება შთაბეჭდილება, რომ პროკურორი მათ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას ედავება, რაც სცილდება სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თუ ბრალდებით განსაზღვრულ გარემოებებსა და სასამართლოში დადგენილ ფაქტებს შორის არ არის თანხვერდა, ეს აპრიორი არ გამო-რიცხავს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, მაგრამ არ შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებიდან გადახრით ბრალდების სა-განს ემატება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც შესაძლოა, ხელყოს ბრალდებუ-ლის ფუნდამენტური უფლება – ჯეროვნად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისგან.

ი.დ-სა და გ.მ-ს, წარდგენილი ბრალდებიდან გამომდინარე, უნდა ემტკიცებინათ ის ფაქ-ტი, რომ საკეისრო კვეთისას არ დაუზიანებიათ პაციენტის თეძოს ვენა, შესაბამისად, არც ვალდებულება წარმოშობიათ მისი დროულად აღმოჩენისა და, ასევე, არ დაუგვიან-ნიათ დამნაშავე ბრიგადის გამოძახება. სასამართლო პროცესზე კი, ბრალმდებლის ზე-პირსიტყვიერი განცხადებებიდან გამომდინარე, ისინი იძულებულნი გახდნენ, ემტკი-ცებინათ დამატებით სხვა მრავალი გარემოება, რაც უშუალო გავლენას ახდენდა მათ ბრალეულობაზე და გახდა კიდევ ი. დ-ს მსჯავრდების საფუძველი. კერძოდ: ის, რომ სამშობიაროში იყო სათანადო პირობები, ინსტრუმენტები, ჩატარებული იყო წინასწარ-რი კვლევები და ა. შ., რაც საკასაციო პალატას შეუთავსებლად მიაჩნია ადამიანის უფ-ლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის ა) და ბ) ქვეპუნქტებით დაცულ გარანტიებთან.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ გარდა სამშობიაროს და კატასტროფის ბრიგადის ექიმების ჩვენებებისა, რომლე-ბიც ერთმანეთს ადანაშაულებდნენ პაციენტის თეძოს ვენის დაზიანებაში, სხვა მტკი-ცებულება, თუ კონკრეტულად, ვინ და როდის დაუზიანა პაციენტს ვენა, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყო-ფილდა, მსჯავრდებულ ი. დის ადვოკატის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. მსჯავ-რდებული ი. დ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

4.2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის განზრახ მიიმი დაზიანება სხვა დანაშაულის ჩადენის გააღვივების მიზნით

იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე მოქმედებს არაკონკრეტიზირებული პირდაპირი განზრახვით და სურს სხეულის დაზიანების მიყენების გზით მოიშოროს პირი, რა-თა სისრულეში მოიყვანოს სხვა პირის მოკვლის განზრახვა, მაშინ პასუხისმგებ-ლობა პირველი პირის მიმართ განხორციელებული ქმედების ნაწილში უნდა დად-გეს იმის მიხედვით, თუ რა ზიანი მიადგა ამ უკანასკნელს.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის „დ“ ქვეპუნქტი, 108-ე და 109-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №190აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 15.09.2014 წლის განაჩენით დ. გ. ცნობილ იქნა დამ-ნაშავედ სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (ორი პირის განზრახ

მკვლევლობის მცდელობა) და 108-ე მუხლით (განზრახ მკვლევლობა) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 19 დეკემბერს, დაახლოებით 10.30 საათზე, დ. გ. იმყოფებოდა ავტონაწილეთის ბაზრობის წინამდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, მოძრაობდა „opel zafiras“ მარკის ავტომანქანით, რა დროსაც გადაკვეთა საავტომობილო მაგისტრალის გამყოფი უწყვეტი ზოლი და სანინააღმდეგო მოძრაობის ზოლში, ქ-ის მიმართულებით ავტომანქანის შემობრუნებისას შეეჯახა უკუსვლით მოძრავ „bmw-525i“ მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა ლ. კ. აღნიშნული საგზაო ინციდენტის გამო დ. გ-სა და ლ. კ-ს შორის მოხდა სიტყვიერი შეკამათება. ინციდენტს შეესწრნენ ასევე „bmw-525i“ მარკის ავტომანქანაში მსხდომი ზ. და მ. დ-ები. კამათი გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში უკვე დ. გ-სა და ზ. დ-ს შორის, რა დროსაც დ. გ. განაწყენდა ზ. დ-სა და მ. დ-ზე, რის გამოც შურისძიების მოტივით, თანაქონი გასაშლელი დანა ჯერ ძლიერად დაარტყა მ. დ-ს და მიაყენა შემავალი ჭრილობა გულ-მკერდის უკანა, გვერდით ზედაპირზე, ხოლო შემდეგ იმავე დანით გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში შემავალი ჭრილობა მიაყენა ზ. დ-ს. დ. გ-ს განზრახვა ზ. და მ. დ-ების სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ზ. და მ. დ-ებისათვის მძიმე ჭრილობების მიყენების შემდეგ დ. გ-ს წინ გადაეღობა და მის შეჩერებას შეეცადა იქვე მდებარე ავტომაღაზიიდან გამოსული ლ. ჯ., რომლის ასეთ მოქმედებაზე განაწყენებულმა დ. გ-მ შურისძიების მოტივით, ამჯერად გადაწყვიტა მისი მოკვლა. ამ მიზნით მან ლ. ჯ-ს ხელში მომარჯვებული იმავე დანის დარტყმით გულ-მკერდის წინა ზედაპირზე, მარცხნივ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. მიუხედავად განუთლი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა, ლ. ჯ. მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა რეგიონალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ დ. გ-ს ადვოკატებმა, რომლებმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვეს დ. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 23.02.2015 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 15.09.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: დ. გ-ს ქმედება სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 19,108-ე მუხლზე (ზ. დ-ს ეპიზოდი) და 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (მ. დ-ს ეპიზოდი).

დ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ: სსკ-ის 108-ე მუხლით (ლ. ჯ-ს ეპიზოდი); 19,108-ე მუხლით (ზ. დ-ს ეპიზოდი) და 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (მ. დ-ს ეპიზოდი).

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრეს მსჯავრდებულ დ. გ-ს ადვოკატებმა და პროკურორმა.

დ. გ-ს ადვოკატებმა ითხოვეს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

პროკურორმა ითხოვა განაჩენში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილების შეტანა და ზ. და მ. დ-ების დაჭრის ეპიზოდში დ. გ-ს ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატამ განმარტა: იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულსა და დაზარალებულ მ. დ-ს შორის არც სიტყვიერ და არც ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, რომ მისთვის ერთი დარტყმის მიყენების შემდეგ მსჯავრდებულმა შეწყვიტა მის მიმართ დანაშაულებრივი მოქმედება, რომ მისი აგრესია მიმართული იყო მეორე დაზარალებულისკენ – ზ. დ-სკენ, სააპელაციო პალატას აძლევდა დასკვნის გაკე-

თების საფუძველს, რომ დ. გ-ს არ ჰქონია მ. დ-ს მოკვლის განზრახვა. იგი მოქმედებდა არაკონკრეტიზირებული პირდაპირი განზრახვით და სურდა სხეულის დაზიანების მიყენების გზით მოეშორებინა მ. დ., რათა სისრულეში მოეყვანა ზ. დ-ს მოკვლის განზრახვა. ასეთ შემთხვევაში დ. გ-ს პასუხისმგებლობა მ. დ-ს მიმართ განხორციელებული ქმედების ნაწილში უნდა დადგეს იმის მიხედვით, თუ რა ზიანი მიადგა ამ უკანასკნელს. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ მ. დ-სთვის მიყენებული დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს. ამდენად, რადგან სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. გ. მ. დ-ს მიმართ მოქმედებდა არაკონკრეტიზირებული პირდაპირი განზრახვით (რასაც იზიარებს საკასაციო პალატაც), სურდა სხეულის დაზიანების მიყენების გზით მოეშორებინა იგი, რათა სისრულეში მოეყვანა ზ. დ-ს მოკვლის განზრახვა, დ. გ-ს ქმედება მ. დ-ს მიმართ განხორციელებული ქმედების ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის), არამედ – სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 23.02.2015 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: დ. გ-ს ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (მ. დ-ს ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე. დ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით (ლ. ჯ-ს ეპიზოდი); 19,108-ე მუხლით (ზ. დ-ს ეპიზოდი), 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მ. დ-ს ეპიზოდი) და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვანაბრძნობით

ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმინევნიტ დეტალურად უნდა შეისწავლონ და გააანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის ელემენტი, რომლის მიმართულებაც განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისგან.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის განმარტება საქმეზე №227აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 16.11.2015 წლის განაჩენით ლ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით მასში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის 11 მარტს, დაახლოებით 21.40 საათზე, ნასვამმა ლ.მ-მ, განაწყენებულმა იმით, რომ იმავე დღეს, რამდენიმე საათით ადრე, შსს-ს რაიონული სამმართველოს შენობაში ყოფნისას, არ მისცეს ამავე რაიონის უზნის ინსპექტორ-გამომძიებელთან შეხვედრის

საშუალება, ურთიერთშელაპარაკების დროს, შურისძიების მოტივით, ძირს დაანარცხა და საკუთარი დანის არაერთხელ დარტყმით ჩაიდინა შსს-ს რაიონული სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის სპეციალისტის, პოლიციის ზემდეგ თ. რ-ს მკვლელობის მცდელობა. ლ. მ-მ თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზის – დანაშაულის ჩადენის პროცესში შემთხვევის ადგილზე მისული, შსს-ს რაიონული სამმართველოს მუშაკების – ა. ქ-ს, თ. ჩ-სა და გ. შ-ს მიერ მისი განიარაღებისა და შეპყრობის გამო. თ. რ-ს სიცოცხლის შენარჩუნება მოხერხდა მისთვის დროულად განეული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატებმა. მათ ითხოვეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 16.11.2015 წლის განაჩენში ცვლილების შეტანა და ლ. მ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 117-ე მუხლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 09.03.2016 წლის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორებმა – მსჯავრდებულმა ლ. მ-მ და მისმა ადვოკატმა საკასაციო საჩივრით ითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 09.03.2016 წლის განაჩენში ცვლილების შეტანა და ლ. მ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საკასაციო პალატამ განმარტა: ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმინევიანთ დეტალურად უნდა შეისწავლონ და გააანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის ელემენტი, რომლის (ანუ განზრახვის) მიმართულე-ბაც განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბრალდების პროზიციში ბუნდოვანია საკითხი – როდის წარმოეშვა ლ. მ-ს მკვლელობის განზრახვა: თ. რ-სთან ურთიერთშელაპარაკებისას, მანამდე თუ ამის შემდეგ, მაშინ, როდესაც მის მიერ ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის ეს გარემოება იძენს ერთ-ერთ განმსაზღვრელ მნიშვნელობას. თუკი ლ. მ-ს მკვლელობის განზრახვა თავიდანვე (ურთიერთშელაპარაკებისას ან მანამდე) გაჩნდა, მაშინ რა უშლიდა ხელს, რომ დანიანი მუშტის მაგივრად, დანა მჭრელი პირის მხრიდან ჩაერტყა, რათა მყისიერად აღესრულებინა დასახული მკვლელობის მიზანი.

თუ მსჯავრდებულს მკვლელობის განზრახვა ურთიერთშელაპარაკებისა და დანიანი მუშტის ჩარტყმის შემდეგ წარმოეშვა, რატომ ვერ მოახერხა საშუალო ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდამ, მსუბუქად მთვრალმა, რომელიც შეიარაღებული იყო დაახლოებით 20 სმ სიგრძის დანით, 2-5 წუთის განმავლობაში თავისი დანაშაულებრივი განზრახვის (მკვლელობის) სისრულეში მოყვანა, მით უმეტეს – იმ პირობებში, როცა ნაქცევის შედეგად დაზარალებულმა მიიღო მარჯვენა მხრის დაზიანება და როგორც თავის ჩვენებაში აღნიშნავს – „მარჯვენა ხელი აღარ ჰქონდა“, განიცდიდა გაუსაძლის ტკივილს ასევე თვალის მიდამოში და თვალიდან წამოსული სისხლის გამო მხედველობაც მნიშვნელოვნად ჰქონდა შეზღუდული.

შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის არ არის სარწმუნო, რომ მკვლელობის განზრახვით შეპყრობილ ლ. მ-ს ნაქცეული და უკვე ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებამიყენებული თ. რ-სთვის დანის გამოყენებით მხოლოდ ჯანმრთელობის მსუბუქი ორი დაზიანე-

ბის მიყენებულა მოეხერხებინა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა გამორიცხავს ლ. მ-ს მიერ თ. რ-ს მკვლელობის მცდელობის განზრახვას და მკაფიოდ მიუთითებს მისთვის მხოლოდ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენების მიზანზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, თითქოს საქმე გვაქვს შურისძიებასთან, მაგრამ სინამდვილეში სახეზეა უმნიშვნელო საბაბით განპირობებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მოტივი, რაც სამართლებრივად უნდა შეფასდეს როგორც ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი ქმედება. მსგავს შემთხვევებში, დაზარალებულისადმი სამაგიეროს მიზღვისკენ დამნაშავეს სწრაფვა არ ეფუძნება რაიმე ანგარიშგასანევ, სერიოზულ საფუძველს (მაგალითად, დაზარალებულის მხრიდან შეურაცხყოფას, ანდა დამნაშავეს ან მისი ახლობლის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ძალადობასა თუ სხვა უკანონო ქმედებას და ა.შ.), რის გამოც მისი ქმედების სუბიექტური შინაარსი, მოტივაციის თვალსაზრისით, შესაბამისად ფასდება ხულიგნურ ქვენაგრძნობად.

შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ლ. მ-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძნობით, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი არაერთგვაროვანი

სსკ-ის მე-15 მუხლის (არაერთგვაროვანი დანაშაული) შინაარსი გამორიცხავს სსკ-ის 104-ე (1960 წლის რედ.) მუხლით ნასამართლევი გ. ფ-სთვის სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, მე-15 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განმარტება საქმეზე №384აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 18.06.2014 წლის განაჩენით გ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ორი პირის მიმართ და არაერთგვაროვანი, რაც გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.02.1998 წლის განაჩენით განზრახ მკვლელობისათვის ნასამართლევა გ. ფ-მ 2014 წლის 7 იანვარს ზუგდიდის რაიონის მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში გ. თ-სა და გ. გ-ს მუცლის არეში დანით განზრახ მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ფ-მ და მისმა ადვოკატმა. აპელანტებმა ითხოვეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 18.06.2014 წლის განაჩენის გაუქმება და გ. ფ-ს გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 16.09.2014 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები – მსჯავრდებული გ. ფ. და მისი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გ. ფ-ს გამართლებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: გასაჩივრებული განაჩენი, გ. გ-სთვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ნაწილში, აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა გ. ფ-ს მიერ გ. გ-ს დაჭრის ფაქტზე (თავად დაზარალებულმა სასამართლო სხდომაზე უარყო აღნიშნული ფაქტი და მიუთითა, რომ სიმთვრალის გამო არ ახსოვს, თუ ვინ და რა ვითარებაში დაჭრა), რის გამოც ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებული უნდა გამართლდეს.

მსჯავრდებული ასევე უნდა გამართლდეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების არაერთგზის ჩადენის ნაწილშიც, რადგან სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. სსკ-ის 117-ე მუხლზე კანონმდებელს ამგვარი დათქმა არ გაუკეთებია, შესაბამისად, სსკ-ის მე-15 მუხლის შინაარსი გამოორიცხავს სსკ-ის 104-ე (1960 წლის რედ.) მუხლით ნასამართლევი გ. ფ-სთვის სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას,

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 16.09.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: გ. ფ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით

პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, ხელყოფა იმნუთიერი და რეალურია, ხოლო მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედება კი უკიდურესობით გამოწვეული მოქმედებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ხელყოფის მოგერიებისთვის და წარმოადგენს შედარებით მსუბუქ თავდაცვის საშუალებას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 20 მაისის საქმეზე №593აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით დ. ც-ს ბრალი დაედო სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ე.ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.01.2015 წლის განაჩენით დ. ც-ს ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 122-ე მუხლზე და განესაზღვრა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 29 აპრილს, დაახლოებით 13.30 საათზე, თ-ში, .. ქ. №-ის ეზოში, დ. ც-სა და ლ. ფ-ს შორის მანამდე არსებული სამეზობლო დავა გადაიზარდა სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში, რა დროსაც დ. ც-მ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ლ. ფ-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.10.2015 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.2015 წლის განაჩენი დ. ც-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულმა. პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლა და დ. ც-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო მსჯავრდებულის – გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, ხელყოფა იმნუთიერი და რეალურია, ხოლო მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედება კი უკიდურესობით გამოწვეული მოქმედებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ხელყოფის მოგერიებისთვის და წარმოადგენს შედარებით მსუბუქ თავდაცვის საშუალებას. მართალია, აუცილებელი მოგერიების დროს არ არსებობს სამართლებრივ სიკეთეთა შესაბამისობის მოთხოვნა, მაგრამ თავდაცვა არ არის მართლზომიერი სამართლებრივ სიკეთეთა აშკარა შეუსაბამობის დროს. არ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით. ამასთანავე, უნდა დადგინდეს მომგერიებლის სუბიექტური დამოკიდებულება, კერძოდ, მოგერიება უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული.

მოცემულ შემთხვევაში, სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად ზუსტად დადგინდეს შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების ანალიზის საფუძველზე გაირკვეს, თუ რით იყო გამოწვეული და რისკენ იყო მიმართული პირის ქმედება: ანუ დ. ც. მოქმედებდა სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების განზრახვით საკუთარი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საფრთხის არარსებობის პირობებში, თუ საკუთარი წარმოდგენით მოქმედებდა მართლზომიერად, იცავდა თავს, მისთვის არსებითი არ იყო მიყენებული დაზიანების ხარისხი და მთავარი იყო აღნიშნულით უზრუნველყო საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ფ. დ. ც-სთან მივიდა სახლში და მათ შორის მოხდა შელაპარაკება, რაც სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც ლ-მ დ-ს დაუზიანა ხელი, ანუ იგი მართლსაწინააღმდეგოდ (ვინაიდან კანონი კრძალავს აღნიშნული ქმედების ჩადენას) თავს დაესხა დ. ც-ს და ზიანი მიაყენა მის კანონით დაცულ სიკეთეს – ჯანმრთელობას; ხელყოფა იყო რეალური, ვინაიდან მან ობიექტურად მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება (მოტყდა ხელის თითი) და – იმნუთიერი, ვინაიდან კონფლიქტი დ. ც-სა და ლ. ფ-ს შორის არ იყო ამონურული. თავის მხრივ, დ. ც-მ, ტკივილისა და შეურაცხყოფისაგან გამწარებულმა, თავდაცვის მიზნით, თუმცა თავდაცვის აშკარა შეუსაბამობით მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, ლითონის მილი რამდენჯერ-

მე მოუქნია ლ. ფ-ს, რითიც ლ. ფ-მ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ დ. ც-სთვის მიყენებული დაზიანებისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ლ. ფ. არ იყო შეიარაღებული რაიმე საგნით, არ იყო აუცილებელი ლითონის მილის არაერთხელ ჩარტყმა თავისა (სიცოცხლისათვის განსაკუთრებულად სახიფათო არეში) და სხეულის სხვა მიდამოებში, რამაც გამოიწვია კიდევც ლ. ფ-ს ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.10.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელი.

ცემა

ძალადობრივ ქმედებას ცემის სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც მოძალადე მსხვერპლს სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას აყენებს, ხოლო სხვაგვარი ძალადობა გამოიხატება ერთჯერად ძალადობრივ აქტში: ხელის ერთხელ დარტყმაში, თმებით თრევაში. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია ფიზიკური ტკივილის გამოწვევა, ამასთან, სავალდებულოა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ძალადობრივ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს – ფიზიკურ ტკივილს შორის.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განმარტება საქმეზე №397აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2013 წლის 12 სექტემბერს ქ. მ-ში, ა-ის ქუჩაზე, ...-ის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ც. ზ-მ ურთიერთშეღებულ პარაკების ნიადაგზე დ. მ-ს ჯერ მუშტი ჩაარტყა ხელში, ხოლო შემდეგ ჩანთა თავსა და გულმკერდის არეში, რის შედეგადაც მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, რითაც დაზარალებულმა დ. მ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

ც. ზ-ს ზემოაღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 05.05.2014 წლის განაჩენით ც. ზ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელმაც ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ც. ზ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.09.2014 წლის განაჩენით გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 05.05.2014 წლის გამამართლებელი განაჩენი. ც. ზ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რისთვისაც სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი.

მსჯავრდებულის ადვოკატის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა ც. ზ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მისი გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: კანონმდებლის მიერ სსკ-ის 125-ე მუხლით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანესებულია ცემის ან სხვაგვარი ძალადობისათვის, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია). ძალადობრივ ქმედებას ცემის სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც მოძალადე მსხვერპლს სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას აყენებს, ხოლო სხვაგვარი ძალადობა გამოიხატება ერთჯერად ძალადობრივ აქტში, მაგ: ხელის ერთხელ დარტყმაში, თმებით თრევაში. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია ფიზიკური ტკივილის გამოწვევა, ამასთან, სავალდებულოა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ძალადობრივ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს – ფიზიკურ ტკივილს შორის.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ც. ზ-ს მიერ დ. მ-ს ცემა არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. შესაბამისად, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.09.2014 წლის გამამტყუნებელი განაჩენი. ც. ზ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.¹

4.3. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

სქესუალური კავშირის ან სქესუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების უკანონო მოპოვება არ მოიცავს იმის უპირობო ვარაუდს, რომ მის მომპოვებელს ამ კადრების გავრცელების მუქარით ინტიმური ურთიერთობის გაგრძელების მოტივი ამოძრავებდა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე და 157-ე მუხლები²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 07 მაისის განმარტება საქმეზე №449აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბრალდების შესახებ დადგენილებით ა. თ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა სქესობრივი კავშირის იძულება სახელგამტეხი ცნობის გახმაურების მუქარით და პირადი საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გავრცელება, რაც გამოიხატა შემდეგში: ა. თ-მ 2012 წლის

¹ ამჟამად: საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლი ამოღებულია 01.12.2016 №59 და ცემა რეგულირდება სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

² 4.05.2017 წლის №763 საქართველოს კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 ივნისიდან, სსკ-ის 139-ე მუხლში ცვლილება იქნა შეტანილი;

03.06.2016 წლის №5152 წლის კანონით სსკ-ის 157-ე მუხლში ცვლილება იქნა შეტანილი.

დეკემბერში და 2013 წლის 18 დეკემბერს სასტუმრო „გ-ში“ სქესობრივი კავშირი დაამყარა თ. კ.-სთან. სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ ა. თ.-მ სოციალურ ქსელ „ოქსიკლასნიკებში“, თ. კ.-ს ნების საწინააღმდეგოდ, გაავრცელა მასთან სქესობრივი კავშირის ამსახველი ფოტომასალა და მობილური ტელეფონით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა თ. კ.-ს საქმროს – გ. ჯ.-ს ამ ფოტომასალის არსებობის შესახებ. გ. ჯ.-ს მიერ ფოტოსურათების ნახვის შემდეგ ჩაიშალა მათი ქორწინება, ხოლო თ. კ. ა. თ.-ს მიერ მიყენებული მორალური ტრავმის შემდეგ გადიოდა მკურნალობას ქის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში.

სენაკის რაიონული სასამართლოს 10.07.2014 წლის განაჩენით ა. თ. გამართლდა სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. მან ითხოვა ა. თ.-ს სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უდანაშაულოდ ცნობის ნაწილში სენაკის რაიონული სასამართლოს 10.07.2014 წლის განაჩენის გაუქმება და ზემოაღნიშნული მუხლით მისი დამნაშავედ ცნობა.

განაჩენი სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა და ითხოვეს ა. თ.-სთვის დანიშნული სასჯელის შემცირება და პირობითად ჩათვლა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 01.10.2014 წლის განაჩენით სენაკის რაიონული სასამართლოს 10.07.2014 წლის განაჩენი გაუქმდა; ა. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი მსჯავრდებული და მისი ადვოკატი ითხოვეს ა. თ.-ს გამართლებას სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხულ ბრალდებაში, ასევე – სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლას.

საკასაციო პალატამ განმარტა: არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ ა. თ.-ს მიერ მასსა და თ. კ.-ს შორის სქესობრივი კავშირის ამსახველი კადრების უკანონოდ მოპოვება მიუთითებდა ა. თ.-ს სწორედ იმ განზრახვაზე, რომ ამ კადრების გავრცელების მიუქართ იძულებული გაეხდა თ. კ. მასთან სექსუალური ურთიერთობა გაეგრძელებინა. საკასაციო პალატის აზრით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების უკანონოდ მოპოვება არ მოიცავს იმის უპირობო ვარაუდს, რომ მის მომპოვებელს ამ კადრების გავრცელების მიუქართ ინტიმური ურთიერთობის გაგრძელების მოტივი ამოძრავებდა. ამასთან, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ა. თ.-ს ქმედება შესაძლოა, შეიცავდეს იძულებისთვის (სსკ-ის 150-ე მუხლი) დამახასიათებელ ნიშნებს იმ ნაწილში, რომ იგი ყველა ხერხითა და საშუალებით ცდილობდა, იძულებული გაეხდა და თ. კ. უარი ეთქვა ქორწინებაზე, ანუ აიძულებდა მას უარი ეთქვა იმ მოქმედების შესრულებაზე, რომლის შესრულება/არ შესრულებიდან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდების შესახებ დადგენილება არ შეიცავდა ა. თ.-ს მიერ განხორციელებულ აღნიშნული მოქმედების სამართლებრივ აღწერას – საკასაციო პალატა კანონისმიერად მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა მისი ქმედების სსკ-ის 139-ე მუხლიდან სსკ-ის 150-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 01.10.2014 წლის განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება: მსჯავრდებული ა. თ. გამართლდა სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. ეკონომიკური დანაშაული

5.1. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია

დანაშაულის ჩადენის დროს გამორჩენა არ ნიშნავს დანაშაულის არარსებობას იმ ვითარებაში, როცა უდავო მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება დანაშაულის ჩადენის დრო.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №ნაპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

გ. ჩ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 19 თებერვალს ...-ის საავტომობილო გზის გვერდით მდებარე ე. ა-ს კუთვნილი მინის ნაკვეთიდან გ. ჩ-მ ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ამოიღო ვენახის ბეტონის 45 სარი და დაეუფლა მათ. თითოეული სარის ღირებულება შეადგენდა 5 ლარს, შესაბამისად, აღნიშნული ქურდობის შედეგად ე. ა-ს მიაღვა 225 ლარის ღირებულების მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

გ. ჩ-მ ...-ის საავტომობილო გზის გვერდით მდებარე ლ. ჯ-ს კუთვნილი მინის ნაკვეთიდან ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ამოიღო ვენახის ბეტონის 130 სარი და დაეუფლა მათ. თითოეული სარის ღირებულება შეადგენდა 6 ლარს, შესაბამისად, აღნიშნული ქურდობის შედეგად ლ. ჯ-ს მიაღვა 780 ლარის ღირებულების მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

თელავის რაიონული სასამართლოს 15.05.2015 წლის განაჩენით გ. ჩ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ლ. ჯ-ს ეპიზოდი); იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ე. ა-ს ეპიზოდი) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. რაც ჩაეთვალია პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. მან ითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 15.05.2015 წლის განაჩენის შეცვლა ლ. ჯ-ს ეპიზოდში გ. ჩ-ს გამართლების ნაწილში და მისი დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორივე ეპიზოდში).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.11.2015 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი გ. ჩ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

პროკურორმა საკასაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა ლ. ჯ-ს ეპიზოდში გ. ჩ-ს გამართლების ნაწილში და მისი დამნაშავედ ცნობა.

საკასაციო პალატამ განმარტა: ბრალდების დადგენილებაში მითითებული „...“-ის საავტომობილო გზის გვერდით მდებარე ლ. ჯ-ს კუთვნილი მინის ნაკვეთი“ საკმარისია დანაშაულის ჩადენის ადგილმდებარეობის განსასაზღვრად; რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის დროს, მისი გამორჩენა არ ნიშნავს დანაშაულის არარსებობას იმ ვითარებაში,

როცა უდავო მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება დანაშაულის ჩადენის დრო, კერძოდ: დაზარალებულ ლ. ჯ-ს, ბრალდებულ გ. ჩ-სა და მოწმე გ. ფ-ს ჩვენებებით დადასტურებულია, რომ ქმედების ჩადენის დრო მოიცავს 2015 წლის 19 თებერვლიდან იმავე წლის 22 თებერვლამდე პერიოდს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება გამორიცხავს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის საკითხის ნამოჭრის შესაძლებლობას, ხოლო სხვა მხრივ ზუსტი დროის დაუდგენლობა კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის არსებობისათვის არ არის აუცილებელი დანაშაულის ჩადენის დროის დადგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ჩ-ს ქმედებაში სახეზეა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა (ლ.ჯ-ს ეპიზოდი), რის გამოც პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.11.2015 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: გ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ე. ა-ს ეპიზოდი), 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ლ. ჯ-ს ეპიზოდი) და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

ქურდობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა, მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე.

პირის ქმედება რომ ქურდობად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, ქურდობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის არსებობა: სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება, ქმედების ფარული ფორმით განხორციელება და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტები, 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 დეკემბრის განმარტება საქმეზე №410აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რ. გ-ს, შ. კ-ს და გ. გ-ს ბრალი დაედოთ შემდეგი დანაშაულის ჩადენაში: 2015 წლის 29 აპრილს, თბილისში, შ. კ., გ. გ. და რ. გ. ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად დაეუფლნენ სასტუმროში მდგარ აპარატს, რომელიც შ. კ-მ და მ. თ-მ ქ. თბილისში, 110 ლარად გაასხვისეს მათთვის უცნობ პირზე, ხოლო აღებული თანხა ერთობლივად დახარჯეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.01.2016 წლის განაჩენით: რ. გ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე;

შ. კ-ს მიმართ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“

ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, ხოლო გ. გ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა რ.გ-მ და შ.კ-მ, ასევე პროკურორმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.05.2016 წლის განაჩენით მსჯავრდებულ რ. გ-ს და პროკურორის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; მსჯავრდებულ შ. კ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.01.2016 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: შ. კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.05.2016 წლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ რ. გ-ს ადვოკატმა და პროკურორმა.

კასატორის – მსჯავრდებულ რ. გ-ს ადვოკატის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.05.2016 წლის განაჩენის გაუქმება და რ. გ-ს გამართლება.

პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა შ. კ-ს, რ. გ-სა და გ. გ-ს დამნაშავეებად ცნობა წარდგენილი ბრალდებებით.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილე წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია (№618აპ-15), რომ წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა; მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტიდან. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია ჯგუფის წევრებს შორის როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – ჟესტებსა და მიმიკებში გამოიხატოს.

მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება არც აღნიშნულ პირებს შორის წინასწარი შეკავშირების ფაქტი და არც ის, რომ სათამაშო აპარატი სასტუმროდან გაიტანეს. იგი წარმოადგენს მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდს.

სსკ-ის 177-ე მუხლის თანახმად, პირის ქმედება რომ ქურდობად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, ქურდობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის არსებობა, კერძოდ: 1. სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება. 2. ქმედების ფარული ფორმით განხორციელება. 3. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა. ხოლო აღნიშნული დანაშაული დამთავრებულია ნივთის დაუფლების მომენტიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.

ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა, რომ მათ ამოძრავებდათ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და არ არის გამორიცხული ეჭვი, რომ სურდათ ამ ნივთით მხოლოდ სარგებლობა – თამაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ რ. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმა-

ყოფილდა, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და რ. გ. მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხულ მსჯავრდებაში.

ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის

დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განმარტება საქმეზე №283აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.02.2014 წლის 3 თებერვლის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: ი. ჯ. სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ჯ. თ-ა – სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 8 მაისს, ი. ჯ. ჯ. თ-სთან წინასწარი შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ა. ბ-ს კუთვნილ საფულეს, რომელშიც იდო ფულადი თანხა – 55 ლარი და 40 თეთრი. აღნიშნული საფულე მან მაშინვე გადასცა თანმხლებ პირს – ჯ. თ-ს, რის შემდეგაც თბილისის შს სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებმა ისინი შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

აღნიშნული ქმედებისათვის მათ განესაზღვრათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.06.2014 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.02.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ი. ჯ. და ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და ი. ჯ-ს გამართლებას.

მსჯავრდებული ჯ. თ. ითხოვს საქმის განხილვას და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეუ-

ლი მტკიცებულებებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 3.02.2014 წლის განაჩენით ბრალად შერაცხული ქურდობის ჩადენისას – 2013 წლის 8 მაისს – ჯ. თ.-ს სასამართლო-ბა უკვე გაქარწყლებული ჰქონდა, გამორიცხული იყო მისთვის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ბრალად შერაცხვის სამართლებრივი შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.06.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: ჯ. თ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.06.2014 წლის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქურდობის მცდელობა, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევიით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია

სსკ-ის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.

ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაეუფლება სხვის ქონებას და რეალური შესაძლებლობა აქვს, განკარგოს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიუხედავად იმისა, მოახერხა/მოახდინა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზება.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები და მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 04 იანვრის საქმეზე №366აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

მსჯავრდებულ რ. პ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. კერძოდ, ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 11.06.2002 წლის განაჩენით სსკ-ის 78-ე მუხლითა და 252-ე მუხლის მე-4 ნაწილით (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) მსჯავრდებულმა რ. პ.-მ 2014 წლის 23 აგვისტოს ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია დ. ჩ.-ს საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე და ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ სამ ტომარა თხილს, რითაც დაზარალებულს მიაყენა 559,7 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. პ.-ს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 22.10.2008 წლის განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 5000 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა რ. პ.-მ და მისმა ადვოკატმა და ითხოვეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 04.12.2014 წლის განაჩენის გაუქმება და რ. პ.-ს გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.05.2015 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 04.12.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ განმარტა: დადასტურებულად მიაჩნია რ. პ.-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას რ. პ.-ს მიერ ქურდობის არაერთგზის ჩადენის თაობაზე, არ იზიარებს, ასევე არ ეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენს იმ ნაწილში, რომ მსჯავრდებულ რ. პ.-ს მიერ ჩადენილია დამთავრებული დანაშაული.

ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაეუფლება სხვის ქონებას და რეალური შესაძლებლობა აქვს, განკარგოს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიუხედავად იმისა, მოახერხა/მოახდინა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზება. გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა რ. პ.-მ დ. ჩ.-ს საცხოვრებელი სახლიდან გამოიტანა 3 ტომარა თხილი, 2 სახლის კედელთან მიაყუდა, ხოლო ერთი მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. სწორედ ასეთ ვითარებაში – სხვისი ქონების ფარულად დაუფლების პროცესში – დ. ჩ.-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში დააკავეს იგი სამართალდამცველებმა, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ რ. პ.-ს მიერ ჩადენილია დანაშაულის მცდელობა, ვინაიდან მან ვერ მოახერხა დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე მიყვანა.

სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევ პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზისი დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სსკ-ის შესაბამის მუხლში. სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ სსკ-ის 177-ე-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ჩაითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა. მსჯავრდებულ რ. პ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 11.06.2002 წლის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 78-ე მუხლით და, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული წესით არ არის დადგენილი სსკ-ის 78-ე მუხლის (1960 წლის რედაქცია) შესაბამისობა მოქმედი სსკ-ის 224-ე მუხლთან, მსჯავრდებულ რ. პ.-სთვის აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.05.2015 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: რ. პ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.05.2015 წლის განაჩენი სხვა ნაწილში – მათ შორის რ. პ.-სთვის დანიშნული სასჯელის ნაწილში – დარჩა უცვლელად.

ქურდობა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით და დიდი ოდენობით

მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა დადგინდეს დანაშაულის ჩადენის დროს ნივთის საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, რა ფასში მოახდინა დანაშაულის ჩამდენმა პირმა მისი რეალიზაცია.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 დეკემბერის განმარტება საქმეზე №412აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

დ. კ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის მარტში დ. კ-მ შეაღწია ქ. თბილისში, „მუზეუმის საცავში“ და ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა მუზეუმის საცავში დაცულ მაღალმხატვრული ღირებულების მქონე უნიკალურ ნივთებს, ღირებულს 42 156 ლარად, რითაც მუზეუმს მიადგა დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.02.2016 წლის განაჩენით დ. კ-ს ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.05.2016 წლის განაჩენით პროკურორის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.02.2016 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრით პროკურორმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.05.2016 წლის განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ დ. კ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

საკასაციო პალატამ განმარტა: იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ქმედების სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია დამნაშავეს არ ჰქონდეს საცავში, ან სადგომში შესვლის უფლება. მოცემულ შემთხვევაში, სწორედ იმ მოწმეების ჩვენებებით, რომლებზეც სახელმწიფო ბრალდება აპელირებდა, დადგენილია ის ფაქტი, რომ მუზეუმის ორივე შენობას იცავს დაცვის სამსახური, მათი გასაღებები ინახება და მათი გამოყენების უფლება აქვთ სწორედ მხოლოდ დაცვის სამსახურის თანამშრომლებს. თუ დაცვა არ გააღებს კარს, არათუ გარეშე პირი, მუზეუმის თანამშრომელიც ვერ შეძლებს მუზეუმში შესვლას. უფრო მეტიც, მსჯავრდებულ დ. კ-ს განმარტებით, რასაც ასევე ადასტურებენ დაცვის სხვა თანამშრომლები, ისინი მუზეუმის ცენტრალური შენობის მე-3 სართულზე (საიდანაც დაიკარგა სამუზეუმო ექსპონატები), სამუზეუმო ექსპონატებიდან დაახლოებით ნახევარი მეტრის მოშორებით იცვლიდნენ ტანსაცმელს. ამდენად, პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის პოზიცია, რომ დაცვის თანამშრომლებს არ ჰქონდათ უფლება, შესულიყვნენ მუზეუმის რომელიმე ოთახში და ევალებოდათ შენობის მხოლოდ გარეგანი მთლიანობის დაცვა.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას დ. კ-სთვის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების უსაფუძ-

ვლობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაკარგული ნივთების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ ექსკლუზიურ და უნიკალურ ნაკეთობებს, უნდა დადგენილიყო დაკარგული ნივთების დანაშაულის ჩადენის დროს არსებული სახელმწიფო, საცალო, საბაზრო ან საკომისიო ფასები. არ ჩატარებულა სასაქონლო ექსპერტიზა, რომლითაც განისაზღვრებოდა ქონების ღირებულება. მოცემულ შემთხვევაში, მუზეუმისათვის მიყენებული ზიანი განისაზღვრა მხოლოდ მისი დირექტორის ჩვენების საფუძველზე, რომელიც უთითებდა ნივთების სავარაუდო და დაახლოებით ღირებულებას. საკასაციო პალატის განმარტებით, მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა დადგინდეს დანაშაულის ჩადენის დროს ნივთის საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, რა ფასში მოახდინა დანაშაულის ჩამდგენმა პირმა მისი რეალიზაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.05.2016 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქმედების გადაკვალიფიცირება ქარცვიდან იქშლებაზე

იმისათვის, რომ პირს ბრალად შეერაცხოს ძარცვა, აუცილებელია ქმედების შემადგენლობის ყველა ელემენტის არსებობა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე და 150-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 28 აპრილის განმარტება საქმეზე №391აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბრალდების შესახებ დადგენილებით, ბრალი დაედოთ:

ვ. ბ-ს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის;

თ. მ-ს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 20.11.2013 წლის განაჩენით თ. მ-ს ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა 186-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, ხოლო ვ. ბ-ს ამოერიცხა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 13 მაისს, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ორჯერ ნასამარ-

თლევნი ვ. ხ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, აშკარად დაუფლა გ. ჩ-ს კუთვნილ ტყავის ჟილეტს, რითიც დაზარალებულს მიაყენა 50 ლარის ღირებულების ზიანი. გატაცებული ჟილეტი ვ. ხ-მ იქვე გადასცა თ. მ-ს. მიუხედავად იმისა, რომ თ. მ. პირადად შეესწრო ვ. ხ-ს მიერ გ. ჩ-ს გაძარცვის ფაქტს, ის დაუფლა დანაშაულის შედეგად მოპოვებულ ნივთს, მიისაკუთრა იგი და, მიუხედავად დაზარალებულის თხოვნისა, არ დაუბრუნა პატრონს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულმა ვ. ხ-მ.

პროკურორმა ითხოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 20.11.2013 წლის განაჩენში ცვლილების შეტანა, ვ. ხ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“, მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, ხოლო თ. მ-ს – სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

მსჯავრდებულმა ვ. ხ-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.09.2014 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს 20.11.2013 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ვ. ხ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.09.2014 წლის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: ძარცვა არის სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. იმისათვის, რომ პირს ბრალად შეერაცხოს აღნიშნული დანაშაული, აუცილებელია ქმედების შემადგენლობის ყველა ელემენტის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა ვ. ხ-ს ქმედებაში სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობა, კერძოდ: საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ვ. ხ-ს არ ჰქონია გ. ჩ-ს კუთვნილი ჟილეტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ არის დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, სამართლებრივად შეუძლებელია ვ. ხ-სთვის სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შერაცხვა.

ამასთან, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოწმეების ჩვენებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ ვ. ხ-მ თავისი მოქმედებებით (ძიძგილაობა, საყელოში ხელის წაღება) აიძულა გ. ჩ. გაეხადა ჟილეტი და ეჩუქებინა თ. მ-სთვის, ანუ ფიზიკური იძულებით შეასრულებინა მას მოქმედება, რომლის შესრულება/არშესრულებებისგან თავის შეკავება მისი უფლება იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.09.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: ვ. ხ-ს ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

**ქარცვა, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო
ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ
მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისთვის**

სსკ-ის 186-ე მუხლის დისპოზიცია – წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება – არ ითვალისწინებს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებას და გამოძალვას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები, 186-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №282აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.12.2015 წლის განაჩენით ს. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

განაჩენით მსჯავრდებულ ს. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.05.2007 წლის განაჩენით ს. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.06.2014 წლის განაჩენით – სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ს. კ-მ 2015 წლის 20 აგვისტოს, დაახლოებით 10:15 საათზე, ქ. ...ში, ი. ყ-ს ამკარად გასტაცა ოქროს ყელსაბამი, რაც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა. ს. კ-ს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ი. ყ-ს მიაღვა 720 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.03.2016 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ს. კ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.03.2016 წლის განაჩენში ცვლილების შეტანა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება.

საკასაციო პალატამ განმარტა: ქმედების სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი პირობა არის ის, რომ პირი ორჯერ ან მეტჯერ იყოს ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. მოცემულ შემთხვევაში, ს. კ-თვის აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რადგან იგი ნასამართლავი იყო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

სსკ-ის 186-ე მუხლის დისპოზიცია – წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება – არ ითვალისწინებს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებას და გამოძალვას. შესაბამისად, იგი არ იძლეოდა ს. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედების სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.03.2016 წლის განაჩენში შევიდა

ცვლილება: ს. კ-ს მსჯავრდებიდან ამოერიცხა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ყაჩაღობა, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით

ის ფაქტი, რომ თავდასხმა მოხდა მაღაზიაში, არ შეიძლება განხილულ იქნეს სადგომში/საცავში უკანონო შეღწევად, ვინაიდან, ყაჩაღობა მოხდა მაშინ, როდესაც მაღაზია ღია იყო და სამუშაო საათები არ იყო დამთავრებული.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 08 მაისის განმარტება საქმეზე №419აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 04.04.2014 წლის განაჩენით ი. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით; ასევე – საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და ტარება.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 19.20 საათზე, თ...-ში, მაღაზიაში, ი. გ. სხვა პირთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით თავს დაესხა მაღაზიის მეპატრონე ნ. ა-ს და მის შვილს – ლ. ა-ს, რომელთაც სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცა ფულადი თანხა, დაახლოებით 480 ლარის ოდენობით.

ი. გ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „ნაგანის“ სისტემის რეგოლვერებისათვის განკუთვნილი ორი საბრძოლო ვაზნა, რომლებსაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ი. გ-მ და მისმა ადვოკატებმა. მათ მოითხოვეს განაჩენის გაუქმება და ი. გ-ს გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.10.2014 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 04.04.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.10.2014 განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: ის ფაქტი, რომ თავდასხმა მოხდა მაღაზიაში, არ შეიძლება განხილულ იქნეს სადგომში/საცავში უკანონო შეღწევად, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ყაჩაღობა მოხდა დაახლოებით 19:20 საათზე, მაშინ, როდესაც მაღაზია ღია იყო და სამუშაო საათები არ იყო დამთავრებული; შესაბამისად, ი. გ-ს არ მიუმართავს არანაირი უკანონო ხერხისთვის მაღაზიაში შესასვლელად და არც ჰქონ-

და ამის საჭიროება, ვინაიდან მას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პირს, იქ შესვლის სრულიად კანონიერი უფლება ჰქონდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 3.10.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებული ი. გ. გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ყაჩაღობა საცავში უკანონო შეღწევით), ხოლო ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, შეუმსუბუქდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთის სახით დაწინაშეული სასჯელი.

მითვისება ან გაფლანგვა

თუ პირის ქმედებაში სსკ-ის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სსკ-ის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები, 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განმარტება საქმეზე №332აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 8.11.2014 წლის განაჩენით:

- ზ. ჯ. გამართლდა სსკ-ის 25,341-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხა, როგორც ზედმეტად წარდგენილი, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

ზ. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

- ბ. ჭ-ს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხა, როგორც ზედმეტად წარდგენილი. მის მიმართ 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

ბ. ჭ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და 341-ე მუხლით;

- ნ. კ. გამართლდა სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. მის მიმართ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

ნ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და 25,341-ე მუხლით;

– ლ. ბ. გამართლდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 25,341-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში. სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხა, როგორც ზედმეტად წარდგენილი. სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და 25,180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებები გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

ლ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

განაჩენით მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2010 წლის იანვარში რეგიონალური სატყეო სამმართველოს სატყეო უბანში ხე-ტყის უკანონოდ ჭრისათვის სს პასუხისგებაში მიეცა მოქალაქე ნ. კ., ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის – რეგიონალური სატყეო სამმართველოს სატყეო უბნის რეინჯერი მ. ლ.

2010 წლის მაისში ლ. ბ. არჩეულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

2010 წლის 21 ივნისს ზ. ჯ. დაინიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლად, ხოლო 2010 წლის 22 ივნისს ბ. ჭ. დაინიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ და ისინი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდნენ მოხელეს. 2010 წლის 26 ივლისს სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ბრძანებით, მუნიციპალიტეტის გამგეობას უსასყიდლოდ გადაეცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს უკანონოდ მოჭრილი და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული 28884.45 ლარის ღირებულების 213.662 მ³ სამასალე და საშეშე მერქანი; მათ შორის უშუალოდ ნ. კ-ს ჩამორთმეული 69.417მ³, რომლებიც 2010 წლის 27 ივლისისა და 16 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტებით სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ წარმომადგენლისგან ჩაიბარა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ – ბ. ჭ-მ. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 9 აგვისტოს და 27 სექტემბრის ბრძანებებით, უსასყიდლოდ გადაცემული მერქანი აღებულ იქნა გამგეობის ბალანსზე.

2010 წლის 25 აგვისტოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით ზ. ჯ-ს კომისიური წესით დაევალა სამასალე და საშეშე მერქნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიის შედეგად დაზარალებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

2010 წლის 3 სექტემბერს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს ბრძანებით, სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეებისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ დროებით კომისიასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გამგებლის მოადგილის – ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით, რომელსაც უშუალოდ დაევალა სამასალე და საშეშე მერქნის გადაცემის ორგანიზება და ზუსტი აღრიცხვა, ხოლო ბრძანების შესრულებაზე კონტროლი კი პირადად დაივალა ზ. ჯ-მ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მერქანი მოექცა ზ. ჯ-სა და ბ. ჭ-ს მართლობით გამგებლობაში. ნ. კ-ს დაკისრებული ჰქონდა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მისთვის ცნობილი გახდა ზემოაღნიშნული გარემოებები და ასევე ისიც, რომ 2010 წლის 25 აგვისტოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შესაბამისად, სამასალე და საშეშე მერქანი უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, ზემოთ მითითებულ ოჯახებს და განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა სახელ-

მნიფო საკუთრებაში არსებულ – მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ხსენებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად განკუთვნილ სამასალე და საშეშე მერქანს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. კ. დაუკავშირდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრსა და ახლო მეგობარს – ლ. ბ-ს და სთხოვა დახმარება ზემოაღნიშნული ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებაში. ამ მიზნით ლ. ბ-მ წააქეზა და დაიყოლია მუნიციპალიტეტის გამგებელი ზ. ჯ. თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული – მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიის შედეგად დაზარალებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად განკუთვნილი და მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული სამასალე და საშეშე მერქნის გაფლანგვაში, კერძოდ, რომ დაუყოვნებლივ მოენვია სამასალე და საშეშე მერქნის განკარგვასთან დაკავშირებით დროებითი კომისია, რომელიც დააკმაყოფილებდა ნ. კ-ს მიერ წინასწარ შერჩეული პირების განცხადებებს და შესაბამისად, მათზე განერდა მერქანს, რითაც ნაცვლად ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული გაჭირვებული მოსახლეობისა, ზემოაღნიშნულ მერქანს უსასყიდლოდ მიიღებდა ნ. კ., რომელიც შემდეგ ჩააბარებდა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებში. ასევე, ლ. ბ-მ ნ. კ-ს დასახმარებლად დაიბარა ხის გადამამუშავებელი საამქროს მესაკუთრე ვ. ქ., რომელსაც უთხრა, რომ მისთვის გადაეცა 3000 ლარი და ნ. კ. აღნიშნულის სანაცვლოდ მიუტანდა სხვადასხვა მოქალაქის სახელზე განერილ საბუთიან მერქანს, ხოლო ვ. ქ-ს მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა, ნაცვლად ამ მოქალაქეებისა, უნდა გადაეცა ნ. კ-ს. თავის მხრივ, ლ. ბ-ს ნაქეზებით, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებელი - ზ. ჯ. და მისი მოადგილე – ბ. ჭ. წინასწარ შეთანხმდნენ, რომ მათ მართლზომიერ გამგებლობაში არსებული და სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეებისათვის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიმღები დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით ნ. კ-ს მიერ წინასწარ შერჩეულ პირებზე განერილი მერქანი, ნაცვლად საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული მოსახლეობისა, უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ნ. კ-ს, რომელიც შემდეგ მერქანს ჩააბარებდა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებს და რომელიც, თავის მხრივ, მიღებული თანხით შეძლებდა როგორც მისი, ასევე მ. ლ-ს და ნაშაულებრივი ქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. შეთანხმებისამებრ, ნ. კ-მ, თავისი ახლობლებისა და ლ. ბ-ს ხელშეწყობით, შეარჩია ის პირები, რომლებიც თავიანთი სოციალური სტატუსით მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდნენ მერქნის უსასყიდლოდ გაცემისათვის დადგენილ კრიტერიუმებს და რომლებზედაც მოხდა მერქნის ფიქტიური განერა, კერძოდ: 2010 წლის 7, 23 სექტემბერსა და 13 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკურად გაჭირვებული 40 მოქალაქისათვის სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გაცემის შესახებ, რომელთაგან, როგორც დადგენილია, 21 მოქალაქეს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მათზე განერილი სამასალე მერქანი არ მიუღიათ, ხოლო ზემოხსენებულ მოქალაქეებზე განერილი სამასალე მერქანი სხვადასხვა პირის დახმარებით გადაეცა უშუალოდ ნ. კ-ს, კერძოდ, ზ. ჯ-მ და ბ. ჭ-მ იცოდნენ რა, რომ ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს რეალურად არ ჰქონდათ მიღებული მერქანი და წინასწარი შეთანხმების შესაბამისად ვერც მიიღებდნენ, ზ. ჯ-მ გამოსცა ბრძანებები ზემოაღნიშნულ მოქალაქეებზე სამასალე მერქნის გაცემის თაობაზე და ხელი მოაწერა არასწორი მონაცემების შემცველ ოფიციალურ დოკუმენტებს – ცნობებს მათ სახელზე ბრძანებაში მითითებული ოდენობით სამასალე მერქნის გადაცემის თაობაზე, ხოლო სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეთათვის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიმღებ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა – გამგებლის მოადგილე ბ. ჭ-მ შეადგინა სამასალე მერქნის გადაცემის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები – 21 მოქალა-

ქეზე ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნულ აქტებში პირადი მოტივით ბ. ჭ-მ შეიტანა ყალბი მონაცემები, თითქოსდა მათზე სამასალე მერქნის გადაცემის თაობაზე, რაც ხელმონერებით დაადასტურეს ამავე სამუშაო ჯგუფის წევრებმა. ზემოაღნიშნული ცნობები და მიღება-ჩაბარების აქტები, ნაცვლად მითითებული 21 მოქალაქისა, გადაეცა ნ. კ-ს, რომელიც უშუალოდ ეხმარებოდა ბ. ჭ-ს ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების შედგენაში, კერძოდ, ის უშუალოდ იყო ჩართული ზემოაღნიშნული ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების შედგენაში, იგი პირადად ხვდებოდა ცალკეულ მოქალაქეებსა და კომისიის წევრებს და ხელს აწერინებდა ყალბ დოკუმენტებზე. ზემოაღნიშნული მოქალაქეების სახელზე გაცემული ყალბი დოკუმენტების – ცნობებისა და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ამ მოქალაქეებზე ფიქტიურად განერილი, 15100,96 ლარად ღირებული, 106,299 მ³ სამასალე მერქანი გადაეცა ნ. კ-ს, რომელმაც უკანონოდ დაუფლებული მერქანი ჩააბარა სხვადასხვა სახერხ საამქროს, რის სანაცვლოდაც მან ხელზე მიიღო მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა. ამდენად, ლ. ბ-ს ნაქეზებით, ზ. ჯ-სა და ბ. ჭ-ს ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გაიფლანგა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული – მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით ღირებულების ქონება; ხოლო ლ. ბ-ს დახმარებით, ნ. კ-ე, ზემოაღნიშნული ცნობებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა ზემოაღნიშნულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ და უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის განკუთვნილ, დიდი ოდენობით – 15100,96 ლარად ღირებულ, 106,299 მ³ სამასალე მერქანს, რითაც არსებითად შეილახა სახელმწიფოსა და ცალკეულ პირთა კანონიერი ინტერესები.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 8.11.2014 წლის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 27.04.2015 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

პროკურორის საკასაციო საჩივრის მოხონვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ ცნობილ იქნენ დამნაშავედ: ზ. ჯ. – სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 25,341-ე მუხლით; ბ. ჭ. – სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; ნ. კ. – სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; ლ. ბ. – სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 25,341-ე მუხლით, 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25,182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 25,180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მსჯავრდებულები - ბ. ჭ., ლ. ბ., ზ. ჯ., ნ. კ. და მათი ადვოკატები საკასაციო საჩივრებით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების გამართლებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: არ იზიარებს პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ბ. ჭ-ს ქმედების სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო ლ. ბ-ს ქმედების სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირების თაობაზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებებით (№1630აპ, 27.03.08; №1818აპ, 25.07.08), თუ პირის ქმედებაში სსკ-ის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სსკ-ის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით. მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეო-

ბის გამოყენებით და იგი დამატებით ზოგადი ნორმით, სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებდა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ სწორად მოუხსნა მსჯავრდებულებს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ მსჯავრდებულმა ზ. ჯ-მ ბრძანებით პირად კონტროლზე აიყვანა რა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ. ქ., სწორედ მისი დაუდევრობით, მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით ისარგებლა ბ. ქ-მ და ლ. ბ-მ და ნ. კ-სთან ერთად ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, რითაც დაზარალდა ის 21 ადამიანი, რომელმაც ვერ მიიღო მათთვის განკუთვნილი ხე-ტყე და, შესაბამისად, შეილახა როგორც ამ ფიზიკური პირების, ისე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები, ვერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ჰუმანური ღონისძიება.

ზ. ჯ-მ სათანადოდ არ შეასრულა რა მასზე დაკისრებული ვალდებულება სამუშაო ჯგუფზე კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, მის ქმედებაში არის სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, კერძოდ, სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური პირის უფლების, სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და რაშიც მას მსჯავრი უნდა დაედოს.

საკასაციო განაჩენით პროკურორის და მსჯავრდებულების ბ. ქ-ს, ლ. ბ-ს, ნ. კ-ს, ბ. ქ-ს, ნ. კ-ს და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

მსჯავრდებულ ზ. ჯ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 27.04.2015 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ზ. ჯ. გამართლდა სსკ-ის 25,341-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხა, როგორც ზედმეტად წარდგენილი. მის მიმართ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექანა

მსჯავრდებულს ნივთის შექენის დროს ჰქონდა წინასწარი შეცნობა მისი დანაშაულებრივი გზით მოპოვების შესახებ.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და 177-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განმარტება საქმეზე №279აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.01.2014 წლის განაჩენით გ. გ. ცნობილ იქნა დამ-

ნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.02.2010 წლის განაჩენით სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ნასამართლევა გ. გ-მ 2013 წლის 18 სექტემბერს, ღამის საათებში, ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია ... მდებარე სალონში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ა. მ-ს კუთვნილ, 1400 ლარად ღირებულ „acer“-ის ფირმის ნოუთბუქს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.06.2014 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები საკასაციო საჩივრით ითხოვენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გ. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატამ განმარტა: გ. გ-ს მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის დასადასტურებლად საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა გ. გ-ს ბრალეულობას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. საქმის მასალების მიხედვით დასტურდება გ. გ-ს ქმედებაში სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები – წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა და გასაღება არაერთგზის.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. გ-ს ნივთის შეძენის დროს ჰქონდა წინასწარი შეცნობა ნოუთბუქის დანაშაულებრივი გზით მოპოვების შესახებ. გ. გ-ს მიერ იმ ფაქტის შეგნებაზე, რომ მის მიერ შეძენილი ქონება იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, მონიშნავს ის გარემოებები, რომ ნოუთბუქი იყო თითქმის ახალი, საქმის მასალებით დადგინდა, რომ იგი შეძენილი იყო 1400 ლარად, არ ახლდა მისი დამადასტურებელი დოკუმენტები, შეიძინა ძალიან იაფად – 150 ლარად; პირი, რომელმაც ნოუთბუქი გაყიდა, თვითონვე ჩააბარებდა ლომბარდში და აიღებდა უფრო მეტ თანხას, ვიდრე გ. გ-მ მისცა, თუ ამ ნოუთბუქს ექნებოდა ყველა საჭირო დოკუმენტი და ის პირი მიუთითებდა თავის ვინაობას; ნივთის შეძენა მოხდა ღამის საათებში და მსჯავრდებულის განმარტებით, ეს პირი ახსოვდა ტოტალიზატორიდან; მიუხედავად ამისა, გ. გ-მ არ დააზუსტა მისი ვინაობა, არ მოსთხოვა ნოუთბუქის დოკუმენტები, შეიძინა იაფად და ჩააბარა შეძენის ადგილიდან შორს, ... მდებარე ლომბარდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში და მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

5.2. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში

გადასახადისათვის თავის არიდება

სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს არა ის პირი, რომელმაც ჩაიბარა ან საგადასახადო შემონმების პროცესში წარადგინა შემონმებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტაცია, ან გააკეთა ახსნა-განმარტებები აუდიტის სამსახურისათვის საინტერესო საკითხებზე, არამედ ის პირი, რომელიც წარმოადგენდა გადასახადის გადამხდელს.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №556აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ხაშურის რაიონული სასამართლოს 18.02.2011 წლის განაჩენით ე. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 70 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით ე. მ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.09.2015 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ე. მ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.09.2015 წლის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხოელი, ინდივიდუალური მენარმე, იურიდიული პირის ხელმძღვანელი (დირექტორი, მთავარი ბუღალტერი), პირი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი.

საკასაციო პალატამ არასწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ვინაიდან უშუალოდ ე. მ-ს, როგორც შპს „ა-ის“ დირექტორს, ჩაბარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2008 წლის 19 სექტემბრის ბრძანება შპს „ა-ის“ საქმიანობის საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმების შესახებ, ასევე შემონმების პროგრამა, გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების განმარტებითი ბარათი, 2008 წლის 12 ნოემბრის საგადასახადო მოთხოვნა და ჩაბარების შემდეგ რაიმე განმარტება არ გაუკეთებია, არც პრეტენზია გამოუთქვამს და არც შემონმების აქტი გაუსაჩივრებია, სწორედ ის წარმოადგენდა გადასახადის გადამხდელს, საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირს.

სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს არა ის პირი, რომელმაც ჩაიბარა ან საგადასახადო შემონმების პროცესში წარადგინა შემონმებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტაცია, ან გააკეთა ახსნა-განმარტე-

ბები აუდიტის სამსახურისათვის საინტერესო საკითხებზე, არამედ ის პირი, რომელიც წარმოადგენდა გადასახადის გადამხდელს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ საზოგადოების საბუღალტრო დოკუმენტების შედგენას, გადასახადების გამონაგარიშებას, დეკლარირებასა და გადახდაზე კონტროლს აწარმოებდა ე. მ. საქმის მასალებში არ მოიპოვება ე. მ-ს მიერ ხელმოწერილი, აგრეთვე საგადასახადო სამსახურში წარდგენილი არანაირი სახის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტი (საზოგადოების ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, ბალანსები და სხვა), რომელიც დაადასტურებდა, რომ სწორედ ე. მ. ახორციელებდა საზოგადოების ფინანსურ საქმიანობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ე. მ-ს მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

6. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

6.1. საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ქურდული სამყაროს წევრობა

გამოძალვა არ მოიცავს ქურდული სამყაროს წევრობის ნიშნებს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მოიცავს გამოძალვის შემადგენლობის ნიშნებსაც.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 181-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 24 მარტის საქმეზე №392აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 03.06.2014 წლის განაჩენით რ. გ., რ. ო., ჯ. ა., ვ. ტ., თ. გ., გ. კ., ნ. ო., ნ. ი., რ. მ., ა. ხ., თ. გ. და ა. გ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო ს. დ-ს, მ. შ-ს და კ. გ-ს ქმედება სსკ-ის 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 376-ე მუხლზე. ჯ. ა., გარდა სსკ-ის 223¹-ე მუხლისა, ცნობილ იქნა დამნაშავედ 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.06.2015 წლის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 03.06.2014 განაჩენი დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და მათმა ადვოკატებმა და ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

აღნიშნული განაჩენი ასევე გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა მისი გაუქმება და მსჯავრდებულების: მ. შ-ს, კ. გ-ს, ს. დ-ს დამნაშავეებად ცნობა სსკ-ის 223¹-ე მუხლით.

საკასაციო პალატამ განმარტა: არ იზიარებს კასატორის – დაცვის მხარის – პოზიცი-

ას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მიერ დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, ა. გ-სა და თ. გ-ს ქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს არა ქურდული სამყაროს წევრობად, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, არამედ როგორც გამოძალვა, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 181-ე მუხლით.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირისაგან თანხის ან რაიმე სხვა მატერიალური სიკეთის გამოძალვა ხორციელდება ქურდული სამყაროს წევრის მიერ ქურდულ სამყაროში მოქმედი წესების გამოყენებით (საქმის ქურდული გარჩევა და სხვ.), ამასთან, გამოძალვა ხორციელდება ქურდული სამყაროსათვის სარგებლის მისაღებად, ამგვარი ქმედება გამოძალვად (სსკ-ის 181-ე მუხლი) ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან თავისი შინაარსითა და ნიშნებით ის სცდება გამოძალვის ფარგლებს და გადაიზრდება სხვა დანაშაულში, როგორცაა ქურდული სამყაროს წევრობა. საქმე ისაა, რომ მხოლოდ გამოძალვა, გათვალისწინებული სსკ-ის 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციით, არ მოიცავს ქურდული სამყაროს წევრობის ნიშნებს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მოიცავს გამოძალვის შემადგენლობის ნიშნებსაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.06.2015 წლის განაჩენი მსჯავრდებულების თ. გ-სა და ა. გ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება

ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა და ტარება განიხილება ცალკე დანაშაულად, თითოეული კვალიფიცირდება შესაბამისი ნაწილით და სასჯელიც განისაზღვრება შესაბამისი ნაწილებით ცალ-ცალკე.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 14 სექტემბრის განმარტება საქმეზე №153აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 01.12.2014 წლის განაჩენით რ. მ-ს შერაცხული ბრალდებიდან ამოერიცხა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

რ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) წარდგენილ ბრალდებაში.

რ. მ-სთვის ბრალად შერაცხული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2014 წლის 4 ივნისს, დაახლოებით 3:00 საათზე, რ. მ. №... საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა კუსტარული წესით დამზადებულ ცეცხლსასროლ იარაღს – 4,5 მმ კალიბრიან „იჟ-40“ მოდელის პისტოლეტს, რომელიც პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს მისი პირადი ჩხრეკისას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულ რ. მ-ს ადვოკატმა.

პროკურორმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულის ქმედების სწორად დაკვალიფიცირება, რადგან მიაჩნდა, რომ მსჯავრდებულს შერაცხული ბრალდებიდან არასწორად ამოერიცხა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება, ხოლო ადვოკატმა ითხოვა განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.02.2015 წლის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 01.12.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს იგივე მხარეებმა, იგივე მოთხოვნით.

საკასაციო პალატამ განმარტა: არასწორია რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მოტივაცია მსჯავრდებულისათვის წარდგენილი ბრალდებიდან სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, როგორც ზედმეტად წარდგენილის, ამორიცხვის თაობაზე.

როგორც საგამოძიებო, ისე სასამართლო პრაქტიკაში ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნისა და შენახვის ფაქტი კვალიფიცირდებოდა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო ტარება – 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნული საკითხის დღემდე არსებული როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გადანყვევთა არის ცალსახა, შენახვა და ტარება განიხილება ცალკე დანაშაულებად. თითოეული კვალიფიცირდება შესაბამისი ნაწილით და სასჯელიც განისაზღვრება შესაბამისი ნაწილებით ცალკე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დღემდე არსებული პრაქტიკის მიხედვით, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები განიხილებოდა როგორც დანაშაულთა ერთობლიობა, რა დროსაც სასამართლო დამნაშავედ ცნობდა პირს თითოეული ნაწილით გათვალისწინებული ცალკე დანაშაულისათვის და, შესაბამისად, ცალ-ცალკე უნიშნავდა სასჯელს, თითოეული ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

ამასთან, მართალია, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებიდან ირკვევა, რომ რ. მ-მ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა, მაგრამ ეს ფაქტი, გარდა მსჯავრდებულის თვითალიარებითი ჩვენებისა, არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით და ამდენად, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა მიიღეს უკანონო გადანყვევტილება, რის საფუძველზეც მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი შეფასება კვალიფიკაციის ნაწილში. აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. მ. უნდა გამართლდეს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვისთვის წარდგენილ ბრალდებაში, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო.

საკასაციო სასამართლოს განაჩენით რ. მ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა) წარდგენილ ბრალდებაში. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმნა, ტარება

სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულად ითვლება მასში ჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების (შექმნის, შენახვის, ტარების, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღების) ჩადენისთანავე, მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ და მძიმე შედეგის დადგომა არ არის საჭირო.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №11აპ-16
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 14.07.2015 წლის განაჩენით ზ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი.

განაჩენით მსჯავრდებულ ზ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ზ. გ-მ დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა საბრძოლო მასალა – 1 ცალი 7,62 მმ კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატებისათვის განკუთვნილი ვაზნა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.10.2015 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა ზ. გ-მ საკასაციო საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.10.2015 წლის განაჩენის გაუქმება და გამართლება იმ საფუძველზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მისი ქმედება ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ნიშნებს, ანუ წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ, მცირე მნიშვნელობის გამო, არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რაც გარდაუვალს გახდიდა მისი ჩამდენის პასუხისმგებლობას.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულად ითვლება მასში ჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების (შექმნის, შენახვის, ტარების, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღების) ჩადენისთანავე, მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ და მძიმე შედეგის დადგომა არ არის საჭირო. მსჯავრდებულის ქმედებას რაიმე ზიანი რომ გამოეწვია, დამატებით დაკვალიფიცირდებოდა ჩადენილი ქმედების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება სასჯელის ნაწილში: ზ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი.

ნასამართლობის მქონე პირის მიერ ცივი იარაღის ტარება

მსჯავრდებულის ქმედების შეფასებისას პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 238¹-ე მუხლის იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებდა 2014 წლის 8 იანვარიდან 2015 წლის 14 ივლისამდე.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹-ე და მე-3 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №106აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.12.2013 წლის განაჩენით ი. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. ჯ.-ს განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. ჯ.-მ და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.02.2014 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.12.2013 წლის განაჩენი ი. ჯ.-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ი. ჯ. – საკასაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემცირებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა ი. ჯ.-მ სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2013 წლის 20 სექტემბერს, რა დროსაც ამ დანაშაულის 1-ლი ნაწილის შემადგენლობისათვის საკმარისი იყო ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შემადგენლობას გვაძლევდა პირის წარსულში მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობა. მოცემულ შემთხვევაში, ი. ჯ. ნასამართლევი იყო განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და, შესაბამისად, მისმა ქმედებამ მოგვცა განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულის შემადგენლობა.

2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნაწილი იმ მიმართებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას იძლეოდა ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რა დროსაც მნიშვნელობა არ ჰქონდა არც წარსულში ნასამართლობას და არც ასაკს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობა მოგვცა 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენამ არაერთგზის ან განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი კანონის თანახმად, ვინაიდან მსჯავრდებული ი. ჯ. არ იყო განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის და არც ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადე-

ბული, ესე იგი მის ქმედებაში არ იყო სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად, წარსულში მისი ნასამართლობა მძიმე დანაშაულისათვის ვერ მოგვცემდა სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც მსჯავრდებული გამართლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

აქვე, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2015 წლის 12 ივნისის კანონით (ძალაშია 2015 წლის 14 ივლისიდან) სსკ-ის 238¹-ე მუხლში კვლავ განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც, დასჯადია მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი, რაც გულისხმობს იმას, რომ ი. ჯ-ს მიერ ჩადენილი ფაქტობრივი ქმედება ხსენებული კანონით კვლავ დანაშაულად იქნა მიჩნეული.

გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი, შესაბამისად, მსჯავრდებულ ი. ჯ-ს ქმედების შეფასებისას პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 238¹-ე მუხლის იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებდა 2014 წლის 8 იანვარიდან 2015 წლის 14 ივლისამდე.

საკასაციო სასამართლოს განაჩენით ი. ჯ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

ანალოგიურია: სუსგ №266აპ-14 28.07.2014; №206აპ-14 29.12.2014.

6.2 ნარკოტიკული დანაშაული

პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა-შენახვისათვის დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით, ვინაიდან დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა/შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა, სსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისი ნაწილის სანქცია კი, გარდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა, სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს, პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 26.02.2016 წლის განმწესრიგებელი სხდომის განჩინების საფუძველზე გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 17 მარტის საქმეზე №525აპ-15
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

გ. ა-ს ბრალი დაედო იმაში, რომ მან, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და ასევე უკანონოდ ინახავდა 12,48 გრამ ნარკოტიკულ საშუალება

„მარიხუანას“, რაც 2014 წლის 8 ოქტომბერს ... მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 02.04.2015 წლის განაჩენით გ. ა. გამართლდა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 06.07.2015 წლის განაჩენით გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 02.04.2015 წლის გამამართლებელი განაჩენი გ. ა-ს მიმართ. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.02.2016 წლის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პარიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შექმნა-შენახვის გამო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, ვინაიდან დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა/შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა, სსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისი ნაწილის სანქცია კი, გარდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა, სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს, გ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 26.02.2016 წლის განმწესრიგებელი სხდომის განჩინების საფუძველზე გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

ანალოგიურია: სუსგ №550აპ-15 17.03.2016, №392აპ-15 17.03.2016, №553აპ-15 17.03.2016, №499აპ-15 17.03.2016.

ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, ადმინისტრაციული სახდელის მოქმედების ვადის ფარგლებში, ნარკოტიკული საშუალების განმეორებით არაერთხელ მოხმარების სამართლებრივი შედეგები

ადმინისტრაციულსახდელდადებულობა წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებელ ნიშანს, რომელიც ვერ შეფასდება ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის ორჯერ მსჯავრდებად.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №67აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2012 წლის 26 დეკემბერს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებულმა ბ. ა-მ კვლავ უკანონოდ

ნოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე, მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2013 წლის 8 სექტემბერს ნარკოლოგიური შემონმების შედეგად.

ბ. ა-ს ზემოაღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებად, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის აღმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ – სსკ-ის 273-ე მუხლით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 02.12.2013 წლის განაჩენით ბ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. ა-მ და მისმა ადვოკატმა. დაცვის მხარე ითხოვდა სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ჯარიმით შეცვლას, ასევე განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.02.2014 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.12.2013 წლის განაჩენი გაუქმდა, კერძოდ: ბ. ა. გამართლდა სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. მასვე აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩამორთმეული უფლებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა ბ. ა-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა, სასჯელის დანიშვნა სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით და მსჯავრდებულისათვის საბოლოო სასჯელის ვადაში პირველი განაჩენით მოხდილი სასჯელის ჩათვლა.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, ბ. ა-ს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის აღმინისტრაციული სახდელი დაეკისრა 2012 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით. აღნიშნულის შემდეგ მან ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით უკანონოდ ორჯერ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2013 წლის 8 სექტემბერსა და 2013 წლის 3 ნოემბერს ნარკოლოგიური შემონმების შედეგად. მართალია, ამ ორი ქმედებისათვის (2013 წლის 8 სექტემბრისა და 3 ნოემბრის ეპიზოდები) ბ. ა-ს მსჯავრდებას საფუძვლად დაედო აღმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე 2012 წლის 26 დეკემბრის ერთი დადგენილება, მაგრამ მისი ქმედება გამოიხატა ორ დამოუკიდებელ მოქმედებაში – ორჯერ, დროის გარკვეული ინტერვალით სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში, რაც არ წარმოადგენს ერთსა და იმავე დანაშაულს ან ქმედებას. აღნიშნული ქმედებები (ორჯერ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება) ქმნის დანაშაულის ორ დამოუკიდებელ ეპიზოდს, ხოლო აღმინისტრაციულსახდელდადებულობა წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებელ ნიშანს, რომელიც ვერ შეფასდება ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის ორჯერ მსჯავრდებად. ბ. ა-ს მსჯავრდება სსკ-ის 273-ე მუხლით (ორი ეპიზოდი) არ გამომდინარეობს იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან, ვინაიდან მათ საფუძვლად უდევს ორი, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული (მათ შორის დროში), დამოუკიდებელი ქმედება – სხვადასხვა დროს ნარკოტიკული საშუალების ორჯერ მოხმარება. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სახეზეა ბ. ა-ს ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდება, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.02.2014 წლის გამამართლებელი განაჩენი. ბ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა.

ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარება

იმ შემთხვევაში, თუ პირი მსჯავრდებულია სსკ-ის 273-ე მუხლით და კანონით გათვალისწინებული რომელიმე სამართლებრივი საფუძვლით ის გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან მოეხსნა ნასამართლობა, ის ითვლება ისევ ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულად და გრძელდება მისი, როგორც ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ პირად ყოფნის სამართლებრივი რეჟიმი.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ნოემბრის განმარტება საქმეზე №183აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 24.01.2014 წლის განაჩენით გ. მ. გამართლდა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (2 ეპიზოდი).

პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილებით, გ. მ-ს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის 2013 წლის 14 თებერვალს ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ გ. მ-ს 2013 წლის 9 ოქტომბერს დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების, ხოლო იმავე წლის 11 ნოემბერს ნარკოტიკული საშუალების – „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ მიღების ფაქტები.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 03.04.2014 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვს გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და გ. მ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 273-ე მუხლით.

საკასაციო პალატამ განმარტა: იმ შემთხვევაში, თუ პირი მსჯავრდებულია სსკ-ის 273-ე მუხლით და კანონით გათვალისწინებული რომელიმე სამართლებრივი საფუძვლით ის გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან მოეხსნა ნასამართლობა, ის ითვლება ისევ ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულად და გრძელდება მისი, როგორც ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ პირად ყოფნის სამართლებრივი რეჟიმი, თუ მის მიმართ არ არის გასული ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების დღიდან 1 წელი და შესაბამისად, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარების ახალი ფაქტი გვაძლევს არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, არამედ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებას, ჩადენილს ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ. ზე-

მოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. მ-ს, როგორც ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ პირად ყოფნის სამართლებრივი რეჟიმი 17.04.2013 წლის გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არ იყო შეწყვეტილი და ის გრძელდებოდა 2014 წლის 14 თებერვლამდე, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტის 2.10.2013 წლის განკარგულებით გ. მ-ს სსკ-ის 273-ე მუხლით შეწყალებისა და ნასამართლობის მოხსნის შემდეგ, მის მიერ 2013 წლის 9 ოქტომბერსა და 11 ნოემბერს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტები ისევ იძლეოდა სსკ-ის 273-ე მუხლით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რადგან სახდელის დადებიდან – 2013 წლის 14 თებერვლიდან არ იყო გასული 1 წელი და შესაბამისად, გრძელდებოდა მისი ადმინისტრაციულ-სახდელშეფარდებულად ყოფნის სამართლებრივი რეჟიმი. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გ. მ-ს მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი და იგი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 273-ე მუხლით, ორი ეპიზოდისთვის.

ანალოგიურია: სუსგ №134აპ-14 28.07.14.

ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმით

სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილისაგან (01.05.2014 წლიდან 31.07.2015 წლამდე მოქმედი რედაქცია) განსხვავებით, რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის არასაპატიმრო ალტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №602აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 28.05.2015 წლის განაჩენით ი. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 7.09.2015 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ი. ბ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქართველოს მოქალაქე ბ. წ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზ-

ნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნიას სსკ-ის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირწონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დანაშაულის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისია პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ი. ბ. წარსულში იყო ნასამართლევ და სახეზე იყო დანაშაულის რეციდივი, მიიჩნია, რომ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე არასაპატიმრო ალ-

ტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 7.09.2015 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება, ი. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ

ამნისტიის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლება ერთნაირად და პროპორციულად გავრცელდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ როგორც რეალურ, ისე პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, გარდა ჯარიმისა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 06 ივნისის საქმეზე №6აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თ. მ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.09.2010 წლის განაჩენით თ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით, 7 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა, 5 წლით პირობითი მსჯავრი, ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, რომელიც არ არის აღსრულებული.

ნარკოტიკული დანაშაულისათვის ნასამართლევი თ. მ-ს 2013 წლის 9 მაისს, ნარკოლოგიური შემონმებისას, კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების – მეტადონის, კოკაინის, ამფეტამინის, მეტამფეტამინისა და ექსტაზის ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით, უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.07.2015 წლის განაჩენით თ. მ. გამართლდა სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.11.2015 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და თ. მ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 273-ე მუხლით.

საკასაციო პალატამ განმარტა: 2013 წლის 9 მაისის მდგომარეობით, თ. მ. სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირია, ვინაიდან მას არ გადაუხდია სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ახალციხის რაიონული სასამართლოს 24.06.2010 წლის განაჩენითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.09.2010 წლის განაჩენით სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

მართალია, თ. მ-ს მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მაგ-

რამ ამნისტიის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლება ერთნაირად და პროპორციულად გავრცელდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ როგორც რეალურ, ისე პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, გარდა ჯარიმისა.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის შეწყალების შესახებ განკარგულების მიუხედავად, სახეზე იყო სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დისკრეციული უფლებამოსილების თანახმად, პროკურორს, ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, შეეძლო განეხორციელებინა თ. მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის შეწყალების შესახებ განკარგულების მე-4 პუნქტში გაკეთდა დათქმა, თუ ვისზე არ შეიძლება გავრცელდეს აღნიშნული შეწყალება, კერძოდ: იმ პირთა მიმართ, რომლებიც განკარგულების გამოცემის დროს იმყოფებოდნენ პატიმრობის კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ დანესებულებებში ან რომელთა მიმართ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და იმყოფებოდნენ ქებნაში. ასეთ პირთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა თ. მ. და მას მოეხსნა ნასამართლობა განაჩენით დანიშნული ჯარიმის ნაწილშიც. თუმცა, თ. მ. ნასამართლობის არმქონედ ჩაითვალა 2013 წლის 2 ოქტომბრიდან და იმ შემთხვევაში, თუ იგი ახალ დანაშაულს ჩაიდენდა 2013 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ, მის მიმართ ნებისმიერი საკითხი გადაწყდებოდა, როგორც ნასამართლობის არმქონე პირის მიმართ, მაგრამ თუ თ. მ. არ დააკმაყოფილებდა განკარგულების მე-4 პუნქტში აღნიშნულ დათქმას, 2013 წლის 2 ოქტომბრის შემდეგაც, ისევ ჩაითვლებოდა ნასამართლობის მქონედ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ 2015 წლის 4 მაისს, თ. მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს, ის, პრეზიდენტის შეწყალების გამო, უნდა ჩაითვალოს ნასამართლობის არმქონედ 2013 წლის 2 ოქტომბერს პრეზიდენტის შეწყალებამდე ჩადენილი დანაშაულის დროს. პირიქით: თ. მ. 2013 წლის 9 მაისს, ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დროს, იყო ნასამართლობის მქონე და შესაბამისად, სახეზეა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა. თუ თ. მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყებოდა 2013 წლის 9 მაისს და არა – 2015 წლის 4 მაისს, მასზე საერთოდ ვერ გავრცელდებოდა პრეზიდენტის შეწყალების განკარგულება და იგი 2013 წლის 2 ოქტომბრის შემდეგაც ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის ჩაითვლებოდა ნასამართლობის მქონედ. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს ანალოგიურ საქმეებზე როგორც 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე (№ 1ბ/535-15; 167აპ-14; 1/2753-15; 1/6945-14; 1/7587-14; 1/7304-14).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ. მ-ს მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 273-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებას, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.11.2015 წლის გამამართლებელი განაჩენი თ. მ-ს მიმართ. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით.

7. დანაშაული სასაქონლო დანაშაული

7.1 სამოხელეო დანაშაული

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაყენება

იმისათვის, რათა განხორციელდეს ქრთამის აღების დანაშაულის შემადგენლობა, მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თანხის მოთხოვნას თან ახლდეს ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო მოქმედების განხორციელების დაპირება, ასეთის გარეშე დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი სახეზე არ იქნება, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ დანაშაულის შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 იანვრის განმარტება საქმეზე №308აპ.-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.01.2014 წლის განაჩენით დ. დ. გამართლდა სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ბრალდების შესახებ დადგენილებით დ. დ-ს ბრალი ედებოდა მასში, რომ ჩაიდინა ქრთამის აღება, რაც გამოიხატა შემდეგში: 2011 წლის 15 თებერვალს ... მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით დ. დ. დაინიშნა ... საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. 2013 წლის 29 მარტს საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან შსს .. მთავარ სამმართველოში გადაიგზავნა სამსახურებრივი ბარათი (წერილი), რომელიც შესასრულებლად დაენერა დ. დ-ს. სამსახურებრივ ბარათში აღნიშნული იყო, რომ ანკარის ინტერპოლიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ეროვნულ დონეზე, მიგრანტების ტრეფიკინგის ბრალდებით, იძებნებოდა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე შ. შ. ამავე ბარათით მოითხოვდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ძებნილი პირის ადგილსამყოფლის დასადგენად.

დ. დ-მ დაადგინა შ. შ-ს ავტომანქანა – „ფოლკსვაგენ ჯეტა“, რომელიც მან 2013 წლის 10 აპრილს, დაახლოებით 17 საათზე, შეამჩნია და თანამშრომელ გ. გ-სთან ერთად გაემართა აღნიშნულ ავტომანქანასთან მდგარი პირისაკენ, რომელსაც ისინი გაეცნენ პოლიციელებად, წარუდგინეს სამსახურებრივი მონშობები და ჰკითხეს სახელი და გვარი. შ. შ-ს ვინაობის დადგენის შემდეგ დ. დ-მ თურქულად ჰკითხა მას, რაიმე პრობლემა ხომ არ ჰქონდა სამართალდამცავ ორგანოებთან, რაზეც შ. შ-მ უპასუხა, რომ 2013 წლის 18 აპრილს თურქეთის რესპუბლიკაში ჰქონდა სასამართლო პროცესი. ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიღებისა და ანკარის ინტერპოლის მონაცემების საფუძველზე დ. დ-მ განიზრახა, არამართლზომიერი სარგებლის მიღების მიზნით, გარკვეული გარანტიის მიცემის სანაცვლოდ, ფულადი თანხა მოეთხოვა შ. შ-სთვის. დ. დ-მ შ. შ-ს მოსთხოვა მისთვის 500 აშშ დოლარის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემებს შეუქმნიდა და არ მისცემდა მშვიდი ცხოვრების საშუალებას. დ. დ. ასევე დაჰპირდა, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში გაუნევიდა სამსახურებრივ მფარველობას და შ. შ-ს პრობლემები არ შეექმნებოდა. 2013 წლის 12 აპრილს, დაახლოებით 20:50 საათზე, დ. დ-მ ქრთამის აღებაში საკუთარი თავის შესანიღბად შ. შ-სთან თანხის გამოსართმევად გაგზავნა თავისი მეზობელი ქ. დ., რომელსაც შ. შ-მ დ. დ-სათვის გადასაცემად მისცა გამოძიების

მიერ წინასწარ გამოყოფილი 500 აშშ დოლარი.

გამამართლებელი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. მან ითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.01.2014 წლის განაჩენის გაუქმება და დ. დ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 07.07.2014 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.01.2014 წლის განაჩენი; დ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ დ. დ-ს და მისი ადვოკატების საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 07.07.2014 წლის განაჩენის გაუქმება და დ. დ-ს გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: იმისათვის, რათა განხორციელდეს სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თანხის მოთხოვნას თან ახლდეს ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო მოქმედების განხორციელების დაპირება, ასეთის გარეშე კი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი სახეზე არ იქნება, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ დანაშაულის შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა იმის დასადასტურებლად, თუ რა პირობით მოსთხოვა დ-მ შ-ს თანხა, დ. დ-ს ქმედების სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დ. დ-ს ქმედებაში სახეზეა სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, კერძოდ: დ. დ. რომელიც 2011 წლის 15 თებერვლიდან დაინიშნა უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. ... საქალაქო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 29 მარტის მოთხოვნის საფუძველზე, მას დაევალა თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ეროვნულ დონეზე ძებნილი შ. შ-ს ადგილსამყოფლის დადგენა. 2013 წლის 10 აპრილს, დაახლოებით 17 საათზე, დ. დ. უშუალოდ შეხვდა შ. შ-ს. დ. დ-მ, რომელსაც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და ასევე შიდა უწყებრივი ინსტრუქციებით ევალეზოდა, კონსპირაციულობის წესების დაცვით დაედგინა ძებნილი შ. შ-ს ადგილსამყოფელი და ჩაეყენებინა ხელმძღვანელობა საქმის კურსში, გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, დაამყარა ძებნილ პირთან პირადი კონტაქტი, გააგებინა მას, რომ ინფორმირებულნი იყვნენ მისი პრობლემების შესახებ და თანხაც მოსთხოვა, რითაც მოხელისათვის შეუფერებელი აღნიშნული საქციელით მან შელახა პოლიციის პრესტიჟი და ავტორიტეტი, რითაც არსებითად დააზიანა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: დ. დ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე იმავე ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

სს.კ-ის 333-ე მუხლის შემადგენლობა, ქმედების კვალიფიკაციისათვის არ ითვალისწინებს დანაშაულის სუბიექტის მიერ პირადი სარგებლის მიღებას. ასეთის არსებობის შემთხვევაში, სახეზე სხვა დანაშაულის შემადგენლობა გვექნებოდა.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ივლისის განმარტება საქმეზე № 141აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რ. ა-ს ბრალი ედებათ სს.კ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ორი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. ა. მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. საოლქო პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული კ. ლ. ფოთის საქალაქო სასამართლოს 27.05.2009 წლის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სს.კ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 6 თვით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 6000 ლარი.

2009 წლის 22 დეკემბერს, მსჯავრდებულ კ. ლ-ს მეუღლე მ. ე. საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში შეხვდა რ. ა-ს, რომელმაც პირადად მოსთხოვა, რომ კ. ლ-სთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ჯარიმის ანგარიშზე ჩაერიცხა 10 000 ლარი. გარდა აღნიშნულისა, რ. ა-მ პირადი დაინტერესებით, თითქოსდა, ქველმოქმედების მიზნით, მ. ე-ს მოსთხოვა, რომ კ. ლ-ს მეგობრებს, მის მიერ გადაცემულ არარსებულ „ა-ს გ-ს ფ-ს“ საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხათ 150 000 ლარი. რეალურად რ. ა-ს მიერ გადაცემული საბანკო რეკვიზიტები წარმოადგენდა მისი ახლობლის, ს. გ-ს კუთვნილ შპს „ს-ის“ საბანკო ანგარიშს. მ. ე. დაეთანხმა შეთავაზებულ პირობას და მეორე დღეს, კ. ლ-ს სახელით, სახელმწიფო ხაზინის ჯარიმის ანგარიშზე ჩარიცხა 10 000 ლარი, ხოლო მისი მეუღლის მეგობრის, გ. ნ-ს სახელით 150 000 ლარი რ. ა-ს მიერ მითითებულ შპს „ს-ს“ საბანკო ანგარიშზე. 25.12.2009 წელს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დამტკიცდა კ. ლ-სთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმება, სადაც დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის ოდენობად დაფიქსირდა მხოლოდ 10 000 ლარი, რაც შეეხება შპს „ს-ს“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ 150 000 ლარს, რომელიც საპროცესო შეთანხმების ოქმში არ ასახულა, მთლიანად შპს „ს-ს“ კომერციული მიზნებისთვის გაიხარჯა. რ. ა-მ, ზემოაღნიშნული ქმედებით, გადაამეტა მისი, როგორც საოლქო პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, რამაც კ. ლ-ს და მ. ე-ს უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

2009 წელს შსს-ს სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ა. ტ-ს, ზ. ხ-სა და დ. კ-ს მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სს.კ-ის 19,196-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 27,197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 27,362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ა. ტ-ს, ზ. ხ-ს და დ. კ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდათ პატიმრობა. რ. ა-ს მოთხოვნით, პირობითი მსჯავრის გამოყენებით საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, ბრალდებულებს ჯარიმის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაერიცხათ თითოეულს 30 000 ლარი, ხოლო 60 000 ლარი, შენიღბვის მიზნით, გარეშე პირს

დამატებით უნდა ჩაერიცხა შპს „ს-ს“ საბანკო ანგარიშზე. აღნიშნული ფირმა წარმოადგენდა რ. ა-ს ახლობლის, ს. გ-ს საკუთრებას. 2009 წლის 25 დეკემბერს, რ. ა-ს მოთხოვნის შესაბამისად, ბრალდებულ ა. ტ-ს შვილმა – ჯ. ტ-მ ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, 60 000 ლარი მის მეგობარს, მ. ნ-ს ჩაარიცხინა შპს „ს-ს“ საბანკო ანგარიშზე, ხოლო 2009 წლის 29 დეკემბერს ბრალდებულების წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ჯარიმის ანგარიშზე ჩაირიცხა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა, საერთო ჯამში – 90 000 ლარი. 29.12.2009 წელს, სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად, ბრალდებულებს – ა. ტ-ს, ზ. ხ-სა და დ. კ-ს ძირითადი სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალით პირობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნათ ჯარიმა თითოეულს 30 000 ლარი. რაც შეეხება შპს „ს-ს“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ 60 000 ლარს, რომელიც საპროცესო შეთანხმების ოქმში არ ასახულა, მთლიანად შპს „ს-ს“ კომერციული მიზნებისათვის გაიხარჯა. რ. ა. მოქმედებდა პირადი დაინტერესებით და საჯარო ინტერესის სანინაღმდეგოდ მან აღნიშნული ქმედებით გადაამეტა მისი, როგორც საოლქო პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, რამაც ა. ტ-ს, ზ. ხ-სა და დ. კ-ს უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.03.2015 წლის განაჩენით რ. ა. გამართლდა სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (კ.ლ-ს ეპიზოდი) და სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ა.ტ-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.2016 წლის განაჩენით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.03.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა რ. ა-ს მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი არ ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს საპროცესო შეთანხმებისას შეუძლიათ ბრალდებულს შესთავაზონ თანხის გადახდა საქველმოქმედო მიზნებისთვის. საკასაციო პალატა ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ დაუშვებელია მხარისთვის წინასწარ რაიმე ვალდებულების შესრულების მოთხოვნა (მაგალითად ჯარიმის გადახდევინება) მანამ, სანამ სასამართლო კანონით დადგენილი წესით არ იმსჯელებს მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების კანონიერებასა და სამართლიანობაზე.

საკასაციო პალატამ მატერიალური კანონმდებლობის მიზნებისათვის არარელევანტურად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ფაქტს, რომ შპს-ში თანხების ჩარიცხვით რ. ა-მ მიიღო რაიმე პირადი სარგებელი – ვინაიდან, რ. ა-ს ბრალად ედება სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ესე იგი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული მუხლის შემადგენლობა, ქმედების კვალიფიკაციისათვის არ ითვალისწინებს დანაშაულის სუბიექტის მიერ პირადი სარგებლის მიღებას. ასეთის არსებობის შემთხვევაში, სახეზე სხვა დანაშაულის შემადგენლობა გვექნებოდა.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისას, ზიანის განსაზღვრის ნაწილში, სასამართლო არ არის დამოკიდებული და-

ზარალებულის სუბიექტურ შეხედულებაზე მის მიმართ განხორციელებული ქმედებისადმი (კმაყოფილებაზე, უკმაყოფილებაზე ან სხვა სახის განცდებზე). სასამართლო დანაშაულებრივი ქმედებით დამდგარ შედეგს აფასებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით და არა დაზარალებულის ან სხვა პირის სუბიექტური აღქმის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რ. ა-ს მიერ სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.2016 წლის გამამართლებელი განაჩენი და დაადგინა გამამტყნებელი განაჩენი.

ქრთამის აღება – განსაკუთრებით დიდი ოდენობით

მოხელე თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას როდესაც იყენებს ქრთამის მიმცემის ინტერესების სასარგებლოდ, ადგილი აქვს ქრთამის აღებას, რომელიც დამთავრებულია მის მიერ ქრთამის მოთხოვნის ან მისთვის ქრთამის შეთავაზებაზე თანხმობის მიცემის მომენტიდან.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, 339¹-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე №128აპ-16
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.01.2015 წლის განაჩენით რ. კ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 339¹-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ც-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება სსკ-ის 25,338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,339¹-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით მსჯავრდებულების – ა. ც-სა და რ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის 25 ოქტომბრის განკარგულების საფუძველზე რ. კ. არჩეულ იქნა ...მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ და ითვლებოდა მოხელედ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით იგი იმავდროულად წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

რ. ც-მ რ. კ. გაიცნო ა. ც-ს მეშვეობით, რომლისგანაც გაიგო, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები იყო გასაყიდი და მყიდველს დაეხმარებოდა შეღავათიანი პირობებით მიწის ნაკვეთების ყიდვაში. 2013 წლის ივლისში რ. ც. დაუკავშირდა ა. ც-ს და აცნობა, რომ ინვესტორს სურდა მიწის ნაკვეთის ყიდვა და თუ დაეხმარებოდნენ, ინვესტორისგან მიიღებდნენ ფულად სარგებელს. ა. ც-მ აღუთქვა მას დახმარება. იგი დაუკავშირდა რ. კ-ს და მოახსენა ზემოაღნიშნული. რ. კ-მ, მიუხედავად იმისა, რომ მის უშუალო უფლებამოსილებაში არ შედიოდა მიწის საკითხის გადაწყვეტა, დაუდასტურა ა. ც-ს, რომ მას შეეძლო აღნიშნული საკითხის მოგვარებაში დახმარების განწვევა და უთხრა, რომ გასაყიდი იყო 6000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შეეძლო მოეგვარებინა ისე,

რომ შელავათიანი პირობებით ეყიდა. კერძოდ, თუ საბაზრო ფასი იყო 120 აშშ დოლარი, იგი 1 კვ.მ მიწის ნაკვეთს გაყიდდა 55 ლარად. რ. კ-მ დახმარების სანაცვლოდ მოითხოვა მისთვის 20 ლარის გადახდა 1 კვ.მ-ზე, ანუ 6000 კვ.მ-ზე – 120.000 ლარი, თუმცა მას თანხასთან დაკავშირებით ინვესტორთან არანაირი ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდა. ეს საკითხი უნდა მოეგვარებინა ა. ც-ს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.2016 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

პროკურორმა საკასაციო საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა: რ. კ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით და ა. ც-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 25,338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით.

მსჯავრდებულები საკასაციო საჩივრებით ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატამ განმარტა: იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელე თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას იყენებს ქრთამის მიმცემის ინტერესების სასარგებლოდ, ადგილი აქვს ქრთამის აღებას, რომელიც დამთავრებულია მის მიერ ქრთამის მოთხოვნის ან მისთვის ქრთამის შეთავაზებაზე თანხმობის მიცემის მომენტიდან.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებებს მსჯავრდებულთა ქმედებებში ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობის ნიშნების არსებობის თაობაზე, რადგან ის არ შეესაბამება ერთი მხრივ ქრთამის აღებისა და მასში თანამონაწილეობის, ხოლო მეორე მხრივ ზეგავლენით ვაჭრობისა და მასში თანამონაწილეობის არსის მართებულ განსაზღვრას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანაშაულები თითქოს ერთმანეთს ჰგავს, ამავე დროს ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქრთამის აღების სუბიექტია მხოლოდ მოხელე, რომელიც ქრთამის სანაცვლოდ სხვა პირის კანონიერი თუ უკანონო ინტერესების სასარგებლოდ იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას. რაც შეეხება ზეგავლენით ვაჭრობას, ამ დანაშაულის სუბიექტი, როგორც წესი, არ არის მოხელე. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს დანაშაული ჩაიდინოს მოხელემაც, მაგრამ არა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების, არამედ საჯარო სამსახურში მყოფ სხვა მოხელეებთან მისი პირადი ურთიერთობების გამოყენებით. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი მოხელე ვინმეს სასარგებლოდ სხვა მოხელეზე ზეგავლენის მოსახდენად იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ამის სანაცვლოდ ის შესაბამის საზღაურს ან სხვა სარგებელს მოითხოვს ანდა მას ასეთს პირდებიან, ადგილი აქვს ქრთამის აღებას და არა ზეგავლენით ვაჭრობას. გარდა აღნიშნულისა, ქრთამის აღებისას მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ქრთამის სანაცვლოდ უშუალოდ თვითონ ახორციელებს შესაბამის ქმედებას ქრთამის გამცემის სასარგებლოდ, ხოლო ზეგავლენით მოვაჭრეს არ გააჩნია შესაძლებლობა სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ასეთი პირი მხოლოდ თავისი პირადი დამოკიდებულებების გამოყენებით აღწევს იმ პირისათვის სასურველ შედეგს, რომლის სასარგებლოდაც ის მოქმედებდა.

საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები მსჯავრდებულების – რ. კ-სა და ა. ც-ს მიერ ჩადენილი ქმედებების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე, სრულიად მოკლებულია შესაბამის აუცილებელ მტკიცებულებით ბაზას. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ა. ც-ს ქმედება დააკვალიფიცირა რა ზეგავლენით ვაჭრობაში თანამონაწილეობად დამხმარის სახით, მას არ დაუდგენია კონკრეტულად რაში გამოიხატა მი-

სი ასეთი ქმედება.

საქმის მასალებით რ. კ-ს, რომელიც იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და იმავდროულად ის ასევე წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, მართალია, უშუალოდ ქრთამი თანხის სახით არ მიუღია, მაგრამ მან ბრალდების მოწმე რ. ც-სთან პირადი საუბრისას პირდაპირ მოითხოვა ინვესტორისგან მისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ, 120000 ლარის გადახდა, მისთვის შეღავათიან პირობებში პრესტიჟულ ადგილზე, 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აუქციონის გზით შექმნაში დახმარების განცხადების საწარმოოდ. მართალია, მას არ შეეძლო ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება ქრთამის გამღები ინვესტორის სასარგებლოდ, მაგრამ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით მას შეეძლო როგორც თავისი წვლილის შეტანა კოლეგიური გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გასხვისებაში მონაწილე სხვა ოფიციალურ პირებზე ზეგავლენის მოხდენა, რის დაპირებასაც ის იძლეოდა კიდევ ქრთამის საწარმოოდ.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას რ. კ-სა და ა. ც-ს მიერ ჩადენილი ქმედებების სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების თაობაზე, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღებისა და მასში თანამონაწილეობისათვის. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ, მოცემულ შემთხვევაში, რ. კ-ს გარდა, ქრთამის ამღები სხვა პირიც არსებობდა მოხელის სახით. რაც შეეხება იმას, რომ გაღებული ქრთამიდან ა. ც-მაც მიიღო თანხის გარკვეული ნაწილი, ეს გარემოება ჯგუფს ვერ შექმნის, ვინაიდან ის არ არის მოხელე, არამედ წარმოადგენს აღნიშნული დანაშაულის თანამონაწილე კერძო პირს დამხმარის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.01.2016 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: რ. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 339¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე. ა. ც-ს მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 25,339¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

7.2. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით

მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება არ არის საკმარისი პირის სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დამნაშავედ ცნობისათვის. საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული: პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ივნისის განმარტება საქმეზე №23აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.06.2015 წლის განაჩენით გ.ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრებულ გ. ვ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 7 სექტემბერს, თბილისში, შსს თბილისის რაიონული სამმართველოს განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ გ. ქ-ს, რომელიც იმყოფებოდა ადმინისტრაციულ შენობაში, ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და იყო ოპერატიული მორიგე, თავს დაესხა ნასვამი გ. ვ., მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც მიიმალა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.11.2015 წლის 30 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის გ. ვ-ს და მისი ადვოკატების საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და გ. ვ-ს გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: დაზარალებულ გ. ქ-ს ჩვენებაში მითითებული გარემოება, რომ გ. ვ. მას თავს დაესხა, არ დასტურდება საქმის მასალებით. თავდასხმის ფაქტი დასტურდება მხოლოდ გ. ქ-ს მიერ მიცემული ჩვენებით, ხოლო ვიდეოფირების დათვალიერების ოქმით, კარგად არ ჩანს, გ. ვ-ს სამორიგეო ოთახში შესვლის დროს იქ განვითარებული მოვლენები. მხოლოდ დაზარალებულ გ. ქ-ს ჩვენება კი არ არის საკმარისი გ. ვ-ს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დამნაშავედ ცნობისათვის.

რაც შეეხება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, უტყუარად დადასტურებულია, რომ პოლიციის თანამშრომელს – გ. ქ-ს სურს გ. ვ-ს დაკავება, ხოლო იგი არ ემორჩილება, უნევს წინააღმდეგობას და ცდილობს გაქცევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით მსჯავრდებულმა გ. ვ-მ ჩაიდინა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ: პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.11.2015 წლის განაჩენში ცვლილება იქნა შეტანილი და მსჯავრდე-

ბულ გ. ვ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, გადააკვალიფიცირა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

თვითნებობა

თვითნებობა ობიექტური შემადგენლობის ნიშნებით გარეგნულად ზოგჯერ ძალიან ჰგავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობას, მაგრამ ყველა ცალკეულ შემთხვევაში, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლივი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე და თავად მსჯავრდებულის ქცევის, მოტივის მხედველობაში მიღებით დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის შემდეგ, უნდა მოხდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედების გამიჯვნა, რასთან გვაქვს საქმე – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან, თუ – თვითნებობასთან.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ივნისის განმარტება საქმეზე №7აპ-15
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

გორის რაიონული სასამართლოს 31.01.2014 წლის განაჩენით ო. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის 1 ოქტომბერს, ო. ბ-მ შპს-ს ოპერატორ გ. ხ-ს გასტაცა ტელეკომპანიის კუთვნილი, 4621 ლარად ღირებული ვიდეოკამერა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ამკარად დაეუფლა მას.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.11.2014 წლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: ო. ბ-ს მიმართ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირდა სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.11.2014 წლის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ო. ბ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მის მიმართ დანიშნული სასჯელის შეცვლას ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

საკასაციო პალატამ განმარტა: ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ო. ბ-ს ქმედებაში არ არის ძარცვის შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, მაგრამ მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატა გასცდა ბრალდების ფარგლებს, როდესაც ო. ბ-ს ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 154-ე მუხლით, რადგან ბრალდება ო. ბ-ს არ ედავებოდა, რომ მან აღნიშნული მოქმედებით ჟურნალისტს ხელი შეუშალა პროფესიულ საქმიანობაში. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ო. ბ-ს ქმედება მოიცავს სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – თვითნებობის ნიშნებს, რადგან სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თვითნებობა არის ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის წინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. თვითნებობა ობიექტური შემადგენლობის ნიშნებით გარეგნულად ზოგჯერ ძალიან ჰგავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობას, მაგრამ ყველა ცალკეულ შემთხვევაში, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლივი სამართლებრივი ანა-

ლიზის საფუძველზე და თავად მსჯავრდებულის ქცევის, მოტივის მხედველობაში მიღებით დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის შემდეგ, უნდა მოხდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედების გამიჯვნა, რასთან გვაქვს საქმე – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან, თუ – თვითნებობასთან.

იმ დროს, როდესაც ოპერატორი ასრულებდა თავის პროფესიულ საქმიანობას და უღებდა ო. ბ-ს, მან შეცდომით ჩათვალა, რომ ოპერატორს მისი გადაღების უფლება არ ჰქონდა თანხმობის გარეშე და მოსთხოვა, შეენწყვიტა მისი გადაღება. ხოლო მას შემდეგ, რაც ოპერატორმა მაინც გააგრძელა მისი გადაღება, მიუხედავად მისი მხრიდან რამდენჯერმე მოთხოვნისა, მან გადაწყვიტა, თვითონ მოეხდინა მის მიერ შეცდომით დაგულვებულის უფლების აღდგენა, რეალიზება და წაართვა ოპერატორს ვიდეოკამერა, რათა მისი გადაღება შეწყვეტილიყო და ამასთან, ენახა, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მანამდე რა გადაიღო ოპერატორმა, ხომ არ იყო ვიდეოკამერაში დაფიქსირებული ისეთი კადრები, რაც მას პრობლემებს შეუქმნიდა. აღნიშნული მოქმედებით ო. ბ-მ უგულვებლყო კანონით დადგენილი წესი, რომ პირს, რომელსაც მართლზომიერ მფლობელობაში აქვს ნივთი და ახორციელებს თავის პროფესიულ საქმიანობას, უფლება ჰქონდა ნებაყოფლობით შეენწყვიტა მისი გადაღება, თუ ამას თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულმა დაზარალებულ მხარეს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი, კერძოდ, არჩევნების დღეს, დაზარალებულ მხარეს აღარ მიეცა საშუალება, განეხორციელებინა ყურნალისტული პროფესიული საქმიანობა, ესარგებლა ვიდეოკამერით, გაეგრძელებინა საჭიროებისამებრ ვიდეოკამერის საშუალებით გადაღება, ხოლო შემდეგ გადაღებული მასალა სიუჟეტის სახით დროულად გასულიყო ეთერში. აღნიშნული ქმედებით ო. ბ-ს ქმედებაში იკვეთება სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – თვითნებობის ნიშნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.11.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: ო. ბ-ს მიმართ სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

8. დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

8.1. დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ

მონმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა

გამოძიებაში მიცემული ჩვენება და სასამართლოში მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება პირდაპირ ხაზს უსვამს მონმის განზრახვას, ხელი შეუშალოს მართლმსაჯულებას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განმარტება საქმეზე №385აპ.-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 28.07.2014 წლის განაჩენით დ. კ. გამართლდა სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

დ. კ.-ს ბრალი ედებოდა მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით მონმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში, რაც გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 20 მარტს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მ. კ.-ს ბრალდების საქმეზე დ. კ.-მ, როგორც მონმემ, მისცა გამოძიებაში მონმის სახით მიცემული ჩვენების არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 01.09.2014 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.09.2014 წლის განაჩენის გაუქმება და დ. კ.-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საკასაციო პალატამ განმარტა: წინასწარი გამოძიების მიერ დ. კ. მონმის სახით დაიკითხა კანონის სრული დაცვით, მან ხელმოწერით დაადასტურა მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორე, ასევე – სასამართლოში დაკითხვისას მიუთითა, რომ დაკითხვის დროს რაიმე სახის ზეწოლა ან მუქარა მასზე არ ყოფილა. აღნიშნული დაკითხვის ოქმი ასევე დასაშვებ მტკიცებულებად იქნა მიჩნეული მ. კ.-ს ბრალდების საქმეზე წინა სასამართლო სხდომასა და საქმის არსებით განხილვაზე, სადაც მონმე დ. კ.-მ შეცვალა მის მიერ გამოძიებაში მიცემული ჩვენება და უარყო ბრალდებულ მ. კ.-ს სასარგებლოდ მისი დანახვის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ დ. კ.-ს მიერ გამოძიებაში მიცემული ჩვენება და სასამართლოში მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება პირდაპირ ხაზს უსვამდა მონმის მიერ იმის უარყოფას, თუ ვინ იყო მძღოლი. მან კატეგორიულად უარყო სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში მძღოლის შემჩნევის ფაქტი, რაც, თავისთავად, წარმოადგენს ფაქტების დამახინჯებას და მონმის განზრახვას, ხელი შეუშალოს მართლმსაჯულებას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დადგინლად მიიჩნია, დ. კ.-ს მიერ მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით არსებითად ურ-

³ 371¹-ე მუხლი ამოღებულ იქნა 18.12.2015. №4678. ამოქმედდა 2016 წლის 20 თებერვლიდან.

თიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან 2014 წლის 20 მარტს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მ. კ-ს ბრალდების საქმეზე, როგორც მონმემ, მისცა მონმის სახით გამოძიებაში მიცემული ჩვენების არსებითად ურთიერსაწინააღმდეგო ჩვენება.

საკასაციო სასამართლოს განაჩენით, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.09.2014 წლის განაჩენი დ. კ-ს მიმართ. დ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით.

მონმის იძულება ჩვენების შეცვლისათვის, რასაც თან ერთვის ძალადობა და ძალადობის მუქარა

ვინაიდან მსჯავრდებულს ამოძრავებდა ერთი მიზანი და საერთო განზრახვა, რომ არა მხოლოდ ერთი რომელიმე დაზარალებულისაგან, არამედ სამივესაგან ერთად, მუქარისა და ძალადობის გზით მიეღო ისეთი ჩვენებები, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული მისი ახლობლებისათვის, მას სასჯელი უნდა დაენიშნოს სსკ-ის 372-ე მუხლის უფრო მძიმე – მე-3 ნაწილით.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №227აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 05.09.2014 წლის განაჩენით ვ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 372-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილების შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, ვ. ბ-ს მსჯავრი დაედო ჩვენების შეცვლისათვის მონმის იძულებაში, რასაც ერთვის მოკვლისა და ძალადობის მუქარა (დაზარალებულების გ. ნ-სა და ე. თ-ს ეპიზოდი) და ჩვენების შეცვლისათვის მონმის იძულებაში, ჩადენილი ძალადობით (დაზარალებულ გ. გ-ს ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. ბ-მ იცოდა, რომ გ. ნ-ს, ე. თ-სა და გ. გ-ს გამოძიებაში ჩვენება მიცემული ჰქონდათ მისი ახლობლების – ნ. ბ-სა და გ. ბ-ის წინააღმდეგ, რომლებიც საპატიმროში იმყოფებოდნენ ნ. მ-ის მკვლელობის ბრალდების გამო. 2013 წლის 11 დეკემბერს, დაახლოებით 01:00 საათზე, ვ. ბ-მ მიაკითხა გ. ნ-ს, ე. თ-სა და გ. გ-ს, ისინი გამოიყვანა სახლიდან და მოკვლისა და ძალადობის მუქარით იძულება განახორციელა მონმეებზე – გ. ნ-სა და ე. თ-ზე, რათა მათ შეეცვალათ ჩვენება სისხლის სამართლის საქმეზე ნ. მ-ს მკვლელობის ფაქტზე და სასამართლოში არ მიეცათ მისი ახლობლის მამხილებელი ჩვენება. ამავე დროს ვ. ბ-მ მონმეზე – გ. გ-ზე განახორციელა იძულება ჩვენების შეცვლისათვის, რაც ჩაიდინა ძალადობით – მას სახის არეში მუშტი გაართყა და ტური გაუხეთქა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.03.2015 წლის განაჩენით სიღნაღის რაიონუ-

ლი სასამართლოს 05.09.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ სასჯელი უკანონოდ დაენიშნა სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით თითოეულისათვის – ცალ-ცალკე, მიუხედავად იმისა, რომ მე-3 ნაწილი სრულად მოიცავს მე-2 ნაწილს.

საკასაციო პალატამ განმარტა: ვ. ბ-ს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით სასჯელი არასწორად დაენიშნა თითოეული ნაწილისათვის დამოუკიდებლად, შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ ვ. ბ-მ სამივე დაზარალებულის მიმართ ერთობლივად (დროის ერთ მონაკვეთში) განახორციელა მუქარა და ძალადობა ჩვენების შეცვლის მიზნით; მას ამოძრავებდა ერთი მიზანი და საერთო განზრახვა, რომ არა მხოლოდ ერთი რომელიმე დაზარალებულისაგან, არამედ სამივესაგან ერთად, მუქარისა და ძალადობის გზით მიეღო ისეთი ჩვენებები, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული მისი ახლობლების – ნ. და გ. ბ-ებისათვის; ვ. ბ-მ ჩაიდინა სსკ-ის 372-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ჩვენების შეცვლის მიზნით მოწმეების იძულება, გ. გ-ს მიმართ ძალადობით, ხოლო გ. ნ-სა და ე. თ-ს მიმართ – მუქარით. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვ. ბ-ს სასჯელი უნდა დაენიშნოს სსკ-ის 372-ე მუხლის უფრო მძიმე – მე-3 ნაწილით და ამ მიმართებით ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.03.2015 წლის განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შევიდა ცვლილება: ვ. ბ-ს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

8.2. დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება

დანაშაულის შეუტყობინებლობა

ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის დამნაშავის ახლო ნათესავიც, ვალდებულია აცნობოს პოლიციას დანაშაულის თაობაზე იმ მომენტში, როდესაც მზადდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა ან როდესაც უკვე მიმდინარეობს მისი ჩადენა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 24 მარტის საქმეზე №392აპ-15
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 03.06.2014 წლის განაჩენით მსჯავრდებულის მ. შ-ს ქმედება სსკ-ის 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 376-ე მუხლზე, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 20 000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.06.2015 წლის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 03.06.2014 განაჩენი დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის დადგენას და პროკურორმა, რომელიც ითხოვდა მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 223¹-ე მუხლით და მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

საკასაციო პალატამ განმარტა: პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მ. შ.-სთვის შერაცხული ბრალი სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – დანაშაულის შეუტყობინებლობის ჩადენის თაობაზე, დადასტურებულია მის მიერ მოცემულ საქმეზე მსჯავრდებულ იმ სხვა პირებთან გამართული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებითა და შესაბამისი კრებებით, რომლებიც იმხილებიან ქურდული სამყაროს წევრობაში, აგრეთვე, მოწმის ჩვენებით.

აღნიშნული მტკიცებულებები სრულიად საკმარისი და სარწმუნოა საიმისოდ, რომ სასამართლოს მ. შ. ბრალეულად ეცნო დანაშაულის შეუტყობინებლობაში, რადგან ამ მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სრულიად ცხადი და უეჭველია ის ფაქტი, რომ მისთვის ცნობილი იყო, როგორ მზადდებოდა და ხორციელდებოდა სხვა პირების მიერ ქურდული სამყაროს ხელშემწყობი სხვადასხვა ქმედება, აგრეთვე, ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით დაზარალებულისგან თანხების გამოძალვა.

ასეთ პირობებში კასატორის მტკიცება, რომ პოლიციას მსჯავრდებულზე უფრო ადრე ჰქონდა ინფორმაცია ხსენებული ქურდული სამყაროს წარმომადგენელთა საქმიანობაზე, ვერ გახდება ამ ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვისა და მ. შ.-ს გამართლების საფუძველი, ვინაიდან, ჯერ ერთი, მ. შ.-სთვის არაფერი იყო ცნობილი იმის თაობაზე, პოლიციამ რა იცოდა და რა არ იცოდა; გარდა ამისა, მოქალაქე არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის მხოლოდ იმის გამო, რომ ის იმედოვნებდა – პოლიცია შეიძლება მის დაუხმარებლადაც ყოფილიყო ინფორმირებული დანაშაულის შესახებ; მესამეც, ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის დამნაშავის ახლო ნათესავიც, ვალდებულია აცნობოს პოლიციას დანაშაულის თაობაზე იმ მომენტში, როდესაც მზადდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა ან როდესაც უკვე მიმდინარეობს მისი ჩადენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.06.2015 წლის განაჩენი სსკ-ის 376-ე მუხლის ბრალდების ნაწილში დარჩა უცვლელად.

9. დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ

სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება; სამსახურებრივი გულგრილობა

სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულად ითვლება სსკ-ის მე-13 კარით გათვალისწინებული ქმედება, მიმართული საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის წესის წინააღმდეგ, ჩადენილი იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობს განწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისას.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 387-ე მუხლი; 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტები; 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე №12აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 01.08.2013 წლის განაჩენით:

- ბ. ა. გამართლდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 25,143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 25,143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 25,144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში;
- გ. კ. გამართლდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 25,143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში;
- მ. კ. გამართლდა სსკ-ის 25,143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 25,144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში;
- გ. მ. გამართლდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში;
- მ. დ. გამართლდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში;
- გ. კ. გამართლდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში;
- ა. გ. გამართლდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში. ა. გ-ის მიმართ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე;
- ზ. შ-ს მიმართ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.2013 წლის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ:

- გ. კ. გამართლდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 25, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში. გ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში;
- ა. გ. გამართლდა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. ა. გ-ს მიმართ სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებზე;
- ზ. შ-ს ბრალდება სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებზე;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 01.08.2013 წლის განაჩენი ბ. ა-ს, მ. კ-ს, გ. მ-ს, მ. დ-სა და გ. კ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 4.12.2013 წლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს: პროკურორებმა; მსჯავრდებულმა გ. კ-მ და მისმა ადვოკატმა; ზ. შ-სა და ა. გ-ს ადვოკატებმა.

- მსჯავრდებული გ. კ. და მისი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვენ გ. კ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას;
- პროკურორები ითხოვენ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და ბ. ა-ს, გ. კ-ს, მ. კ-ს, ა. გ-ს, გ. მ-ს, მ. დ-სა და გ. კ-ს დამნაშავედ ცნობას იმ კვალიფიკაციით, რაც გამოძიების მიერ ჰქონდათ ბრალად წარდგენილი;
- ზ. შ-სა და ა. გ-ს ადვოკატები ითხოვენ მსჯავრდებულების ქმედების სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებიდან სსკ-ის 125-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: 1. სსკ-ის 382-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამხედრო სამსახურის სანინაალმდეგო დანაშაულად ითვლება მე-13 კარით გათვალისწინებული ქმედება, მიმართული საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის წესის წინააღმდეგ, ჩადენილი იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობს განვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისას. სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს ხელქვეითის მიერ უფროსის ან უფროსის მიერ ხელქვეითის შეურაცხყოფა სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისას ან ამ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გ. კ. მითითებულ პერიოდში წარმოადგენდა მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეს, იგი სამხედრო სამსახურში არ მსახურობდა განვევით ან კონტრაქტის საფუძველზე და ამდენად, სსკ-ის 382-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არ იყო სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბიექტი, რაც გამორიცხავს მისი ქმედების სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირებას. ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. კ-ს ქმედება – სამხედრო მოსამსახურეებისათვის ერთჯერადად ხელის დარტყმა, რომელსაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის რაიმე სახის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, წარმოადგენს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს – სხვაგვარ ძალადობას, ვინაიდან არსებობს ამ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი. შესაბამისად, გ. კ-ს ქმედება სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

2. მსჯავრდებულების ალ. გ-ს და ზ. შ-ს ქმედებების სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებიდან სსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებისას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მათ, ხელმძღვანელობის მითითების მიუხედავად, ქვეითი ბრიგადის ბაზიდან გაყვანილი სამხედროები უკან მიაბრუნეს და დაუდგენელი მოტივით სცემეს. ამასთან, ზ. შ-სა და ალ. გ-ს ქმედებები განხორციელდა არა უშუალოდ მათი სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისა და საქმიანობის პირობებში (მიუხედავად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისა), არამედ არაოფიციალურ, არასამსახურებრივ გარემოში – ქვეითი ბრიგადის ეზოში, რამაც მიიღო პირადი ანგარიშსწორების ხასიათი, რაც გამორიცხავს მათი ქმედებების სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების შესაძლებლობას და წარმოადგენს სსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს – სხვაგვარ ძალადობას, ჩადენილს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

3. მსჯავრდებულ მ. კ-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მისი გამართლების თაობაზე და მ. კ-ს ქმედება სსკ-ის 25,143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

საკასაციო პალატა მ. კ-ს ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 25,143-ე და 25,144-ე მუხლებით გამორიცხავს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით უტყუარად ვერ დადგინდა ბრიგადის მეთაურის – მ. კ-ს უშუალო კავშირი მის მიერ რომელიმე სამხედრო მოსამსახურის მიმართ სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში, ან მათი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთასა და წამებაში ორგანიზატორებისათვის დახმარებაში, თუმცა, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მ. კ., რომელიც იყო ბრიგადის მეთაური, ესწრებოდა დაზარალებულების მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების პროცესს.

ვინაიდან მ. კ., როგორც ბრიგადის მეთაური, საქართველოს შეიარაღებული ძალების შინაგანი წესდების მე-3 თავის 61-ე პუნქტის თანახმად, იყო იმ ჯარისკაცების პირადი უფროსი, რომლებიც დარაჯობდნენ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, ასევე ამავე თავის 62-ე პუნქტის თანახმად, ვალდებული იყო, მიეღო ზომები დანაშაულისა და სხვა შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად და აღნიშნული შეეტყობინებინა პროკურორისათვის, რაც მან ვერ უზრუნველყო, ვერ შეასრულა ბრიგადის მეთაურის პირდაპირი სამსახურებრივი ვალდებულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რითაც არსებითად იქნა ხელყოფილი სამხედრო მოსამსახურეების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. კ-ის ქმედება წარმოადგენს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, სამსახურებრივ გულგრილობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 4.12.2013 განაჩენში: 1. გ. კ-ს ქმედება სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე; 2. ა. გ-სა და ზ. შ-ს ქმედებები სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტზე; 3. მ. კ-ს ქმედება სსკ-ის 25, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ზოგადი ნაწილი

1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მისი ამოცანები და მოქმედების სფერო

კანონის ანალოგიის გამოყენებით სისხლისსამართლებრივი ღვივის შეწყვეტა

ვინაიდან ქმედება ჩადენის დროს დანაშაულად ითვლებოდა, ახალი კანონით მოხდა მისი დეკრიმინალიზება და აღნიშნულ სამართლებრივ საკითხს სსსკ-ი აღარ აწესრიგებს, რაც წარმოადგენს ხარვეზს, დასაშვებია გამოყენებულ იქნეს კანონის ანალოგია, კერძოდ, სსსკ-ის 105-ე მუხლი და პირის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი ღვივა.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 და 105-ე მუხლები
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განმარტება საქმეზე №293აპ-14
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.12.2013 წლის განაჩენით ლ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,108-ე მუხლით, 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 120-ე მუხლით და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ა-ს ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 11 ივნისს, დაახლოებით 02:30 საათზე, 21 წელს მიუღწეველი ლ. ა. დისკო-კლუბ „...-ის“ ეზოში ატარებდა ცივი იარაღს, დანას. იმავე დღეს, დაახლოებით 02:30 საათზე, იმავე კლუბის ეზოში ლ. ა-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით – ცივი იარაღის – დანის გამოყენებით, მ. კ-ს მიაყენა გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში, პლევრის ღრუში შემავალი ქრილობა, ხოლო ზ. თ-ს – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, მისი ხანმოკლე მოშლით, ღუნდულისა და ბარძაყის არეში – ნაკვეთი ქრილობების სახით. დაჭრილი მ. კ. განეული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ა-მ. იგი ითხოვდა მხოლოდ სსკ-ის 19,108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლასა და სასჯელის შემსუბუქებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.06.2014 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.12.2013 წლის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: ლ. ა. სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეფარდებული ჯარიმის მოხდისაგან. დანარჩენ ნაწილში, განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ა-მ და ითხოვა სსკ-ის 19,108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა. სსკ-ის 238¹-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილი, ლ. ა-ს არც

სააპელაციო და არც საკასაციო საჩივრებით სადავოდ არ გაუხდია.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა ლ. ა-მ სსკ-ის 238¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2013 წლის 11 ივნისს, რა დროსაც ამ დანაშაულის 1-ლი ნაწილის შემადგენლობას იძლეოდა – 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნაწილი იმ მიმართებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას იძლეოდა ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რა დროსაც მნიშვნელობა არ ჰქონდა პირის ასაკს. ვინაიდან, მსჯავრდებული ლ. ა. ახალი კანონის თანახმად, არ იყო განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის და არც ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.06.2014 წლის განაჩენით ლ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდა სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის № 3/1/633,634 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია კი უგულებელყოფდა სასამართლოს შესაძლებლობას, შეეწყვიტა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენდა.

მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, მითითებულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ჩადენის დროს დანაშაულად ითვლებოდა და ახალი კანონით მოხდა მისი დეკრიმინალიზება, აღნიშნულ სამართლებრივ საკითხს კი სსსკ-ი არ აწესრიგებს, რაც წარმოადგენს ხარვეზს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსსკ-ის მე-2 მუხლის გათვალისწინებით, დასაშვებია გამოყენებულ იქნეს კანონის ანალოგია, კერძოდ, სსსკ-ის 105-ე მუხლი და შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვდა კვალიფიკაციისა და სასჯელის შეცვლას მხოლოდ სსკ-ის 19,108-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილების მხედველობაში მიღებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.06.2014 წლის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: მსჯავრდებულ ლ. ა-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ეპიზოდში. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის გამო სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება

იმის გამო, რომ სსსკ-ის 310-ე მუხლში მოცემული ჩამონათვალი არ ითვალისწინებს ახლად გამოვლენილ გარემოებათა შორის ისეთ გარემოებას, რომელიც, მართალია, გავლენას არ ახდენს პირის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციასა და მის ბრალეულობაზე, მაგრამ აუცილებლად იწვევს განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას, ამასთან, არ უკავშირდება პროცესის მონაწილეთა უკანონო ქმედებას, ანდა რომელიმე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, საკასაციო პალატის აზრით, უნდა ჩაითვალოს მითითებული საპროცესო კანონის ხარვეზად, რის გამოც გამოყენებულ უნდა იქნეს კანონის ანალოგია.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის განმარტება საქმეზე №146აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2016 წლის 6 ივნისს მსჯავრდებულმა ხ. ბ-მ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 22.04.2015 წლის განაჩენის გადასინჯვა – დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისაგან გათავისუფლება, შემდეგ გარემოებათა გამო: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 22.04.2015 წლის განაჩენის გამოტანიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული განაჩენის გამოტანის დროს იყო დაახლოებით 3 თვის ორსული, ხოლო 2015 წლის 21 ოქტომბერს შეეძინა შვილი, რომელიც სააპელაციო სასამართლოში შუამდგომლობის შეტანის დროს იყო 8 თვის. ამდენად, მის მიმართ, დაირღვა სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ შეიძლება დაენიშნოს ორსულ ქალს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.06.2016 წლის განჩინებით მსჯავრდებულ ხ. ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული ხ. ბ. საკასაციო საჩივრით ითხოვს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 22.04.2015 წლის განაჩენით უკანონოდ განსაზღვრული დამატებითი სასჯელის – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისაგან გათავისუფლებას იმავე საფუძვლებით, რაზეც უთითებდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 22.04.2015 წლის განაჩენით ხ. ბ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათით. აღნიშნული განაჩენის გამოტანის შემდეგ, კერძოდ, 2015 წლის 23 მაისს, შპს „კ-ს“ მიერ გაცემული სამეანო კვლევის შესახებ ცნობით ირკვევა, რომ ხ. ბ. იყო 18-19 კვირის ორსული, ხოლო თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაცემული დაბადების მოწმობის თანახმად, ხ. ბ-ს შვილი – ლ. ბ. დაიბადა 2015 წლის 21 ოქტომბერს. ამდენად, ზემოაღნიშნული მასალებით დასტურდება, რომ ხ. ბ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 22.04.2015 წლის განაჩენის გამოტანის დროს იყო დაახლოებით 14-15 კვირის ორსული, რაც იმ მომენტში უცნობი იყო როგორც თავად მსჯავრდებულის, ასევე – განა-

ჩენის გამომტანი სასამართლოსათვის. სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება: „პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვეულ სამხედრო მოსამსახურეს“.

სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

სსსკ-ის ზემოაღნიშნული განმარტება არ გულისხმობს იმგვარ შემთხვევებს, როდესაც აღმოჩნდება ისეთი ახალი გარემოება, რომლითაც დგინდება, რომ სასამართლომ მსჯავრდებულს განუსაზღვრა ისეთი სასჯელი, რომელიც არ დაინიშნებოდა, თუკი მისთვის ცნობილი იქნებოდა აღნიშნული გარემოება. ის, რომ სსსკ-ის 310-ე მუხლში მოცემული ჩამონათვალი არ ითვალისწინებს ახლად გამოვლენილ გარემოებათა შორის ისეთ გარემოებას, რომელიც, მართალია, გავლენას არ ახდენს პირის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციასა და მის ბრალეულობაზე, მაგრამ აუცილებლად იწვევს განაჩენით დაინიშნული სასჯელის შემსუბუქებას, ამასთან, არ უკავშირდება პროცესის მონაწილეთა უკანონო ქმედებას, ანდა რომელიმე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, საკასაციო პალატის აზრით, უნდა ჩაითვალოს მითითებული საპროცესო კანონმდებლობის ხარვეზად, რის გამოც გამოყენებულ უნდა იქნეს სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კანონის ანალოგია, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, ამით არ შეიზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მსჯავრდებულ ხ. ბ-ს მიმართ ზემოაღნიშნული პრინციპის გამოყენება არათუ შელახავს მის უფლებებს, არამედ პირიქით – ეს იქნება მის მიმართ არსებული სისხლის სამართალწარმოების შედეგის გამოსწორების საშუალება, რითაც არსებითად და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ხ. ბ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.06.2016 წლის განჩინება მსჯავრდებულ ხ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და საქმე დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, იმავე კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ანალოგიით გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად.

2. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 02 თებერვლის საქმეზე №508აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

მ. ქ-ს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, კერძოდ: მას 2014 წლის 29 მაისს, დაახლოებით 14.00 საათზე, ავტობუსით გადაადგილებისას, ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ავტობუსში მყოფ თურქეთის მოქალაქე ა. ფ-სთან, რაც მათ შორის ჩხუბში გადაიზარდა, რა დროსაც მ. ქ-მ დანის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზნით, ა. ფ-ს მიაყენა მარცხენა პლევრისა და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა. დაჭრილი ა. ფ. განუული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაარჩა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 20.02.2015 წლის განაჩენით მ. ქ-სთვის ბრალად შე-რაცხული ქმედება სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. მ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ქ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: მ. ქ-მ 2014 წლის 29 მაისს, ავტობუსით გადაადგილებისას, ურთიერთშელაპარაკების დროს, რაც ჩხუბში გადაიზარდა, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. ფ-ს დანის გამოყენებით, სხეულის დაზიანების მიზნით, მიაყენა მარცხენა პლევრისა და მუცლის ღრუში შემავალი, სიცოცხლისათვის სახიფათო, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.06.2015 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 20.02.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატმა და პროკურორმა.

მსჯავრდებულ მ. ქ-ს ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ. მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 124-ე მუხლით, ხოლო პროკურორი – განაჩენში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილების შეტანასა და მ. ქ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 19,108-ე მუხლით.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს განაჩენში არსებული დასკვნების შეუსაბამობაზე, ერთი მხრივ, ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოცემულ ბრალდების ფორმულირებასთან, ხოლო მეორე მხრივ, საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. კერძოდ: ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, მ. ქ-ს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მას 2014 წლის 29 მაისს, ავტობუსით მგზავრობისას, ურთიერთშელაპარაკება მოუხდა თურქეთის მოქალაქე ა. ფ-სთან, რაც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს მ. ქ-მ დანის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზნით, ა. ფ-ს მიაყენა მარცხენა პლევრისა და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა. სააპელაციო პალატამ კი, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, დადასტურებულად მიიჩნია, რომ კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა მ. ქ-სა და ქართველ

ახალგაზრდას შორის (რომელიც წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებდა მსჯავრდებულს), რაც ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს მ. ქ. იყო აგრესიული და დანიტ ხელში იწვედა შენიშვნის მიმცემი უცნობი პირისკენ და რომ მისი აგრესია მიმართული იყო არა ა. ფ-ს, არამედ – ქართველი ეროვნების მამაკაცის მიმართ. ის ფაქტი, რომ ავტობუსში ჩხუბი მოხდა არა მხოლოდ თურქი ეროვნების, არამედ ასევე ქართველი და თურქი ეროვნების მამაკაცებს შორისაც, გარდა დაზარალებულის ჩვენებისა, დადასტურებულია მოწმეების ჩვენებებითაც. არ არის გამოკვლეული ის ფაქტობრივი გარემოება, თუ რა მომენტში დაჭრა მ. ქ-მ დაზარალებული იგი მოქმედებდა არაკონკრეტიზირებული განზრახვით და ბუნდოვანია, სურდა სხეულის დაზიანების მიყენების გზით თავიდან მოეშორებინა ა. ფ., რომელიც ხელს უშლიდა ქართველი მამაკაცის დაჭრაში, თუ თავად ა. ფ-ს დაჭრა უნდოდა შურისძიების მოტივით, ვინაიდან ამ უკანასკნელმა არ მისცა შენიშვნის მიმცემი ქართველი ახალგაზრდისათვის პასუხის გაცემის საშუალება. გარდა ამისა, წინააღმდეგობრივია დაზარალებულ ა. ფ-ს ჩვენება და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რადგან დაზარალებულმა აღნიშნა, რომ მსჯავრდებულმა მას ორჯერ დაარტყა და, ხოლო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ა. ფ-ს სხეულზე აღენიშნებოდა მხოლოდ ერთი ჭრილობა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ როგორც ბრალდების შესახებ დადგენილებით, ასევე სააპელაციო სასამართლოს დასკვნებით საქმის ფაქტობრივი გარემოებები არათანმიმდევრული და ბოლომდე დაუზუსტებელია, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებები ამკარად მიუთითებს მ. ქ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, რის გამოც ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ დაკმაყოფილდა პროკურორის საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულისათვის მსჯავრის დამძიმების მოთხოვნის შესახებ. საკასაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ მსჯავრდებულმა დაზარალებულს ჯანმრთელობის დაზიანება მიაცენა გაუფრთხილებლობით, რადგან არ გამომდინარეობდა საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.06.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. მტკიცებულება

დაუშვებელი მტკიცებულება

არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განმარტება საქმეზე №453აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.02.2015 წლის განაჩენით ა. ჩ. ცნობილ იქნა დამ-

ნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იმავე განაჩენით ა. ჩ-რი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე – 2 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დანესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი – 2 წელი ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 27 მაისს ა. ჩ. და ა. ჩ-რი თბილისში, ... ქუჩა 3-დან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ შპს „...-ას“ კუთვნილ – 100 ლარად ღირებულ მაგიდას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.07.2015 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 09.02.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ა. ჩ. და მისი ადვოკატი საკასაციო საჩივრებით ითხოვდნენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: ა. ჩ-ს მიერ მაგიდის ქურდობის ჩადენის ფაქტი დასტურდება მხოლოდ ბრალდებულ – ა. ჩ-რის ჩვენებით. სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ა. ჩ-ს მიერ დანაშაულის ჩადენას, საქმის მასალებში არ მოიპოვება. რაც შეეხება მონმე მ. ა-ს ჩვენებასა და ვიდეოჩანაწერის დათვალეერების ოქმს, სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“.

სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ანალოგიური შინაარსის შემცველია იმავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ა. ჩ-ს დამნაშავედ ცნობისათვის მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.07.2015 წლის გამამტყუნებელი განაჩენი ა. ჩ-ს მიმართ და იგი გამართლა.

დაუშვებელი მტკიცებულება

არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 125-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განმარტება საქმეზე №251აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.09.2015 წლის განაჩენით: გ. ზ. გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

გ. ქ. გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. ტ. გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

თ. პ. გამართლდა სსკ-ის 376-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

საქმის მასალებით, 2014 წლის 12 დეკემბერს გ. ზ-მ, გ. ქ-მ და ი. ტ-მ, რომლებიც თ. პ-სთან ერთად ისხდნენ ტაქსის მძღოლ ზ. ბ-ს მიერ მართულ „ოპელ ვექტრას“ მოდელის ა/მანქანაში, წინასწარი შეთანხმებით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით გასტაცეს მას თანხა 25 ლარი, ა/მანქანის მაგნიტოფონი მონიტორით, „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი, „ორიენტი“-ის ფირმის საათი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22.03.2016 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა და თ. პ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 376-ე მუხლით; ი. ტ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით; გ. ზ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით; გ. ქ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით.

საკასაციო პალატამ განმარტა: დაზარალებულ ზ. ბ-ს ა/მანქანის დათვალიერების ოქმი შედგენილია სსსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით და იგი გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად ვერ დაედება.

სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული

მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ამდენად, საკასაციო პალატა დაეთანხმა გასაჩივრებულ განაჩენს და მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ა/მანქანის დათვალიერება ჩატარდა სსსკ-ის 125-ე მუხლის არსებითი დარღვევით, ამ საგამოძიებო მოქმედების დროს აღებული სუნისა და ხელის კვლების ნიმუშების საფუძველზე მოპოვებული ოდოროლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები, როგორც მტკიცებულებები, გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად ვერ დაედება.

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, ამოღებულ ნივთებსა და საგნებზე გამოძიების პროცესში ამოცნობები ჩატარდა კანონის არსებითი დარღვევით და შესაბამისად, ამოცნობის ოქმები გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად ვერ დაედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ი. ტ-ს მიმართ სასჯელის ნაწილში შევიდა ცვლილება, კერძოდ: ი. ტ-ს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად პირობით არ იქნა გამოყენებული. სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ი.ტ-ს გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 3 წელი, 4 თვე და 15 დღე.

პრეიუდიცია

გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან – პრეიუდიცია.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 17 თებერვლის საქმეზე №510აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

მსჯავრდებულმა თ. ს-მ ჩაიდინა სხვაგვარი ძალადობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი, მაგრამ არ მოჰყოლია სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 11.05.2015 წლის განაჩენით თ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. ს-მ, რომელმაც ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მისი უდანაშაულოდ ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 09.07.2015 წლის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 11.05.2015 წლის გამამტყუნებელი განაჩენი თ. ს-ს მიმართ, იგი გამართლდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაუ-

ლის ჩადენაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელმაც ითხოვა თ. ს-ს მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმება, მისი დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და კანონით გათვალისწინებული სასჯელის განსაზღვრა.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან – პრეიუდიცია.

მოცემულ საქმეზე გამართულ წინა სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე და დაცვის მხარე შეთანხმდნენ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და ამ მტკიცებულებებით დადასტურებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. აღნიშნული მტკიცებულებები დასაშვებად იქნა ცნობილი საქმის არსებით განხილვაზე და ამ მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე მიღებულ იქნა მტკიცებულებად, როგორც პრეიუდიცია.

ამასთან, სსკ-ის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მტკიცებულებები არ გამოკვლეულა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე იქნა მიღებული, როგორც პრეიუდიცია. გარდა ამისა, საქმის არსებითი განხილვის დროს თ. ს-მ ფაქტობრივად თავი დამნაშავედ ცნო მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ თ. ს-მ ჩაიდინა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 09.07.2015 წლის გამამართლებელი განაჩენი და მის ნაცვლად დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი. თ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მონმის ჩვენება

მონმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მონმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 76-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 18 დეკემბრის განმარტება საქმეზე №218აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების შესაბამისად, 2013 წლის 18 მაისს, დაახლოებით 11:30 საათზე, სავაჭრო ცენტრ „...ში“ განთავსებულ ი/მენარმე მ. მ-ს კუთვნილ მაღაზიაში, კ. ქ. ფარულად დაეუფლა მ. ლ-ს კუთვნილ 61 ლარად ღირებულ „ნოკიას“

ფირმის მობილურ ტელეფონს და მ. მ-ს კუთვნილ ორ ქამარს, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 30 ლარს. კ. ქ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ასევე, კ. ქ. 2013 წლის 17 ივლისიდან 20 ივლისამდე დროის მონაკვეთში, ნ. ქ-ის საცხოვრებელი ბინიდან ფარულად დაეუფლა 1467 ლარად ღირებულ პერსონალურ კომპიუტერს.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, კ. ქ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.03.2014 წლის განაჩენით კ. ქ-ს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. ქ-მ და მისმა ადვოკატმა და ითხოვეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში მსჯავრდებულის გამართლება, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 28.05.2014 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.03.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. ქ-მ და მისმა ადვოკატმა. საკასაციო საჩივრის მოთხოვნა კ. ქ-ს გამართლება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლა.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 75-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „მონმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მონმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს...“. ამავე კოდექსის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ირიბია ისეთი ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია“. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, გ. ბ-ს ჩვენება, კ. ქ-ს მიერ კომპიუტერის მოპარვის ნაწილში, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან წარმოდგენილი ინფორმაციის წყარო არის ოპერატიული ინფორმაცია. ამასთან, გ. ბ-ს ირიბი ჩვენების გადამოწმება შეუძლებელია ინფორმაციის თავდაპირველ წყაროსთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ კ. ქ-სა და მისი ადვოკატის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 28.05.2014 წლის განაჩენში ცვლილება იქნა შეტანილი: კ. ქ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ირიბი ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების, საქმიდან ამორიცხვა და პირის უდანაშაულოდ ცნობა

საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაამტკიცებდა რ. მ-ს ყაჩაღობაში თანამონაწილეობას.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტის განმარტება საქმეზე №321აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 01.04.2014 წლის განაჩენით:

რ. ტ., ს. ს. და რ. მ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

რ. ტ., ს. ს. და რ. მ. წინასწარ შეთანხმდნენ დანაშაულის ერთობლივ ჩადენაზე და გადაწყვიტეს ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ბანკის სერვისცენტრს, დიდი ოდენობით ფულადი თანხის გატაცებისა და დაუფლების მიზნით. აღნიშნულის შემდეგ მათ გაინაწილეს როლები, კერძოდ: 2013 წლის 8 აგვისტოს, დილის საათებში, ზუსტი დრო უცნობია, რ. მ. გაჩერდა ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქუჩაში არსებული მდგომარეობის გაკონტროლებისა და რ. ტ-ს მიერ წინასწარ, სპეციალურად ამ საქმისათვის შექმნილი მობილური ტელეფონის მეშვეობით რ. ტ-სა და ს. ს-ს ყაჩაღობის დროს ინფორმაციის მუდმივად მიწოდების მიზნით, ხოლო ამ უკანასკნელებმა, დაახლოებით 08:00 საათზე, უკანონოდ შეაღწიეს ბანკის შენობაში, სადაც რ. ტ-მ ამავე ბანკის სალაროს უფროსის – ა. ჯ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით განახორციელა სიცოცხლისათვის სახიფათო ძალადობის მუქარა და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ბანკის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას, კერძოდ, 107 793 ლარს და 65 თეთრს, 5005 ევროს, 1620 რუსულ რუბლს და 87 839 აშშ დოლარს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.07.2014 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრებით სამივე მსჯავრდებულის ადვოკატები ითხოვდნენ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების მიერ მიცემულ ჩვენებებს და საქმეში არ არსებობს სხვა არანაირი მტკიცებულება – არც პირდაპირი და არც ირიბი, რომელიც დაადასტურებდა მსჯავრდებულების დანაშაულებრივ ქმედებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: ბოლნისის რაიონული და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მიერ რ. მ-ს მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო გამომძიებელთა განმარტებები ბრალდებულებისგან აღიარებითი ჩვენებების მიღების შესახებ, მათ შორის ბანკის ფილიალის შენობის გარეთა ხედვის კამერებიდან ამოღებული ჩანაწერები, სადაც ჩანს ფეხით მოსიარულე მამაკაცი, მოწმე რ. დ-ს ჩვენება, რომელიც ადასტურებს რ. მ-ს დანაშაულის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტს. საკასაციო პალატამ შეისწავლა ხსენებული მტკიცებულებები და მათი კავშირი ერთმანეთთან, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე შეამოწმა მოწმეთა მიერ მიცემული ირიბი ჩვენებების მტკიცებულებად გამოყენებისა და მათი საქმიდან ამორიცხვის საკითხი და მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეში არ არსებობდა ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა

რა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაამტკიცებდა რ. მ-ს ყაჩაღობაში თანამონაწილეობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულების რ. ტ-სა და ს. ს-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

მსჯავრდებულ რ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. მსჯავრდებულ რ. მ. გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და განემარტა სსსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების მოითხოვნის უფლება.

ირიბი ჩვენება ბამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მოწმის ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განმარტება საქმეზე №14აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბრალდების შესახებ დადგენილებით ა. ბ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა; ასევე – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და ტარება; ასევე – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.06.2013 წლის დადგენილებით ა. ბ. ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ასკ-ის 45-ე მუხლით და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით. 2013 წლის 19 ოქტომბერს თბილისში ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად ა. ბ-ს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანა) უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

2013 წლის 5 ნოემბერს, სალამოს საათებში, თბილისში, ა. ბ-მ შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა ა. კ-ს, რის შედეგადაც მიაყენა დაზიანებები ფეხების, გულ-მკერდისა და მუცლის არეში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო ა. კ. საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ა. ბ-მ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა კუსტარული წესით დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდრითა და ვაზნებით, რომლებსაც ასევე 2013 წლის 5 ნოემბერს მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.06.2014 წლის განაჩენით ა. ბ. გამართლდა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში; მასვე სსკ-ის 273-ე მუხლით განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. ა. ბ-ს 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთ-

ვლილი უფლებები და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.06.2014 წლის განაჩენის გაუქმება ა. ბ-ს გამართლების ნაწილში და მისი დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.11.2014 წლის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.06.2014 წლის განაჩენი შეიცვალა: ა. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და განესაზღვრა: სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით – 7 წლითა და 6 თვით, 273-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6-6 თვით, ხოლო 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით ა. ბ-ს საბოლოოდ 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მსჯავრდებულის ადვოკატები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლას: ა. ბ-ს გამართლებას სსკ-ის 19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში, სსკ-ის 273-ე მუხლით მისთვის 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას და სასჯელის პირობითად ჩათვლას 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მონმის ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებიდან კი ერთადერთი, რომელიც უშუალოდ მიუთითებდა ა. ბ-ს მიერ ა. კ-ს მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შექმნატარების ფაქტს, იყო მონმე დ. თ-ს ჩვენება, რომელიც გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე მონმის გამოუცხადებლობის გამო. აღნიშნული ჩვენება ვერ დაედებოდა საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს, რადგან ჩვენება იმ ნაწილში, რომ ა. ბ-მ დაჭრა ა. კ., თავისი სამართლებრივი ბუნებით იყო მონმის ირიბი ჩვენება (რაც არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ), ვინაიდან ეფუძნებოდა სხვა პირის – ამ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ხოლო ამ უკანასკნელმა უარყო მის მიერ აღნიშნული ინფორმაციის ხსენებული მონმისათვის მიწოდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.11.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: ა. ბ. გამართლდა სსკ-ის 19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში. ა. ბ-ს სსკ-ის 273-ე მუხლით განესაზღვრა პირობითი მსჯავრი 6 თვე, რაც მისი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით ჩაეთვალა მოხდილად და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

მტკიცებულებათა შეფასება

ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით არ დგინდება, რა გარემოებებში და ვინ დაეუფლა საქონელს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც სსკ-ის 177-ე მუხლის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, და 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 03 აპრილის განმარტება საქმეზე №448აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 02.05.2014 წლის განაჩენით ფ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის სექტემბრის ბოლოს, სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიიდან, ფ. მ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ბ. ვ-ს კუთვნილ, 2000 ლარად ღირებულ ოთხ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ფ. მ-მ და ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.10.2014 წლის განაჩენით სიღნაღის რაიონული სასამართლოს 02.05.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა ფ. მ-მ საკასაციო საჩივრით ითხოვა მის მიმართ გამოტანილი უკანონო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილიდან, 82-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან და 259-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ფ. მ-ს მიერ ბ. ვ-ს ოთხი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოპარვა არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ აღნიშნული პირუტყვიდან ორი მათგანი ამოღებულ იქნა ბრალდებულის სიმამრის სახლიდან, არ ადასტურებს მის მიერ ნივთის ფარულად დაუფლების ფაქტს, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით არ დგინდება, რა გარემოებებში და ვინ დაეუფლა საქონელს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც სსკ-ის 177-ე მუხლის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია. არსებული მტკიცებულებებით შეუძლებელია იმის დადგენა, ფ. მ. ნამდვილად დაეუფლა თუ არა ფარულად ბ. ვ-ს ოთხ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ან მართლაც კანონიერად ან უკანონოდ (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა) ხომ არ შეიძინა მან მოპარული ნივთი. წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ფ. მ-ს მიერ ზემოაღნიშნული საქონლის ფარულად დაუფლების ფაქტის დასადგენად და, შესაბამისად, მისი დამნაშავედ ცნობისათვის, ვინაიდან არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით ფ. მ. მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

ანალოგიურია: სუსგ №483აპ-14, 23.04.2015.

მტკიცებაშუალეხათა შეფასება

პირის დამნაშავედ ცნობისათვის მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი და 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განმარტება საქმეზე №510აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.05.2014 წლის განაჩენით:

1. გ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით;
2. გ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით.

განაჩენით მსჯავრდებულების გ. მ-ს და გ. დ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 3 სექტემბერს, შუადღისას, სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას, გ. მ. და გ. დ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ა. ა-ს კუთვნილ საფულეს, მასში არსებული 160 ლარით და პირადი ნივთებით, რითაც დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.11.2014 წლის განაჩენით მსჯავრდებულ გ. დ-ს მიმართ დარჩა უცვლელად, ხოლო მსჯავრდებულ გ. მ-ს მიმართ შეიცვალა, კერძოდ:

გ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გ. დ. ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით.

მსჯავრდებულმა გ. მ-მ საკასაციო საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: გ. მ-ს ბრალეულობის დასადასტურებლად ბრალდების მხარეს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება მოწმე ზ. ს-ს ჩვენების სახით. მხოლოდ ამ მტკიცებულებით დასტურდება ის გარემოება, რომ გ. მ-მ მისთვის უცნობ მოქალაქეს ჯიბიდან ფარულად ამოაცალა საფულე და გადასცა გ. დ-ს.

თავად მსჯავრდებული გ. დ. როგორც 1-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოების სხდომებზე უარყოფს არათუ გ. მ-სგან რაიმე ნივთის მიღებას, არამედ საერთოდ მასთან ნაცნობობასაც კი.

მონმე ზ. ს-ს ჩვენება იმ ნაწილში, რომ მან დაინახა გ. მ-ს მიერ ჩადენილი ქურდობა, რომელმაც ფარულად ამოაცალა მისთვის უცნობ მოქალაქეს ჯიბიდან საფულე და გადასცა გ. ძ-ს, არ დასტურდება საქმეზე წარმოდგენილი სხვა მონმეთა ჩვენებებით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მონმეების – ზ. ლ-ს, ე. ჯ-ს, ბ. გ-ს, გ. ქ-ს და ვ. ო-ს ჩვენებებზე სასამართლო ვერ იმსჯელებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების (ირიბ ჩვენებათა გამოყენების შესახებ) გათვალისწინებით.

რაც შეეხება გ. ძ-ს პირადი ჩხრეკის ოქმს, ოქმით დასტურდება მხოლოდ დაზარალებულ ა. ა-ს საფულის ამოღების ფაქტი გ. ძ-ს ჩხრეკის შედეგად და ეს მტკიცებულება პირდაპირ ვერ ადასტურებს გ. მ-ს მიერ საფულის ქურდობის ფაქტს.

თავად გ. მ-ს პირადი ჩხრეკის ოქმი არ შეიცავს ისეთი ხასიათის ინფორმაციას, რაც შეიძლება გ. მ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტის დადგენის საშუალება იყოს. პირადი ჩხრეკის დროს მისგან არ ამოღებულა არანაირი სახის საეჭვო ნივთმტკიცება ქურდობაში მისი ბრალეულობის დასადასტურებლად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. მ-ს დამნაშავედ ცნობისათვის მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა (დანარჩენი ყველა მტკიცებულება ირიბია) არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რის გამოც ის გაამართლა. ამასთან, ვინაიდან მას გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო ქურდობის ჩადენაში ჯგუფურად, შესაბამისად, ჯგუფში მეორე თანაამსრულებლის მსჯავრდებულ გ. ძ-ს მიმართ გამოტანილ განაჩენში შევიდა ცვლილება და მას ამოერიცხა ჯგუფურად ქურდობის ჩადენის ბრალდება.

მტკიცებაშუაბათა შეფასება

გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 07 მაისის განმარტება საქმეზე №430აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 23.07.2014 წლის განაჩენით ა. მ. და ვ. ვ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: ა. მ-მ და ვ. ვ-მ განიზრახეს სხვისი კუთვნილი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. 2014 წლის 11 მარტს, დაახლოებით 18-დან 22 საათამდე პერიოდში, განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მათ უკანონოდ შეაღწიეს დ. და გ. ა-ს საკუთრების უფლებით რიცხულ სასტუმროში, ფარულად დაეუფლნენ მათ კუთვნილ, 1077 ლარის ღირებულების 3 ცალ „აკაის“ მოდელის პლაზმურ ტელევიზორს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ადვოკატებმა.

მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 23.07.2014 წლის განაჩენის გაუქმება და ვ. ვ-ს გამართლება, ხოლო ადვოკატმა ბ. ბ-მ – გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, ა. მ-ს უდანაშაულოდ ცნობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით – არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26.09.2014 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და ვ. ვ-ს გამართლებას.

მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ საქმეში არ მოიპოვება არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომ ა. მ. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა სხვასთან შეთანხმებით ან სხვასთან ერთად, სწორედ ამიტომ მისი ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულად, რის გამოც ითხოვს ა. მ-ს უდანაშაულოდ ცნობას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, მისი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის მინიმუმის განსაზღვრას.

საკასაციო პალატამ განმარტა: გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას. ის გარემოება, რომ ვ. ვ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, სადგომში უკანონო შეღწევით დაეუფლა მოპარულ ტელევიზორებს, ბრალდების მხარეს ამ ფაქტის დამადასტურებელი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა წარმოადგენს მხოლოდ საქმეში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად წარმოქმნილ ვარაუდს, რაც სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

ის ფაქტი, რომ ვ. ვ-ს შეხება ჰქონდა მოპარულ ტელევიზორებთან და ეხმარებოდა ა. მ-ს მათ გასაღებაში, საკასაციო პალატის მითითებით, აღნიშნული შესაძლოა შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ვ. ვ-ს ბრალდების შესახებ დადგენილება არ შეიცავს აღნიშნული ქმედებების აღწერას (ტელევიზორის გასაღება/გასაღების მცდელობა), პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მისი ქმედების გადაკვალიფიცირების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26.09.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებული ვ. ვ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მსჯავრდებული ა. მ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მტკიცებულებათა შეფასება

გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მე-5 მუხლი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი
- საქართველოს კონსტიტუცია მე-40 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის განმარტება საქმეზე №404აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.10.2015 წლის განაჩენით მ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.05.2016 წლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატების სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ისინი ითხოვდნენ მ. თ.-ს გამართლებას და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები: მსჯავრდებული მ. თ. და მისი ადვოკატები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მ. თ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატამ განმარტა: არ იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მ. თ.-ს ბრალეულობის თაობაზე, ვინაიდან ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა მ. თ.-ს მიერ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, მართსანიწა-აღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების ფაქტს. საკასაციო სხდომაზე მ. თ.-მ განაცხადა, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, ხოლო გამოძიების პროცესში და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მიცემული აღიარებითი ჩვენება განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების მხრიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შეპირებით.

პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილით: „ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მ. თ.-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი უდავოდ არის დადასტურებული, არის მხოლოდ ვარაუდი, რაც საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს, ვინაიდან სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც სასამართლოს დასკვნა ემყარება“.

საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. თ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

შესაქლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ

მტკიცებულებათა გამჟღავნება – მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მტკიცებულებების გადაცემა – შეჯიბრებითობის უფლების შემადგენელი ნაწილია და მიზნად ისახავს იმას, რომ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია ერთმანეთის მტკიცებულებებზე და აღნიშნულზე სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი პოზიცია.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №526აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 23.05.2014 წლის განაჩენით გ. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისათვის; სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვისათვის და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებისათვის.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ლ-მ და მისმა ადვოკატებმა, რომლებმაც ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 03.10.2014 წლის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 23.05.2014 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ლ-მ, მისმა ადვოკატმა და ითხოვეს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

საკასაციო პალატამ განმარტა: „სრულ ინფორმაციაში“ მოიაზრება ყველა ის ინფორმაცია (მტკიცებულება), რომლებიც მხარეებს ხელთ აქვთ და მის სასამართლოში წარდგენას აპირებენ. დამატებით მხარეებისათვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ გამოკითხვის ოქმების მეორე მხარისათვის გადაცემასა და სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად დაეკისროთ ასევე ერთმანეთისა და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენა, არ გამომდინარეობს სსკ-ის 83-ე მუხლის ან სხვა ნორმების მოთხოვნებიდან, რის გამოც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილება ამ საკითხზე არამართებულია.

მტკიცებულებათა გამჟღავნება – მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მტკიცებულებების გადაცემა – შეჯიბრებითობის უფლების შემადგენელი ნაწილია და მიზნად ისახავს იმას, რომ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია ერთმანეთის მტკიცებულებებზე და აღნიშნულზე სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი პოზიცია. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მოწმის გამოკითხვის ოქმების ერთმანეთისთვის გადაცემით ისინი არ იქნებიან ინფორმირებულნი, თუ მოწინააღმდეგე მხარე კონკრეტულად რომელი მტკიცებულების წარ-

დგენას აპირებს და რომელი მონმის დაკითხვას ითხოვს სასამართლოში, არ არის მყარი, ვინაიდან მონმის გამოკითხვის ოქმს, თუ ეს მონმე არ იქნება დაკითხული არსებითი განხილვის სხდომაზე, არ ენიჭება მტკიცებულების სტატუსი, ხოლო გამოკითხვის ოქმის გადაცემა მხარისათვის და წარდგენა სასამართლოსთვის სხვა არაფერია, თუ არა გამოკითხული პირის დაკითხვაზე მოთხოვნა. ამდენად, ეს საპროცესო მოქმედებები გონივრულია, ჩაითვალოს მონინაალმდევე მხარის სრულ ინფორმირებად მტკიცებულების გამოკვლევის – მონმის შემდგომი დაკითხვის თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარეს, რომელმაც წარადგინა გამოკითხვის ოქმი, სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე (წინასასამართლო სხდომა, არსებითი განხილვა) აღარ სურს ამ მონმის დაკითხვა, აღნიშნული მისი უფლებამოსილებაა და ამით მონინაალმდევე მხარის უფლებების რაიმე ფორმით შეზღუდვის ან დარღვევის საფრთხე არ არსებობს.

პალატამ ყურადღება გაამახვილა ასევე სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველს, კერძოდ: ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. ამასთან, აღნიშნული მუხლით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის მტკიცებულებათა გაცვლისას და სასამართლოსთვის წარდგენისას მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის სხვა საფუძველები. მონმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველი გათვალისწინებულია სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, კერძოდ, მონმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მონმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმების დარღვევა სახეზე არ არის, ხოლო მხარის მიერ დამატებით მონინაალმდევე მხარისათვის და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) გადაცემა, რომელიც, თავის მხრივ, არ გამომდინარეობს სსსკ-ის მოქმედი ნორმებიდან, არ შეიძლება შეფასდეს სსსკ-ის არსებით დარღვევად და გახდეს მონმეთა გამოკითხვის ოქმების, მათი ჩვენებების დაუშვებლად ცნობის ან არსებითი განხილვის დროს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა უშუალოდ სადავო საკითხის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტზე – მონმეთა გამოკითხვის ოქმების დასაშვებად ცნობის მიუხედავად, არსებითი განხილვის დროს ამ მონმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ. სსსკ-ის 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მხარეთა მონანილეობით საქმის არსებითად განხილვისათვის მოსამზადებლად: ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას...“. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ გ. ლ-ს სისხლის სამართლის საქმეზე დაამტკიცა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ნუსხა, მათ შორის – მონმეთა გამოკითხვის ოქმები, მხარეს წარმოეშვა მათი არსებითი განხილვის სხდომაზე გამოკვლევის – დაკითხვის უფლება, რაც მოცემულ შემთხვევაში, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ იქნა რეალიზებული, ხოლო აღნიშნული დასაშვები მტკიცებულების გამოკვლევა ამ მოცემულობაში სასამართლო სხდომაზე მათი უშუალო დაკითხვის გარეშე სხვაგვარად (დემონსტრირებით) შეუძლებელი იყო. ამდენად, ყველა ზემოაღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულად ჩათვალა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა და გადაწყვეტილება მონმეთა დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე, რითაც არალეგიტიმურად შეიზღუდა დაცვის მხარის უფლება, მისი მონმეების ისეთსავე პირობებში დაკითხვის თაობაზე, როგორც აქვს მონინაალმდევე – ბრალდების მხარეს.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას განვითარებულ მოსაზრებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაცვის მხარის მონმეთა დაკითხვით, ბრალდების მხარე აღმოჩნდებოდა დაცვის მხარეს-

თან არათანაბარ მდგომარეობაში. პალატამ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მიერ მოწოდებულ დასაკითხ პირთა ნუსხის შედგენა და სასამართლოსათვის წარდგენა იმ პირობებში, როდესაც საპროცესო კოდექსის არც ერთი ნორმა ასეთ ვალდებულებას მხარეთათვის არ ითვალისწინებს, არ შეიძლება შეფასდეს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დარღვევად, თუ ასეთივე, მოწმედ დასაკითხ პირთა ნუსხა არ შეადგინა დაცვის მხარემ და არ გადასცა სასამართლოს. პალატამ მიუთითა, რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების არალეგიტიმური შეზღუდვა სახეზე იქნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული საპროცესო კოდექსის ნორმის მოთხოვნის საფუძველზე, მოსამართლე ანალოგიურ მოცემულობაში ბრალდებისა და დაცვის მხარეების სასარგებლოდ მიიღებდა განსხვავებულ გადაწყვეტილებებს და მათ არ მისცემდა კონკრეტული ნორმით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან მას არ გააჩნია აღნიშნული დარღვევის გამოსწორებისა და დაცვის მხარის უფლებების აღდგენის – მოწმეთა დაკითხვის სამართლებრივი მექანიზმი, ეს უნდა გამოასწოროს სააპელაციო სასამართლომ, კერძოდ: საქმე უნდა განიხილოს და დაკითხოს დაცვის მხარის მოწმეები, რის შემდეგაც უნდა შეაფასოს გ. ლ-ს დამნაშავეობა/უდანაშაულობა და მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 03.10.2014 წლის განაჩენი გ. ლ-ს მიმართ გაუქმდა.

ანალოგიურია: №652აპ-15 10.05.2016.

კერძო ნაწილი

4. საბამოძიებო მოქმედებები

სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარებული საბამოძიებო მოქმედება; ამოღებისა და ჩხრეკის წესი

გადაუდებელი აუცილებლობის გამო ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ შესაბამისი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი; 120-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები; 259-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 მაისის განმარტება საქმეზე №609აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 06.05.2015 წლის განაჩენით ზ. მ. ცნობილი იქნა უდანაშაულოდ სსკ-ის 117-ე, 118-ე მუხლების 1-ლი ნაწილებითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდა. ზ.მ ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.09.2015 წლის განაჩენით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 06.05.2015 წლის განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება: მსჯავრდებულ ზ. მ-ს მიმართ სსკ-ის 117-ე, 118-ე მუხლების 1-ლი ნაწილებითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი გამამართლებელი განაჩენი გაუქმდა. ზ. მ-ს ქმედება სსკ-ის 117-ე და 118-ე მუხლების 1-ლი ნაწილებიდან გადაკვალიფიცირდა 19,120-ე მუხლზე. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,120-ე მუხლით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ზ.მ-ს ადვოკატებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქმის მასალების მიხედვით, ჩხრეკა ზ. მ-ს საცხოვრებელ სახლში, რომლის დროსაც საძინებელ ოთახში ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო მასალასთან ერთად, ჩატარდა მომხდარი კონფლიქტიდან ერთი წლისა და სამ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველითა და ზ. მ-ს დედის – რ. ხ-ს თანხმობით. აღსანიშნავია, რომ მოცემულ დროს არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის წესით ჩხრეკის ჩატარების საფუძველი, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

ზ. მ-ს საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის დაწყებამდე, გამომძიებელს გასაჩხრეკი ობიექტის მესაკუთრისათვის არ წარუდგენია დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკის ჩატარების თაობაზე, რასაც პირდაპირ ითვალისწინებს სსსკ-ი, ამიტომ აღნიშნული დადგენილების წარუდგენლობა ეჭვქვეშ აყენებს თვით ჩხრეკის ჩატარების ლეგიტიმურობას იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ისეთი უკიდურესი ვითარება, რომ ჩხრეკის დაწყების თუნდაც მცირე ხნით დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს – მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაკარგვა ან განადგურება. მსგავს ვითარებაში შესაძლოა, მართლაც ვერ მოესწროს აღნიშნული დად-

გენილების დროულად გამოტანა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს საპროცესო კანონის მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ შესაბამისი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე (აღნიშნულ საპროცესო მოთხოვნებს ითვალისწინებს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი და იმავე კოდექსის 120-ე მუხლის მე-2, მე-4 ნაწილები). ზ. მ-ს საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარების შემდეგ, პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს ამ ჩხრეკის კანონიერების შემოწმების თაობაზე, მაგრამ მოსამართლემ პროკურორს განჩინებით უარი უთხრა შუამდგომლობის არსებით განხილვაზე, რაც იმით დაასაბუთა, რომ, რადგან არსებობდა ბინის მესაკუთრის თანხმობა ჩხრეკის ჩატარებაზე, ამიტომ საჭირო აღარ იყო ჩხრეკის კანონიერების სასამართლო წესით შემოწმება. მოსამართლის ასეთი პოზიცია აშკარად არ შეესაბამება საპროცესო კანონით დადგენილ იმ წესებსა და მოთხოვნებს, რომლებზეც ზემოთ იყო მითითებული.

გარდა აღნიშნულისა, ყურადღება უნდა მიქცეოდა და სათანადო შეფასება მისცემოდა ზ. მ-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის მიმდინარეობისას დაშვებულ სხვა დარღვევებსაც, რაც არ გაუკეთებია საქმის განმხილველ სასამართლოებს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. მ-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით დაშვებული ყველა საპროცესო დარღვევა, რომლებზეც ზემოთ იყო მითითებული, ერთობლიობაში აღებული, საფუძველს აცლის ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების სანდოობასა და, რაც მთავარია, მათ კანონიერებას. აღნიშნულის გამო, არ შეიძლება ისინი საფუძველად დაედოს ზ. მ-ს მსჯავრდებას, თანახმად, სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილში განმტკიცებული ფუნდამენტური პრინციპისა, რომლის მიხედვით – მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზ. მ-ს მსჯავრდებას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნის, შენახვისა და ტარების ნაწილში, დანაშაული, გათვალისწინებული სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, არ გააჩნია კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი, რაც სსსკ-ის 259-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ უპირობო მოთხოვნას წარმოადგენს სასამართლო განაჩენის მიმართ.

სააპელაციო პალატამ ზ. მ-ს მსჯავრი დასდო აგრეთვე ისეთი ქმედების ბრალეულად ჩადენაში, როგორიცაა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მცდელობა, დანაშაული, გათვალისწინებული სსსკ-ის 19,120-ე მუხლით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა და საქმეში არ მოიპოვება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა მომხდარი შემთხვევის დროს ზ. მ-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა და ამ იარაღით გასროლების განხორციელება დაზარალებულთა მიმართ. აქედან გამომდინარე, ეს ვერსიაც არ არის დადასტურებული, თუნდაც ერთი პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულებით მაინც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.09.2015 წლის განაჩენი ზ. მ-ს მიმართ გაუქმდა, იგი გამართლდა სსსკ-ის მე-19,120-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

5. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, ალკვეთის ღონისძიებანი

გირაო

გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილში.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განმარტება საქმეზე №43აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 26.08.2014 წლის განაჩენით ე. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლოს მიერ დადგენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

ე. მ. 2011 წლის 12 აგვისტოდან რეგისტრირებულია ინდემნარმედ და ეწევა სამენარმეო საქმიანობას, კერძოდ, ხე-ტყის რეალიზაციას. მან 2011 წლის 12 აგვისტოდან 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდში არ განახორციელა გადახდის წყაროსთან დაკავება, ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადისა და წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარირება, რითაც განზრახ აარიდა თავი განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 533 756 ლარის გადახდას.

მანვე, 2012 წლის 2 სექტემბერს შპს „გ-ას“ დირექტორ ა. გ-სთან ერთად ჯგუფურად, გასაღების მიზნით, არასწორი ინფორმაციის ასახვით დაამზადა და ა. გ-ზე გაასაღა ხე-ტყისა და მისი პირველადი გადამუშავების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მანვე, 2012 წლის 5 ოქტომბერს, შპს „გ-ას“ დირექტორ ა. გ-სთან ერთად ჯგუფურად, გასაღების მიზნით, არასწორი ინფორმაციის ასახვით დაამზადა და ა. გ-ზე გაასაღა ელექტრონული სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 26.08.2014 წლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ე. მ-მ და მისმა ადვოკატმა. მათ ითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დანიშნული სასჯელის ერთი მესამედის პირობით ჩათვლა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 11.06.2014 წლის საოქმო განჩინების (გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ) გაუქმება და უძრავი ქონების მესაკუთრისათვის დაბრუნება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 26.08.2014 წლის განაჩენი და ამავე სასამართლოს 11.06.2014 წლის საოქმო განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 28.10.2014 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრით ე. მ-მ და მისმა ადვოკატმა დააყენეს სააპელაციო საჩივრის ანალოგიური მოთხოვნა.

საკასაციო პალატამ განმარტა: ე. მ-ს ბრალდების საქმეზე ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ თავისი 11.06.2014 წლის საოქმო განჩინებით ნ. ჯ-ს მიერ ე. მ-ს მიმართ შეფარდებული გირაოს სახით შეტანილი ნ. ჯ-ს უძრავი ქონება, გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, მიაქცია აღსასრულებლად „სააღსრულებო წარ-

მოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, რა დროსაც არ შეამონმა, გირაოს შეტანისას იყო თუ არა დაცული სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, „გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში“. აღნიშნულის თაობაზე ასევე პირდაპირ არის მითითებული ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 4.01.2014 წლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტშიც, რომლითაც პროკურორს დაევალა გირაოს შემტანის (მესაკუთრის) გაფრთხილება გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში კი არ მოიპოვება ოქმი, რომელიც დაადასტურებდა გირაოს შემტანი პირის გაფრთხილებას სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და კანონის დარღვევის შემთხვევაში მესაკუთრისათვის შესაძლო შედეგების თაობაზე, რომ მის მიერ გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიექცეოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 28.10.2014 წლის განაჩენი ე. მ-ს მიმართ დარჩა უცვლელად, ხოლო ცვლილება შევიდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 11.06.2014 წლის საოქმო განჩინებაში, კერძოდ: ე. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უზრუნველსაყოფად შეტანილი ნ. ჯ-ს უძრავი ქონება დაუბრუნდა მის შემტან პირს – ნ. ჯ-ს; გაუქმდა ე. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უზრუნველსაყოფად ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 4.01,2014 წლის განჩინება და ნ. ჯ-ს უძრავ ქონებას მოეხსნა ყადაღა.

6. საპროცესო შეთანხმება

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა

მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი და ობიექტი იყვნენ ოჯახის წევრები.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილი; 212-ე მუხლის მე-6¹ ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №403აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2016 წლის 4 მაისს თეთრინყაროს რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმარ-

თა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, რომელმაც ითხოვა ბრალდებულ ს. გ-ს მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა და მასა და ს. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 04.05.2016 წლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა პროკურორსა და ს. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ და საქმე დაუბრუნდა პროკურორს.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 04.05.2016 წლის განჩინების გაუქმება და აღნიშნული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.06.2016 წლის განჩინებით პროკურორის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 04.05.2016 წლის განჩინება დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრით პროკურორმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და მასა და ს. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება. იმავე კოდექსის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამონებებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი. ამავე მუხლის მე-6¹ ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-11¹ ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ პროკურორის შუამდგომლობა ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევით არის წარმოდგენილი, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს.

სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11¹ ნაწილის მიხედვით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არის ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.

საკასაციო საჩივრით ბრალდების მხარე სადავოდ ხდის სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციის საკითხს.

სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი და ობიექტი იყვნენ ოჯახის წევრები. ხსენებული მუხლის ობიექტური მხარე გამოიხატება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ორივე ინსტანციის სასამართლოების განმარტებას, რომ სწორედ – „მოძალადე“ და „ძალადობის მსხვერპლი“ უნდა იყვნენ ერთი ოჯახის წევრები და არა – „არასრულწლოვანი“ და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრი (რაზედაც აპელირებს ბრალდების მხარე).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. გ-მ („მოძალადე“), არასრულწლოვან მ. ა-ს თან-

დასწრებით, იძალადა ცოლის დაზე – რ. ა-ზე („ძალადობის მსხვერპლი“), თუმცა რ. ა., სსკ-ის 126¹-ე მუხლის შენიშვნის გათვალისწინებით, ს. გ-ს ოჯახის წევრს არ წარმოადგენს.

რაც შეეხება ბრალდების მხარის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულად გვევლინება არა მარტო ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, არამედ არასრულწლოვანიც, რადგან იგი წარმოადგენს ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლს – მისი ოჯახის წევრზე ძალადობა მასაც უქმნის დაუცველობის შეგრძნებას და მის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება – პროკურორის განმარტებით, ამ შემთხვევაში დაზარალებულია არასრულწლოვანი მ. ა. და სახეზეა ოჯახის ერთი წევრის – ს. გ-ს მიერ ოჯახის მეორე წევრზე – მ. ა-ზე ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტი, საკასაციო პალატა ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ბრალდების მხარის მიერ ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია სცილდება როგორც ბრალდების, ისე სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დისპოზიციის ფარგლებს, რადგან ხსენებული კვალიფიკაციით დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა მაშინ, როდესაც ძალადობა მიმართულია არა უშუალოდ არასრულწლოვნის, არამედ მისი თანდასწრებით, მოძალადის ოჯახის წევრის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.06.2016 წლის განჩინება დარჩა უცვლელად.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმება

თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განმარტება საქმეზე №182აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 06.04.2015 წლის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულ მ. მ-ს შორის. ხსენებული საპროცესო შეთანხმება, სასჯელთან დაკავშირებული პირობების გარდა, პროკურატურამ ბრალდებულ მ. მ-სთან დადო აგრეთვე იმ პირობით, რომ მას უნდა მიეცა ბრალდებულ თ. შ-ს მამხილებელი ჩვენება საქმის არსებითი განხილვის პროცესში ამ უკანასკნელის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რაზეც მ. მ-მ განაცხადა თანხმობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 06.04.2015 წლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და მოითხოვა აღნიშნული განაჩენის გაუქმება იმ მოტივით, რომ მ. მ-მ დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, კერძოდ, 2015 წლის 21 სექტემბერს მსჯავრდებულმა მ. მ-მ, რომელიც დაიკითხა თბილისის საქალაქო სასამართლოში თ. შ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, არ მისცა თ. შ-ს მამხილებელი ჩვენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19.02.2016 წლის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მ. მ-ს მიმართ და საქმე დაუბრუნდა პროკურატურას.

კასატორებმა – მ. მ-მ და მისმა ადვოკატმა ითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 06.04.2015 წლის განაჩენის ძალაში დატოვება.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე“. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისას სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს“.

იმის გათვალისწინებით, რომ მ. მ-მ დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ – არ მისცა თ. შ-ს მამხილებელი ჩვენება – თბილისის სააპელაციო სასამართლომ კანონიერად იხელმძღვანელა სსსკ-ის მოთხოვნებით და გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება.

საკასაციო პალატა სრულად დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს და არ გაიზიარა კასატორის პოზიცია, რომ თითქოს მან არაფერი იცოდა მასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების პირობის – გამოძიებასთან თანამშრომლობისა და თ. შ-ს წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემის შესახებ და რომ სცოდნოდა ამის შესახებ, არ დათანხმდებოდა ამ პირობით საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. საქმის მასალებში არსებული 2015 წლის 3 აპრილის საპროცესო შეთანხმების დადების ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ ბრალდებული მ. მ. და მისი ადვოკატი, დასტურდება, რომ სასჯელთან დაკავშირებული პირობების გარდა, ბრალდებულთან მოხდა შეთანხმება თანამშრომლობაზეც, კერძოდ, მას უნდა მიეცა ბრალდებულ თ. შ-ს მამხილებელი ჩვენება საქმის არსებითი განხილვის პროცესში ამ უკანასკნელის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რაზეც მ. მ-მ განაცხადა თანხმობა. აღნიშნული ოქმის ასლი გადაეცა ბრალდებულსა და მის ადვოკატს. მათი მხრიდან შენიშვნები არ გაკეთებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. მ-მ დაარღვია მასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების მისთვის ცნობილი პირობა გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ, რაც საპროცესო შეთანხმების გაუქმების სამართლებრივი საფუძველია და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

7. საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

შუამდგომლობის დაყენება და გადაწყვეტა

მხარის შუამდგომლობით სასამართლო იხილავს მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მისი წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განმარტება საქმეზე №493აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.06.2014 წლის განაჩენით ლ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 331-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის მიხედვით, მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 12 სექტემბერს ლ. მ-მ დარეკა ნომერზე 112 და განაცხადა, რომ თბილისში, ... მდებარე ტელეკომპანიის შენობაში დამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. აღნიშნულით ხელი შეეშალა ტელეკომპანიის სრულფასოვან ფუნქციონირებას, რითაც მიაღწა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.11.2014 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და ლ. მ-ს გამართლებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: არ ეთანხმება დაცვის მხარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა ლ. მამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა და მონმის სახით დაკითხული ექსპერტ ა. მ-ს ჩვენება, რადგან მათ საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით გადაეცათ დადგენილება ექსპერტიზის ჩატარების შესახებ და მის საფუძველზე ჩატარებული თავად ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რითაც დარღვეულ იქნა მათი დაცვის უფლება.

სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას – საქმის არსებითი განხილვის დროს მხარემ წარადგინოს დამატებითი მტკიცებულება. მხარის შუამდგომლობით სასამართლო იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

მართალია, ექსპერტიზის დანიშნის შესახებ დადგენილების მხარისათვის გადაცემის საკითხს საქმის არსებითი განხილვის სხდომამდე საპროცესო კანონმდებლობა არ აწესრიგებს, მაგრამ პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარის უფლება არ დარღვეულა, დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი იყო მისი დაცვის უფლებისთვის იმ საპროცესო გარანტიით, რომ გასცნობოდა როგორც დადგენილებას, ხოლო შემდეგ, საქმის არსებითი განხილვის დროს, მის საფუძველზე მიღე-

ბულ ფონოსკოპიური ექსპერტის დასკვნას და გამოეთქვა თავისი მოსაზრება ამ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ლ. მ-ს მოქმედებით ტელეკომპანიის სრულფასოვან ფუნქციონირებას შეეშალა ხელი, საკმარისი და დამაჯერებელი მტკიცებულებებით არ არის დადასტურებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა, რაც საკასაციო პალატას მისცემდა შესაძლებლობას, ჯეროვნად შეეფასებინა მნიშვნელოვანი ზიანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.11.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: ლ. მ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სსკ-ის 331-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა, იგი ჩაითვალა სასჯელმობ-დილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა

ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენა ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სსსკ-ის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 28 აპრილის საქმეზე №561აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზ. ტ-სა და ვ. გ-ს ბრალი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად.

თელავის რაიონული სასამართლოს 10.06.2015 წლის განაჩენით: ზ. ტ. და ვ. გ. სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გამართლდნენ.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.09.2015 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

პროკურორმა საკასაციო საჩივრით ითხოვა ზ. ტ-სა და ვ. გ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და შესაბამისი სასჯელების დანიშვნა.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსსკ-ის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაუშვებელია სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე ბრალდებულის მიერ მოწმის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნება ანუ მისი საჯაროდ წაკითხვა, ასევე ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის დემონსტრირება და მისი მტკიცებულებად გამოყენება, როდესაც ბრალდებული ამის წინააღმდეგია.

მოცემულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს რამდენადმე განსხვავებულ ვითარებასთან, რადგან საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ზ. ტ-სა და ვ. გ-ს ჩვენება არ მიუციათ, არამედ ვითარება აღადგინეს იმ ხერხების დემონსტრირებით, რაც მათ მიერ გამოყენებული იყო ბრალდების მხარის მიერ მათთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების ჩასადენად. ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენა კი ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სსსკ-ის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა. ამასთან, ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენის ამსახველი ოქმი, რომელიც შედგენილ იქნა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლოს მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის დადგენისა და დასაბუთებისათვის. თუმცა, იმავეს თქმა შეუძლებელია საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების (ინფორმაციის) თაობაზე, რადგან ამ უკანასკნელზეც ვრცელდება ის ზოგადი შემზღუდავი წესი, რაზედაც პირდაპირ არის მითითებული მოქმედი სსსკ-ის 247-ე მუხლის 1-ელ ნაწილში.

ამრიგად, საკასაციო პალატამ დაასკვნა: მოქმედი სსსკ-ის 130-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, პროკურატურამ ზ. ტ-სა და ვ. გ-ს ბრალდების საქმეზე მის მიერ ჩამოყალიბებული ვერსიები გადაამოწმა და საამისოდ განხორციელებული მოქმედებები ასახა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში, რომელიც, როგორც კანონიერი და პირდაპირი მტკიცებულება, სასამართლოს შეეძლო გამოეყენებინა საქმის არსებითი განხილვისას. მაგრამ მხოლოდ ეს ერთი პირდაპირი მტკიცებულება, თუნდაც მოცემულ საქმეში რეალურად არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, არ იძლეოდა საკმარის საფუძველს იმისათვის, რათა ზ. ტ-სა და ვ. გ-ს კანონიერად და დასაბუთებულად დაედოთ მსჯავრი იმ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რაშიც ბრალი ჰქონდათ წარდგენილი, რადგან საქმეში არსებული, ზემოხსენებული ყველა სხვა მტკიცებულება, მოწმეთა ჩვენებების სახით, იყო ირიბი, რის გამოც უტყუარად და დამაჯერებლად ვერ დასტურდებოდა, რომ ნამდვილად მათ ჩაიდინეს აღნიშნული ქმედებები. მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება კი, როგორც არასაკმარისი საფუძველი, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის მსჯავრდებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.09.2015 წლის გამამართლებელი განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. სასამართლოს განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება

გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სასჯელის დაუნიშნავად

გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაცვლილია.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-6 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 02 დეკემბრის განმარტება საქმეზე №171აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 08.10.2013 წლის განაჩენით მ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებითა

და 273-ე მუხლით, დანაშაულთა ერთობლიობით, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მ. გ-ს ბრალი ედებოდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენასა და შენახვაში, არაერთგზის, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სსკ-ის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; ასევე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის სასამართლევითი პირის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.04.2014 წლის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 08.10.2013 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა და ითხოვა მსჯავრდებულ მ. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 269-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაცვლილია. ამდენად, სააპელაციო პალატამ არასწორად დაუნიშნა სასჯელი მ. გ-ს, ვინაიდან იგი განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გარდაცვლილი იყო. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.04.2014 წლის განაჩენი შეიცვალა, მ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 273-ე მუხლით – სასჯელის დაუნიშნავად.

9. აპელაცია

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №456აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

გორის რაიონული სასამართლოს 26.09.2014 წლის განაჩენით თ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 160 საათის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, 2014 წლის 2 ივნისს თ. გ-მ არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ყოფილ მეუღლეს – ნ. გ-ს, რის შედეგადაც ნ. გ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.11.2014 წლის განაჩენით შეიცვალა, კერძოდ: თ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო განაჩენის აღსრულების დღიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა თ. გ-მ და მისმა ადვოკატმა.

კასატორები ითხოვენ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლას სასჯელის ნაწილში, კერძოდ: თავისუფლების აღკვეთის შეცვლას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, რომელიც მსჯავრდებულს სრულად აქვს მოხდილი. კასატორები ასევე უთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება საჩივარი განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და მსჯავრდებულისათვის დაემძიმებინა სასჯელი.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე. სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნული სასჯელი ზეპირი მოსმენის გარეშე შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია ორ დამოუკიდებელ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილია: 1. მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეზე და 2. საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე, ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელოს საჩივარზე. ეს ორი დანაწესი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და ერთ-ერთის არსებობაც უკვე საკმარისია სასამართლოსათვის, რომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან პროკურორის საჩივარი ეხებოდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეს – თ. გ-ს მსჯავრი დაედო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის – სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, სააპელაციო საჩივარი განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და დაემძიმებინა სასჯელი, კერძოდ: აღნიშნული ნორმის დანაწესი – „სასამართლო უფლებამოსილია დანიშნული სასჯელი ზეპირი მოსმენის გარეშე შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით“, სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე ზეპირი მოსმენის გარეშე პროკურორის სააპელაციო საჩივრის განხილვასა და, შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასჯელის დამძიმების შესაძლებლობას არ გამოერიცხავს.

გარდა ამისა, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ბიუროს ოფიცრის 10.11.2014 წლის შეტყობინების თანახმად, თ. გ-მ გორის რაიონული სასამართლოს 26.09.2014 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 160 საათის ოდენობით – მოიხადა 10.11.2014 წელს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ ძირითად სასჯელად, ნაცვლად აღნიშნული სასჯელისა, თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა, ფაქტობრივად იწვევს ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორი ძირითადი სასჯელის მოხდას. აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლომ თ. გ. ჩათვალა ამ დანაშაულისათვის სასჯელმოხდილად და 30.12.14 წლის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.11.2014 წლის განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შეიტანა ცვლილება, კერძოდ, თ. გ-ს დანიშნული სასჯელი ჩათვალა მოხდილად და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

სააპელაციო განაჩენი და შეზღუდვა საუარესოდ

დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 73-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 11 მაისის საქმეზე №21აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 12.08.2015 წლის განაჩენით გ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი.

განაჩენით მსჯავრდებულ გ. მ-ს მსჯავრი დაედო შემდეგში: 2014 წლის 2 ოქტომბერს, დაახლოებით 00:50 საათზე, გ. მ. ფარულად დაეუფლა საკვებ პროდუქტს და ავტომანქანის არომატიზატორებს. გ. მ-ს დანაშაულებრივი ქმედებით შპს-ს მიაღდა 60.75 ლარის ქონებრივი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.2015 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

პროკურორმა საკასაციო საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულისათვის სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის კანონით დადგენილი შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

საკასაციო პალატამ განმარტა: მსჯავრდებული გ. მ. ახალი დანაშაულის ჩადენისათვის განაჩენის გამოტანის დროისათვის – 12.10.2015 წლისათვის ითვლებოდა ნასამართლობის მქონედ, შესაბამისად, სახეზე იყო დანაშაულის რეციდივი (სსკ-ის მე-17 მუხლი).

სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. აღნიშნული კი მხედველობაში არ მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ გ. მ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის დანიშვნისას და მას შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცული იყო სსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები. სახელმწიფო ბრალმძებელს ასეთი პოზიცია ეკავა 1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და სწორედ ამ მოთხოვნით გაასაჩივრა 1-ლი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენი, კერძოდ: 1-ლი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, მხარეებმა სადავოდ არ გახადეს როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც სსკ-ის 73-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიღო გამოკვლევის გარეშე, ამასთან, დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და სისხლის სამართლის საქმეს დაერთო წერი-

ლობითი დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, მსჯავრდებული გ. მ. ითვლებოდა ნასამართლობის მქონედ. სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენა მტკიცებულებების სახით მიუთითებდა მის პოზიციაზე, რომ ეს მტკიცებულებები უნდა გათვალისწინებულიყო განაჩენის გამოტანის დროს; სასამართლოს კი აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, სასჯელი უნდა დაენიშნა რეციდივის გათვალისწინებით სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.2015 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: გ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალია პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

სააპელაციო განაჩენი და შეზღუდვა საშარსოდ

სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 341-მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განმარტება საქმეზე №109აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 14.08.2015 წლის განაჩენით თ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება. სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 5 წელი და 4 თვე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 1 წელი და 8 თვე პირობითი მსჯავრი. 1 წლითა და 8 თვით გამოსაცდელი ვადით. თ. მ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული სასჯელი და განესაზღვრა 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. ასევე გაუნახევრდა პირობითი მსჯავრი 1 წელი და 8 თვე და განესაზღვრა 10 თვით პირობითი მსჯავრი გამოსაცდელ ვადად კი დაუდგინდა 1 წელი. 1 წლით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება. სსკ-ის 341-ე მუხლით განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, თ. მ., 2010 წლის 19 ივლისიდან 2013 წლის 24 მაისამდე მუშაობდა რა საქართველოს შეარაღებული ძალების ფინანსისტად, 2011-2013 წლებში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელფასო რეესტრებისა და მათ ელექტრონულ ვერსიებში ყალბი მონაცემების შეტანით, მიითვისა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო თანხა 123971,75 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 22.12.2015 წლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: თ. მ-ს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3

ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 5 წელი და 3 თვე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო 1 წელი და 9 თვე, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით მსჯავრად, 1 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით. მასვე 2 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში საფინანსო კუთხით საქმიანობის უფლება. სსკ-ის 341-ე მუხლით განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით (სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი).

მსჯავრდებული თ. მ. და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ მსჯავრდებულ თ. მ-ს სასჯელის ზომად განსაზღვროდა 2 წლით, 6 თვით და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 10 თვე და 15 დღე ჩათვლოდა პირობით მსჯავრად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

საკასაციო პალატამ განმარტა: ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ თ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები ერთიანი მიზნით და საერთო განზრახვით გრძელდებოდა 2011-2013 წლებში, მათ შორის რამდენიმე ქმედება ჩადენილი იყო 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ, რის გამოც არასწორად მიიჩნია „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მოცემულ დანაშაულზე გავრცელება, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ ხსენებული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა იმ პირზე, რომელმაც დანაშაული 2012 წლის 2 ოქტომბრამდე ჩაიდინა. აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენების ნაწილში ცვლილების შეტანით დაემძიმებინა მსჯავრდებულ თ. მ-ს მდგომარეობა, ვინაიდან, სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება გამოიყენოს უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სახელმწიფო ბრალდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებისას, სააპელაციო საჩივარში საერთოდ არ მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, იგი მიუთითებდა მხოლოდ სასამართლოს მიერ სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის არასწორად გამოყენების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, რამაც მკვეთრად გააუარესა მსჯავრდებულ თ. მ.-ს მდგომარეობა, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასარგებლოდ და მის მიმართ გამოყენებულ იქნა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი.

10. პასაჟი

10.1. გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №296აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების შესაბამისად, 2013 წლის 12 ოქტომბერს, დაახლოებით 09:20 საათზე, „მერსედეს ბენცის“ მარკის ავტომანქანით, 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა დ. კ-მ შენიშნა ქვეითი მცირეწლოვანი ლ. მ., რომელიც საავტომობილო გზას კვეთდა ავტომობილის მოძრაობის მიმართულებით მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო ავტომანქანის შემჩნევის შემდეგ დაიწყო უკან დაბრუნება. მძღოლმა დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები – ნაცვლად იმისა, რომ მიეღო შესაძლო ზომები მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე, დაიწყო მანევრული მოძრაობა მისი სამოძრაო ზოლის საპირისპირო მხარეს და გზის გამყოფ ღერძულა ხაზზე შეეჯახა 2004 წლის 8 მაისს დაბადებულ ლ. მ-ს, რასაც შედეგად მოჰყვა ამ უკანასკნელის სიცოცხლის მოსპობა.

დ. კ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით – ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 14.03.2014 წლის განაჩენით დ. კ. გამართლდა სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 30.06.2014 წლის განაჩენით გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 14.03.2014 წლის გამამართლებელი განაჩენი, დ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა დ. კ-მ და მისმა ადვოკატმა და ითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და დ. კ-ს გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. იმავე შინაარსისაა ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, შე-

საბამისი კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დ. კ-ს მიერ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით, შესაბამისად, სახეზე არ არის სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, რის გამოც საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდა და მის ნაცვლად დადგენილ იქნა გამამართლებელი განაჩენი.

10.2 განაჩენის გაუქმება და საქმის გაგზავნა ახალი სასამართლო განხილვისათვის

2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის მოქმედი რედაქციის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესით.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 562-ე და 563-ე მუხლები (20.02.1998 წლის კანონი),
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილი (9.10.2009 წლის კანონი)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 10 მაისის საქმეზე №587აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.06.2015 წლის განაჩენით ო. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 28.12.2012 წლის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

აღნიშნული განაჩენით ო. ჩ-ს მსჯავრი დაედო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური პირისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელმაც ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის ნაწილში, კერძოდ, მსჯავრდებულისათვის საბოლოო სასჯელად 2 წლითა 3 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08.10.2015 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.06.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ განმარტა: ო. ჩ-ს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარიმართა 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესით, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოტანილი აქვს 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, კერძოდ: განაჩენის გამოტანის დროს იხელმძღვანელა ახალი სსსკ-ის 298-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის მოქმედი რედაქციის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ით, რითაც არსებითად დაირღვა კანონის მოთხოვნა.

1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის (2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) 562-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძველია: სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა. ამავე კოდექსის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არსებითად ითვლება ამ კოდექსის მოთხოვნათა ისეთი დარღვევები, რომლებმაც შეზღუდეს პროცესის მონაწილეთა უფლებები, ხელი შეუშალოს საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინეს კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო სსსკ-ის 562-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაუქმდა და სისხლის სამართლის საქმე დაბრუნდა იმავე სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის მითითებით, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმეზე არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა უნდა წარიმართოს და განაჩენი გამოტანილ უნდა იქნეს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესით.

ანალოგიურია: სუსგ №418აპ-14 08.04.2015.

10.3 განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა

სისხლის სამართლის საქმეზე არ იყო წარმოდგენილი არც ერთი უტყუარი, პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება, რომელიც პალატას საშუალებას მისცემდა, დაედგინა ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენის ფაქტი.

- საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განმარტება საქმეზე №60აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>.)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.12.2011 წლის განაჩენით თ. კ., ძეგნილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით – ცეცხლსასროლი

იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექენა, შენახვისა და ტარებისათვის; 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით – ხულიგნობისათვის, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით; 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – განზრახ მკვლელობისათვის, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ი. გ-ს ადვოკატმა. იგი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.10.2014 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.12.2011 წლის განაჩენში თ. კ-ს მიმართ შევიდა ცვლილება („ამინისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეუმცირდა სასჯელები).

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლემ ი. გ-მ და მისმა წარმომადგენელმა და ითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და თ. კ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა: სისხლის სამართლის საქმეზე არ იყო წარმოდგენილი არც ერთი უტყუარი, პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება, რომელიც პალატას საშუალებას მისცემდა დაედგინა თ. კ-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან ს. გ-ს, ზ. ტ-ს, დ. და ლ. ჩ-ების მისამართით მრავალჯერადი გასროლის ფაქტი. პალატამ ასევე მიიჩნია, რომ არც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით უტყუარად არ დასტურდებოდა ის, თუ რაში გამოიხატა თ. კ-ს მხრიდან ხულიგნობის ჩადენის ფაქტი და შემთხვევის ადგილზე რა მოქმედებები განახორციელა მან. რაც შეეხება თ. კ-ს მსჯავრდებას სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, ვინაიდან ამოღებული არ იყო ცეცხლსასროლი იარაღი, მისი ვარგისიანობა ვერ დადგინდა, ისევე როგორც მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ს. გ-ს მოკვლისა და სხვა დაზარალებულების სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების ფაქტები, რაც უტყუარად მიუთითებდა იარაღის კუთვნილებას ცეცხლსასროლი იარაღის კატეგორიისადმი და მის ვარგისიანობას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ. კ-ს მსჯავრდება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შექენა, შენახვისა და ტარების ნაწილში ასევე არასწორი იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.10.2014 წლის განაჩენი თ. კ-ს მიმართ, სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებითა და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში მსჯავრდების თაობაზე გაუქმდა და საქმე შეწყდა.

განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა

გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ.

- საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი
- საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განმარტება საქმეზე №632აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ფოთის საქალაქო სასამართლოს 19.09.2008 წლის განაჩენით ე. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია), 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელების შეკრების გამოყენებით განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ფოთის საქალაქო სასამართლოს 22.09.2006 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და საბოლოოდ ე. მ-ს განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ე. მ-მ და მისმა ადვოკატმა, რომლებმაც ითხოვეს ე. მ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 23.10.2015 წლის განაჩენით მსჯავრდებულ ე. მ-სა და მისი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ფოთის საქალაქო სასამართლოს 19.09.2008 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება სასჯელის ნაწილში.

კასატორი – მსჯავრდებული ე. მ. ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატამ განმარტა: საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდებულს. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რაც მიუთითებდა ე. მ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაზე. საკასაციო სასამართლო აანალიზებს რა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მიაჩნია, რომ არც ერთი მათგანი, არც ცალკე აღებული და არც ერთობლიობაში, არ მიუთითებს ე. მ-ს მიერ თ. მ-სთვის ჩვენების გამოძალვისა და მისთვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ

შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქმარ-წყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან.

საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებული ზემოაღნიშნული სტანდარტები განმტკიცებულია სსსკ-ითაც. კერძოდ: სსსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის, სსსკ-ის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის, 503-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ ე. მ-მ ჩაიდინა თ. მ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად და ასევე, ჩვენების მიცემის იძულება, რასაც თან ერთვის ძალადობა, აბურად აგდება ან წამება, არის მხოლოდ ვარაუდი, რაც საქართველოს კონსტიტუციის, სსსკ-ისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა და ე. მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა.

ანალოგიურია: სუსგ №318აპ-16 07.11.2016.

11. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

11.1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები

საქართველოს 20.02.1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ნაწარმოები სისხლის სამართლის საქმე არ წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.01.2015 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველს.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის განმარტება საქმეზე №76აგ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2015 წლის 2 ივლისს მსჯავრდებულ ნ. რ-ს ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ნ. რ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო იმ მოტივით, რომ ყველა გამამტყუნებელი განაჩენი ნ. რ-ს მიმართ გამოტანილია უსაფუძვლოდ; საქმეში არ მოიპოვება პირდაპირი და ირიბი სამხილები, რომლებიც გამორიცხავდა ყოველგვარ გონივრულ

ეჭვსა და ვარაუდებს; ნ. ჩ-ს მიმართ დადგენილი ოთხივე განაჩენი ეყრდნობა იმ ნორმებს, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა: ა) სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებების ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) სსსკ-ის 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდების შესაძლებლობას. ამდენად, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებული სსსკ-ის დასახელებული მუხლები გაუქმდა და იურიდიული ძალა დაკარგა, მაშასადამე, სახეზეა ამავე კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოების იურიდიული შესაძლებლობა და, შესაბამისად, ნ. ჩ-ს ბრალდების საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები უნდა გადაისინჯოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.07.2015 წლის განჩინებით მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს ადვოკატის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

კასატორის – მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს ადვოკატის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.07.2015 წლის განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის განსახილველად დაშვება.

საკასაციო პალატამ განმარტა: კასატორი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვას ითხოვს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, შესაბამისად, შუამდგომლობა ემყარება განაჩენის გადასინჯვის ორ სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველს.

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ კასატორი სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის საფუძველად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის იმ ნორმების ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც საფუძველად დაედო გადასინჯვას განაჩენს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ჩ-ს მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად არ უდევს 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ი, პალატა კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას, გადალახოს საპროცესო კოდექსით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ასევე კასატორის მოსაზრებას, რომ მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო მისი შუამდგომლობის განხილვაში იმ მოტივით, რომ იგი მონაწილეობდა ნ. ჩ-ს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. პალატა ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობა მოსამართლეს არ უზღუდავს უფლებას, მონაწილეობდეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში (№17აგ-16, №416აგ-15, №28აგ-15).

ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოთხოვნას თბილისის სააპელაციო

სასამართლოს 15.07.2015 წლის განჩინების გაუქმებისა და სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასასინჯად სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის დაბრუნების თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, ვინაიდან, როგორც გასაჩივრებული განჩინებიდან დგინდება, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესახებ სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის კონტექსტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.07.2015 წლის განჩინება და საქმე დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს ადვოკატის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად. განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, დარჩა უცვლელად.

ანალოგიურია: სუსგ №62აგ-16 28.10.2016; №77აგ-15 21.11.2016; №96აგ-15 02.12.2016; №141აგ-16 08.12.2016.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველზე

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის განმარტება საქმეზე №149აგ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2016 წლის 14 ივნისს მსჯავრდებულმა მ. ს-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22.06.2016 წლის განჩინებით მსჯავრდებულ მ. ს-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ს-მ, რომელმაც ითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა და მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2015 წლის გადაწყვეტილებით

არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების – „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ – ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისათვის შექმენისა და შენახვის გამო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. ს-ს თელავის რაიონული სასამართლოს 12.10.2015 წლის განაჩენით მსჯავრი დაედო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით – 171,63 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შექმენა-შენახვაში. აღნიშნული ოდენობა კი აღემატება საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულ ოდენობას. ამასთან, გადაწყვეტილება მიღებულია ნარკოტიკულ საშუალება „გამომშრალ მარიხუანასთან“ მიმართებით.

იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2015 წლის გადაწყვეტილება არ ვრცელდება ნარკოტიკულ საშუალება „ნედლ მარიხუანაზე“, მით უმეტეს 171,63 გრამზე, რომელიც აღემატება გადაწყვეტილებაში მითითებულ 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ ორმაგ ოდენობასაც კი, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენისათვის მსჯავრდებულ მ. ს-ს მიმართ განსაზღვრული სასჯელის კონსტიტუციურობის საკითხის დასადგენად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი დღევანდელი მოცემულობით არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს მსჯავრდებულ მ. ს-ს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და მისივე შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველი.⁴

⁴ **შენიშვნა:** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/855 განჩინებით კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – ნედლი მარიხუანის (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შექმენისა და შენახვისთვის.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველზე

კანონიერ ძალაში შესული განაჩენი გადასინჯება, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასინჯვი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განმარტება საქმეზე №500აგ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2015 წლის 29 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს შ. დ-მ და ვ. დ-მ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, შემდეგ გარემოებებზე მითითებით: 2005 წლის 22 აგვისტოდან 2008 წლის 2 მაისამდე შ. დ. იმყოფებოდა პატიმრობაში არაადამიანური მოპყრობის, წამებისა და ღირსების შემლახველ პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო მძიმე ავადმყოფი, დაავადებული დიაბეტის პირველი ფორმით, მას არც დროებითი დაპატიმრების საკანში და არც საგამოძიებო იზოლატორში 22 აგვისტოდან – 4 დღის განმავლობაში არ მიენოდებოდა ინსულინი, რითაც სასიკვდილოდ განირეს. მისსავე საკანში იმყოფებოდა მისი შვილი – ვ. დ., რომელიც დაკბინა მორიელმა. ხელისუფლებამ არ უზრუნველყო მათი ადეკვატური მკურნალობა. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის შუამდგომლობა მათთვის აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2015 წლის 24 მარტს გამოიტანა განჩინება (გადაწყვეტილება), რომლის თანახმად გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მთავრობის პირობები კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მასში მითითებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დაუსაბუთებელი პატიმრობით მათ უდიდესი ზიანი მიადგათ, რაც დაკავშირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, ამავდროულად მიადგათ ასევე მატერიალური ზიანი.

2014 წლის 13 მაისის წერილით საქართველოს მთავრობა აღიარებს მამა-შვილის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების დარღვევას.

შესაბამისად სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა, შუამდგომლობის ავტორები ითხოვდნენ წარმოდგენილი შუამდგომლობის დასაშვებად ცნობას და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 04.08.2006 წლის 4 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.11.2015 წლის განჩინებით შ. დ-ს და ვ. დ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებულები საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.11.2015 წლის განჩინების გაუქმებას.

საკასაციო პალატამ განმარტა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გან-

ჩინებით (გადაწყვეტილებით) საჩივარი №... საქმეზე „შ. და ვ. დ-ები საქართველოს წინააღმდეგ“ ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 13 მაისის წერილით სასამართლოს შესთავაზა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ აღნიშნა: „მთავრობას სურს, რომ ცალმხრივი დეკლარაციის გზით დანაწესებით აღიაროს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ბატონი შ. დ-ს და ვ. დ-ს მკურნალობის პროცესში დადგენილი კონკრეტული ხარვეზების შედეგად და კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის დარღვევა, მომჩივნების წინააღმდეგ გამოყენებულ აღმკვეთ ზომად დაკავების გადაწყვეტილებაში საკმარისი დასაბუთების არარსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას, თითოეულ მომჩივანს გადაუხადოს 6000 ევრო მორალური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ასევე ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ ითხოვა მოცემული საქმის საქმეთა ნუსხიდან ამოღება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში მითითებული აღიარებების ბუნებიდან გამომდინარე, ასევე შეთავაზებული კომპენსაციის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვის გაგრძელება აღარ იყო გამართლებული და მიიღო გადაწყვეტილება საქმის სიიდან ამოღების თაობაზე, კონვენციის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შ. დ-ს და ვ. დ-ს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი უნდა გადაისინჯოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის ზემოაღნიშნული განჩინების (გადაწყვეტილების) საფუძველზე, ვინაიდან სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი შეიძლება გადაისინჯოს, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ შ. დ-ს და ვ. დ-ს მიმართ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ვერ გადაისინჯება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის განჩინების (გადაწყვეტილების) საფუძველზე, ვინაიდან არ დადგენილა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რაც მომჩივანს საშუალებას მისცემდა სსსკ-ის 310-ე მუხლის შესაბამისად, მოეთხოვა სისხლის სამართლის საქმის ხელახალი განხილვის მიზნით საქმის წარმოების ხელმეორედ დაწყება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ. და ვ. დ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.11.2015 წლის განჩინება შ. და ვ. დ-ების შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩა უცვლელად.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველზე

ახალი კანონით დანაშაულებრივი ქმედების გაუქმების ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქების შემთხვევაში, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას, სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 იანვრის განმარტება საქმეზე №464აგ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

მსჯავრდებულმა მ. გ-მ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა სსკ-ის 260-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, გადასინჯულიყო მის მიმართ გამოტანილი განაჩენი და მისი ქმედება გადაკვალიფიცირებულიყო მოქმედ სსკ-ის 260-ე მუხლზე. ამასთან, შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, ცვლილება უნდა შესულიყო მის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილშიც და მას უნდა განსაზღვროდა მინიმალური სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 05.10.2015 წლის განაჩენით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 26.11.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდებულ მ. გ-ს ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (მოქმედი რედაქცია). განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 05.10.2015 წლის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. გ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა მისთვის დანიშნული სასჯელის მინიმუმამდე შემცირება.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე და თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა.

ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ მ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკ-

მაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 05.10.2015 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველზე

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას, ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განმარტება საქმეზე №148აგ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2016 წლის 13 ივნისს მსჯავრდებულმა ზ. გ-მ და მისმა ადვოკატმა ი. ბ-მ შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე მითითებით მოითხოვეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნალკის რაიონული სასამართლოს 10.01.2011 წლის გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა. მათი განმარტებით, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენდა ექსპერტ მ. ნ-ს მიერ 2016 წლის 25 მაისს გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულმა ზ. გ. მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.06.2016 წლის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

კასატორი მსჯავრდებული ზ. გ. ითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.06.2016 წლის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას. კასატორი აგრეთვე მიუთითებს, რომ სსსკ-ის 310-ე და 313-ე მუხლები სასამართლოს უალტერნატივოდ ავალებს განაჩენის გადასინჯვას იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა დაყენებულია სსსკ-ის 312-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო პალატამ განმარტა: იმისათვის, რათა სასამართლომ დაუშვას შუამდგომლობა განსახილველად, სახეზე უნდა იყოს ორი პირობა, კერძოდ: დაცული უნდა იყოს როგორც ფორმალური მხარე, ისე შინაარსობრივი, ანუ შუამდგომლობა უნდა იყოს სსსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად დაყენებულიც და დასაბუთებულიც. სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის შუამდგომლობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება დასაბუთებულად, თუ წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას, ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო. ხოლო იმ გარემოებას, არის თუ არა წარმოდგენილი ფაქტი/მტკიცებულება ახალი და ამტკიცებს თუ არა ის მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ უფრო მსუბუქი/მძიმე დანაშაულის ჩადენას, სასამართლო სწორედ დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს და იმ შემთხვევაში, თუ დადებითად გადაწყვეტს აღნიშნულ

საკითხს, ჩაითვლება რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებს დასაბუთებულობის კრიტერიუმს და თუ ფორმალურადაც სწორად არის დაყენებული, სასამართლო, სსკ-ის 313-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, დაუშვას და განიხილოს იგი.

კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, ახალ გარემოებას წარმოადგენს ექსპერტ მ. ნ-ს მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ზ. გ. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საკასაციო პალატამ განმარტა: საკითხი, პირი მოქმედებდა თუ არა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, სცდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციას. აუცილებელი მოგერიება არის სსკ-ით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, რომლის არსებობაც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად სასამართლოს დასადგენია მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და განაღვივების შედეგად.

გარდა ამისა, პალატა მიუთითებს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არ იშუამდგომლა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე და რა ახალი გარემოება გამოვლინდა, რის გამოც ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი ახლა გამოიკვეთა. ამდენად, აღნიშნული დასკვნა ვერ ჩაითვლება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.06.2016 წლის განჩინება მსჯავრდებულ ზ. გ-სა და მისი ადვოკატის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩა უცვლელად.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველები

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარს იხილავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე და სხვა შემთხვევებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №9აგ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.08.2012 წლის განაჩენით გ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და დაუსწრებლად მიესაჯა სსკ-ის 19,108-ე და 120-ე მუხლებით ერთობლივად 9 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.02.2013 წლის განჩინებით მსჯავრდებული გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.08.2012 წლის განაჩენით სსკ-ის 120-ე მუხლით დადგენილი სასჯელი-საგან, ხოლო ამავე კოდექსის 19,108-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელი გაუნახევრდა და საბოლოოდ მიესაჯა 4 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

2015 წლის 14 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ

გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.12.2015 წლის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

საკასაციო პალატამ განმარტა: სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა, ხოლო მსჯავრდებულის მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებას, რადგან მსჯავრდებულის საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის.

სსსკ-ის 293-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ამავე კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში: დაპატიმრებიდან, ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან, ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.

რაც შეეხება მსჯავრდებულის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ პრეტენზიას – ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისათვის აუცილებელი არ არის საქმეზე იყოს მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამავე კოდექსის 310-ე მუხლით დადგენილი წესით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარს იხილავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე და სხვა შემაჯამებელ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე იყო კანონიერი და დასაბუთებული, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც იგი დარჩა უცვლელად.

11.2. შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება

სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა განაჩენის გადასინჯვის გზით ახალ კანონთან მსჯავრდებულის ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანასა და შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქებაზე.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ნოემბრის განმარტება საქმეზე №76აპ-14 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

შ-მ 2014 წლის 21 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა შუამდგომ-

ლობით, რომლითაც მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 22.12.1998 წლის განაჩენის გადასინჯვა იმგვარად, რომ მის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო ყველაზე მსუბუქი კანონი, შემცირებოდა სასჯელი ან განაჩენის ხანდაზმულად მიჩნევის გამო საერთოდ გათავისუფლებულიყო სასჯელის მოხდისაგან.

შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა, რომ 1998 წლის 22 დეკემბრამდე მოქმედი სსკ-ის 96¹-ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის, მიუხედავად გატაცების ხერხისა; სწორედ ამ დანაშაულის ჩადენის ბრალდებით იქნა იგი გასამართლებული და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 22.12.1998 წლის განაჩენით მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2000 წლის 1 ივნისს ამოქმედდა ახალი სსკ-ი, რომლითაც გაუქმდა ძველი კოდექსი და მითითებული დანაშაული მოექცა ახალი სსკ-ის მე-15 თავში („დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ“, გატაცების ხერხის შესაბამისად, 180-ე და 182-ე მუხლები). სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, რის გამოც ჯ. შ.-ს მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ყველაზე მსუბუქი – ამჟამად მოქმედი კანონი. გარდა ამისა, ძველი და ახალი კანონებით განსხვავებულია გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები და ამ თვალსაზრისით უფრო მსუბუქი იყო 1998 წლის 22 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია: სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ვადა იყო 15 წელი, თუ იგი არ შეწყდებოდა ახალი დანაშაულის ჩადენით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.07.2014 წლის განჩინებით ჯ. შ.-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 22.12.1998 წლის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული ჯ. შ. და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.07.2014 წლის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას იმავე საფუძვლებით, რაზეც მითითებული ჰქონდათ შუამდგომლობაში.

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 96¹-ე მუხლი (1960 წლის რედაქცია) ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის, მიუხედავად გატაცების ხერხისა და სასჯელის ზომად განსაზღვრული იყო – ათიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. 2000 წლის 1 ივნისს ამოქმედდა ახალი სსკ-ი, რომლითაც გაუქმდა ძველი კოდექსი და მითითებული დანაშაული მოექცა ახალი სსკ-ის მე-15 თავში („დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ“, გატაცების ხერხის შესაბამისად, 180-ე და 182-ე მუხლები). განაჩენის მიხედვით, ჯ. შ.-მ დანაშაული ჩაიდინა თაღლითობით, ე.ი ნდობის ბოროტად გამოყენებით. მოქმედი კანონმდებლობით კი თაღლითობა დიდი ოდენობით განსაზღვრულია სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ითვალისწინებს ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა განაჩენის გადასინჯვის გზით ახალ კანონთან მსჯავრდებულის ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანასა და შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქებაზე. ასევე, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, რაზეც მითითებულია შუამდგომლობაში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ჯ. შ.-ს

შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის თაობაზე იყო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დაყენებული და დასაბუთებული, რის გამოც მისი დაუშვებლად ცნობის არანაირი საფუძველი არ არსებობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.07.2014 წლის განჩინება მსჯავრდებულ ჯ. შ-ს მიმართ და ჯ. შ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ დაშვებულ იქნა.

შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება

სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება გადასასინჯი განაჩენი.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 აპრილის განმარტება საქმეზე №396აგ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2015 წლის 16 სექტემბერს მსჯავრდებულმა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.09.2015 წლის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. გ-მ რომელმაც ითხოვა მისი გაუქმება და განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დაშვება.

საკასაციო პალატამ განმარტა: სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე არ იყო უფლებამოსილი შეეფასებინა მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება გადასასინჯი განაჩენი. გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ირიბი ჩვენებების გაუზიარებლობის შემთხვევაში საკმარისია თუ არა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს მხოლოდ შუამდგომლობის დაშვებისა და კანონით დადგენილი წესით განხილვის შედეგად.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ განჩინების მიმღები სასამართლო შემადგენლობის ერთ-ერთ მოსამართლეს თვითაცილებს უნდა განეცხადებინა, ვინაიდან მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციით განაჩენი გამოიტანა მისმა მეუღლემ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს სსსკ-ის 59-ე მუხლით გათვალისწინებულ თვითაცილების საფუძველს, რის გამოც იგი ვერ იქნება გაზიარებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ იყო დასაბუთებული, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.09.2015 წლის განჩინება მსჯავრდებულის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე გაუქმდა.

შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება

დაცვის მხარის მცდელობა, ბრალდება გაექარწყლებინა მის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით, რომლის ჩატარებაც უფრო ადრეც შეეძლო, ვერ იქნება მიჩნეული ისეთ ახალ მტკიცებულებად, რომელიც განაჩენის გადასინჯვის საფუძველი გახდება.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 1 დეკემბრის განმარტება საქმეზე №55აგ-15 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2015 წლის 11 მაისს მსჯავრდებულის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 21.101.2011 წლის განაჩენის სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გადასინჯვის თაობაზე იმ გარემოებებზე მითითებით, რომ 2006 წლის „ალტ-ექსპერტის“ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 14 ხელშეკრულებაზე შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნოდა ნ. კ-ს. შუამდგომლობის ავტორის მითითებით, განაჩენი დაფუძნებული იყო ე.წ. დაზარალებულის ურთიერთსაინააღმდეგო და არსებითად განსხვავებულ, არადაზარალებელ ჩვენებებზე, რომლებიც გამყარებული იყო ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ირიბი მტკიცებულებებით და რომლებიც ასევე ეწინააღმდეგებოდა დაზარალებულ ე. წ-ს ჩვენებებს. ამდენად, მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას არ არსებობდა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტი, რაც გახდა კიდევ უკანონო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორი განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებად მიუთითებდა ექსპერტის 2006 წლის 3 ოქტომბრის დასკვნასა და ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ ირიბ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზეც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.05.2015 წლის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26.04.2011 წლის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.05.2015 წლის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატამ განმარტა: იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტთან მიმართებით და აღნიშნა, რომ დაცვის მხარის მცდელობა, ბრალდება გაექარწყლებინა მის მიერ წარმოდგენილი 2006 წლის 3 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნით (რომლის ჩატარება დაცვის მხარეს უფრო ადრეც შეეძლო), ვერ იქნება მიჩნეული ისეთ ახალ მტკიცებულებად, რომელიც განაჩენის გადასინჯვის საფუძველი გახდება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, გარდა სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა, სამართლებრივად სწორად შეაფასა.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.05.2015 წლის განჩინების გაუქმებისა და სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვად სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის დაბრუნების თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, როგორც გასაჩივრებული განჩინებიდან დგინდება, სააპელაციო სასამართლოს ამაზე საერთოდ არ უმსჯელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.05.2015 წლის განჩინება გაუქმდა ნაწილობრივ და საქმე დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ რ. ჩ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად. განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, დარჩა უცვლელად.

შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება

ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა თავისთავად და ყოველთვის არ გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განმარტება საქმეზე №69აგ-15
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

2015 წლის 22 ივნისს მსჯავრდებულმა მ. პ-მ და მისმა ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. შუამდგომლობის ავტორებმა საჩივრით ითხოვეს შუამდგომლობის დასაშვებლად ცნობა, სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება და ხელახალი განხილვა ნაფიცი მსაჯულთა მონაწილეობით, რის საფუძველდაც მიუთითებდნენ იმ გარემოებას, რომ მ. პ-ს ბრალი ედებოდა სსსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული

შინაარსი, რომელიც კრძალავს ამავე კოდექსით გათვალისწინებულ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის შესაძლებლობას ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე. კასატორებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაირღვა მსჯავრდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან საქმე განხილულია მისი არჩევნის შეზღუდვით, არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.06.2015 წლის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.07.2013 წლის განჩინების გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატამ განმარტა: მსჯავრდებულის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლომ 21.12.2012 წელს გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებით (ძველი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებებში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.07.2013 წლის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.12.2012 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.02.2014 წლის განჩინებით მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557-571-576 გადაწყვეტილება მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დარღვეულია მსჯავრდებულის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557-571-576 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 96-ე პუნქტში აღნიშნულია შემდეგი: „სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლების სწორად გააზრებისათვის, საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა თავისთავად და ყოველთვის არ გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მართლმსაჯულების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ ასრულებს უალტერნატივო ფუნქციას, რომელიც უპირობოდ აუცილებელია უფლებების სრულყოფილი დაცვისთვის. პრინციპულად არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვისას პირებს თავისთავად ერღვევათ სამართლიანი სასამართლოს უფლება, თუკი მათ იმავდროულად უზრუნველყოფილი აქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა უფლებრივი კომპონენტით სარგებლობის შესაძლებლობა. უსაფუძვლოა იმის მტკიცებაც, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა, ყველა შემთხვევაში გულისხმობს ნებისმიერი უფლების უკეთ დაცვის შესაძლებლობას, რის გამოც, ეს სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის განუყოფელი კომპონენტია და მისი არარსებობისას სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა“. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მსჯავრდებულს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება არ შეზღუდვია, იგი სრულად იყო უზრუნველყოფილი და ისარგებლა კიდევ სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა უფლებრივი კომპონენტით, ამასთან მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე იმსჯელა სამივე ინსტანციის სასამართლომ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ მ. პ-ს ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.06.2015 წლის განჩინება მსჯავრდებულ მ. პ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩა უცვლელად.

შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შამონება

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად დაშვების შემდეგ სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობასა და საქმეს იხილავს არსებითად, რის შედეგადაც გამოაქვს განაჩენი.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე-314-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 დეკემბრის განმარტება საქმეზე №139აგ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.11.2011 წლის განაჩენით ა. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.03.2012 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.11.2011 წლის განაჩენი ა. მ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.02.2013 წლის განჩინებით ა. მ-ს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი შეუმცირდა და განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2015 წლის 26 აგვისტოს მსჯავრდებულმა ა. მ-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა სსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.09.2015 წლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. მ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.03.2016 წლის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.09.2015 წლის განჩინება მსჯავრდებულ ა. მ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ გაუქმდა იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე არ იყო უფლებამოსილი, შეეფასებინა მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნებოდა გადასინჯვი განაჩენი. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია შუამდგომლობაში მითითებულ მოთხოვნაზე – ა. მ-ს მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელის ამავე კოდექსის 260-ე მუხლის ახალ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.03.2016 წლის განჩინების შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.03.2016 წლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. მ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაშვებულ იქნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.05.2016 წლის განაჩენით მსჯავრდებულ ა. მ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.03.2012 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.05.2016 წლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამართლება.

საკასაციო პალატამ განმარტა: ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად დაშვების შემდეგ სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობასა და საქმეს იხილავს არსებითად, რის შედეგადაც გამოაქვს განაჩენი. სსკ-ის 298-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განაჩენის ფორმით, მიუხედავად იმისა, ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდება თუ არა შუამდგომლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში არსებობს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ ა. მ-ს მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.03.2012 წლის განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა.

სსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს იმ ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე იხდის მას, სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ა. მ-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, რაც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას რვიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 260-ე მუხლში 2015 წლის 8 ივლისის კანონით განხორციელებული ცვლილებით მსჯავრდებულ ა. მ-ს სისხლისსამართლებრივი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა და, შესაბამისად, მის მიმართ ვერ გავრცელდებოდა აღნიშნული ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.05.2016 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

12. ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოება

არასრულწლოვნის ღირსების დაცვა

იმ შემთხვევაში, თუ სსკ-ის კონკრეტული მუხლის მოთხოვნა ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის დაცვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რითაც ირღვევა არასრულწლოვნის უფლებები და მისი რესოციალიზაციისათვის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, სწორედ საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმებისათვის უპირატესი ძალის მინიჭებით, საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით უნდა გადაწყდეს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლი⁵

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №265აპ-15
(<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 09.09.2013 წლის განაჩენით: კ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. კ. მ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 24 იანვრიდან 2013 წლის 8 თებერვლამდე და სასჯელის მოხდა დაენყო დაკავების მომენტიდან.

განაჩენით მსჯავრდებულების – კ. მ-სა და გ. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 24 იანვარს, ღამის საათებში, ვ. შ-ს კუთვნილ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან გ. ჯ. და კ. მ. ცდილობდნენ ფულადი თანხის ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებას.

2012 წლის 5 ნოემბერს, ღამის საათებში, „ნ-ს“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან გ. ჯ., კ. ჯ. და ნ. კ. ფარულად დაუფლნენ 955,50 ლარს.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.2014 წლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა მითითება კ. მ-ს დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლის შესახებ. კ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული კ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის ნაწილობრივ გაუქმებას სასჯელის დანიშვნის ნაწილში.

საკასაციო პალატამ განმარტა: სააპელაციო სასამართლომ კ. მ-ს მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრი გააუქმა არა იმ საფუძველით, რომ მისი პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ იყო მის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება, არამედ სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანების შესაბამისად, რომ თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისთვის

⁵ ეს მუხლი ამოღებულ იქნა 12.06.2015 წელს. №3715 ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. კ. მ-ს კი განაჩენის გამოცანის მომენტისთვის 18 წელი შესრულებული ჰქონდა.

სსკ-ის 316-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, დაიცვას არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიები. იმ შემთხვევაში, თუ სსკ-ის კონკრეტული მუხლის მოთხოვნა ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის დაცვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რითაც ირღვევა არასრულწლოვნის უფლებები და მისი რესოციალიზაციისათვის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, სწორედ საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმებისათვის უპირატესი ძალის მინიჭებით, საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით უნდა გადაწყდეს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი, რისი სამართლებრივი საფუძველიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ: საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება, რომ თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოცანის მომენტისათვის შეუსრულდა 18 წელი, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, წინააღმდეგობაშია საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებთან, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი ამ დროს უპირატესი ძალა უნდა მიენიჭოს საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

საკასაციო სასამართლოს განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.2014 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ კ. მ-ს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის ზომად განესაზღვრა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და შეეფარდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით, ოთხი წლის გამოსაცდელი ვადით. სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის ვადაში ჩაეთვალა სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

13. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

ქვიზილი პირის ბრალდებულად ყოფნის ვადა

ის ფაქტი, რომ 2006 წლის 29 დეკემბერს სსსკ-ში შევიდა ცვლილება და ამოღებულ იქნა 29-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებას ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში, არ ნიშნავს აღნიშნული ცვლილების ამოქმედებისთანავე ბრალდებულად ყოფნის ვადის დინების ავტომატურ რეჟიმში განახლებას.

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განმარტება საქმეზე №2¹-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ე. ნ.-ს ბრალი ედება მასში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, სადგომში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, კერძოდ:

2002 წლის ნოემბრის დასაწყისში ე. ნ. დანაშაულებრივად დაუკავშირდა გ. მ.-ს, მ. ა.-ს, ე. კ.-ს და ვინმე დ.-ს. მათ განიზრახეს ფულადი თანხის დაუფლების მიზნით, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ თბილისში, დასახლებაში არსებულ შპს „ნ“ ტერიტორიაზე მდებარე თ. ც-ს კუთვნილ ვალუტის გადამცვლელ ჯიხურს.

2003 წლის 16 თებერვლის დადგენილებით ე. ნ. ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა პასუხისგებაში დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

2003 წლის 21 თებერვლის ბრძანებით, ე. ნ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა, 2003 წლის 10 ივნისის დადგენილებით გამოცხადდა ძებნა, ხოლო 2003 წლის 17 ივნისის დადგენილებით – სსსკ-ის 29-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე შეჩერდა სამართალწარმოება ბრალდებულ ე. ნ.-ს ადგილსამყოფლის დადგენა-დაკავებამდე.

2015 წლის 15 აპრილს საქმე გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითად განსახილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაცვის მხარემ იშუამდგომლა განსასჯელ ე. ნ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ საქმის სასამართლოში შემოსვლამდე გავიდა ე. ნ.-ს ბრალდებულად ყოფნის ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2016 წლის დადგენილებით დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა და ე. ნ.-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

აღნიშნული დადგენილება კერძო სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს პროკურორმა და დაზარალებულმა. აპელანტები ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2016 წლის დადგენილების გაუქმებასა და ე. ნ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.05.2016 წლის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2016 წლის დადგენილება ე. ნ.-ს მიმართ სისხლისსა-

მართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

ე. ნ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.05.2016 წლის განჩინების გაუქმება და ე. ნ-ს მიმართ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

საკასაციო პალატამ განმარტა: ის ფაქტი, რომ 2006 წლის 29 დეკემბერს სსსკ-ში შევიდა ცვლილება და ამოღებულ იქნა 29-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებას ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში, არ ნიშნავს აღნიშნული ცვლილების ამოქმედებისთანავე ბრალდებულად ყოფნის ვადის დინების ავტომატურ რეჟიმში განახლებას. მითითებული ნორმა არ გაუქმებულა და ძალაში იყო სსსკ-ის 29-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების შემდეგაც, რაც სრულ შესაბამისობაშია როგორც 1998 წლის 20 თებერვლისა და 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ებთან, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან, სახელდობრ: როდესაც 2003 წლის 10 ივნისის დადგენილებით გამოცხადდა ე. ნ-ს ძებნა, ავტომატურად ამოქმედდა 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-5 ნაწილი და ე. ნ-ს ბრალდებულად ყოფნის 12 თვიანი ვადის დინება შეჩერდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 329-ე მუხლში დამატებული მე-3¹ ნაწილის თანახმად, „თუ ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა კოდექსის ამოქმედებამდე დაიწყო და მის მიმართ შეჩერებულია ან შეჩერებული იყო ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება, სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესით (გარდა 75-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულად ყოფნის ვადის დინების შეჩერებისა). ასეთ შემთხვევაში საქმის სასამართლოში წარმართვამდე ბრალდებულად ყოფნის ვადაა 9 თვე. ამ ვადის დინება გრძელდება 2015 წლის 1 მაისიდან. აღნიშნულ ვადაში არ ითვლება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეჩერებული იყო ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება“. ამდენად, ე. ნ-ს ბრალდებულად ყოფნის უკვე 9 თვიანი ვადის დინება სავალდებულო წესით უნდა განახლებულიყო 2015 წლის 1 მაისიდან, თუმცა ბრალდების მხარემ საქმე სასამართლოში წარმართა 2015 წლის 15 აპრილს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.05.2016 წლის განჩინება, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.2016 წლის დადგენილება ე. ნ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, კანონიერია და დატოვა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2 99 04 18
www.supremecourt.ge